სპეციალური
საგამოძიებო
სამსახური

2022

საქმიანობის ანგარიში

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

WWW.SIS.GOV.GE

სარჩევი

წინასიტყვაობა 6

1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი 10

2. სამსახურის მიღწევები 14

2.1. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის წესის ამოქმედება 16

2.2. მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოებისათვის დაცვის სპეციალური პროგრამის ამოქმედება 20

2.3. პენიტენციურ დაწესებულებებში დაუბრკოლებლად (სპეციალური ნებართვის გარეშე) შესვლის შესაძლებლობა 24

2.4. სამსახურის საგამოძიებო მანდატის სხვა მნიშვნელოვან სამოხელეო დანაშაულებზე გავრცელება 26

2.5. სამსახურისთვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხელახალი გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება 28

2.6. გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის შექმნა 30

2.7. ევროკომიის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები..... 32

2.8. კახეთსა და სამეგრელოში ორი ახალი რეგიონული ოფისის გახსნა 34

2.9. აღმოსავლეთ საქართველოში ახალი საგამოძიებო დანაყოფის შექმნა..... 38

2.10. სამსახურის ახალი სათავო ოფისის მშენებლობის დაწყება..... 40

2.11. წინა წლებთან მიმართებით არასათანადო მოპყრობის ფაქტების გახსნის მაჩვენებლების ზრდა..... 44

2.12. ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დროულობა და გახსნის მაღალი მაჩვენებელი..... 48

2.13. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურის ბრენდირების დასრულება..... 52

2.14. თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება..... 56

3. საკადრო პოლიტიკა 60
3.1. საკადრო პოლიტიკა და ინსტიტუციური გაფართოება 61
3.2. თანამშრომელთა შერჩევა, გადამზადება და დაწინაურება 66

4. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა 70
4.1. ცნობიერების ამაღლება 71
4.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 75

5. თანამშრომლობა 78
5.1. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 79
5.2. საჯარო უწყებებთან თანამშრომლობა 83
5.3. საერთაშორისო თანამშრომლობა 85
5.4. EU, UNDP, OHCHR, UNOPS, PAR - საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 90
5.5. სახალხო დამცველთან თანამშრომლობა 93
5.6. საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობა 97
5.7. საერთაშორისო სასწავლო კურსები 99

6. ფინანსური ანგარიშგება 100

7. ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება 102

8. 2022 წლის საგამოძიებო სტატისტიკა 106
8.1. „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების (არასათანადო მოპყრობა) სტატისტიკა 116
8.1.1. მიღებული შეტყობინებები 117
8.1.2. გამოძიების დაწყება 126
8.1.3. სავარაუდო მსხვერპლები 129
8.1.4. შესაძლო დანაშაულის გარემოებები 131
8.1.5. სისხლისსამართლებრივი დევნა 134
8.1.6. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 136
8.1.7. გამოძიების შეწყვეტა 137
8.2. „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა 140
8.2.1. მიღებული შეტყობინებები 141
8.2.2. გამოძიების დაწყება 145
8.2.3. სავარაუდო მსხვერპლები 148
8.2.4. შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი 149

8.2.5. სისხლისსამართლებრივი დევნა 151

8.2.6. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები 153

8.2.7. გამოძიების შეწყვეტა 154

8.2.8. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 155

8.3. „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა 158

8.3.1. მიღებული შეტყობინებები 159

8.3.2. გამოძიების დაწყება 162

8.3.3. სავარაუდო მსხვერპლები 165

8.3.4. შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი 167

8.3.5. სისხლისსამართლებრივი დევნა 168

8.3.6. გამოძიების შეწყვეტა 170

8.3.7. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 171

9. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას 174

10. შედარებითი ანალიზი 178

11. დასაბუთებული წინადადებების შედარერიბითი ანალიზი 182

12. გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები, გამოწვევები და რეკომენდაციები 186

12.1. დაკავების სტანდარტები და ნეიტრალური მტკიცებულებები 187

12.2. ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები 191

12.3. სამეთვალყურეო და სამხრე კამერების ვიდეო ჩანაწერების დროული გადმოცემის უზრუნველყოფა 194

12.4. დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებელი შესვლის უზრუნველყოფა 197

12.5. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებაში გადაყვანილი პატიმრების მონიტორინგი 200

12.6. სუიციდის პრევენციის პროგრამის ნაკლოვანებები 204

12.7. პატიმართა ვიდეომონიტორინგის ნაკლოვანებები 206

12.8. პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციების ხარვეზები 208

12.9. სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განთავსებისა და ბადრაგირების პრობლემები (გარე და შიდა ესკორტირება) 211

13. დადებითი ტენდენციები 195

13.1. შეტყობინების გადმოგზავნის დროულობა და რელევანტური საკომუნიკაციო დანაყოფები 221

13.2. დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაშვება და დისტანციური კომუნიკაცია 222

13.3. დროებითი მოთავსების იზოლატორების ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა ... 223

13.4. დადებითი ტენდენციები პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პირების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით ... 225

14. გამოძიების წინაშე არსებული გამოწვევები ... 230

14.1. ხანგრძლივად მიმდინარე კომისიური ექსპერტიზები ... 231

14.2. საქმის გაცნობის პროცედურები ... 235

14.3. სასამართლოდან არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინებების გადმოგზავნის ტენდენცია ... 237

14.4. პროკურორისა და გამომძიებლის უფლებამოსილებათა გამიჯვნა ... 239

14.5. პოტენციური მსხვერპლის აღჭურვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით ... 242

15. სამსახურის 2023 წლის გეგმები ... 246

15.1. ცალკეული სამოხელეო დანაშაულის პრევენციის სპეციალური საბჭოს შექმნა ... 247

15.2. ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა ... 249

15.3. კვალიფიკაციის გამიჯვნის დოკუმენტის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა ... 251

15.4. ხელახალი გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავება ... 253

15.5. ხელბორკილების გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა ... 254

15.6. სამხრე კამერების გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა ... 256

15.7. მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს შექმნა ... 258

15.8. სპეციალიზებული (მესამე) სამმართველოს შექმნა ... 259

15.9. ქ. რუსთავში რეგონალური ოფისის გასახსნელად ღონისძიებების დაწყება ... 260

15.10. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება ... 261

15.11. კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება ... 262

15.12. საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება ... 263

15.13. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა ... 264

15.14. დონორი ორგანიზაციების საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა ... 265

15.15. საერთაშორისო თანამშრომლობა ... 266

15.16. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ... 267



წინასიტყვაობა

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 168[1]-ე მუხლის საფუძველზე მომზადებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ანგარიში აერთიანებს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ინსტიტუციური და ორგანიზაციული რეფორმების, განვლილ პერიოდში მიღწეული შედეგების, სამსახურის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ. წინამდებარე დოკუმენტში, ასევე, ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, რაც იძლევა როგორც განზოგადებული, ასევე კონკრეტულ მიმართულებებზე ორიენტირებული ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას.

გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინებით, ანგარიში, ასევე, მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც, სამსახურის მოსაზრებით, უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან/და სისხლის სამართლის საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ანგარიში აერთიანებს ათთვიან პერიოდს და მასში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურის საქმიანობისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

სამსახურმა ჩამოყალიბების პირველივე დღიდან უმთავრეს პრიორიტეტებად დაისახა ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება, გამოძიების ხარისხის უზრუნველყოფა, მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომების განვითარება, ევროკომისიის თორმეტპუნქტიან გეგმაში ასახული რეკომენდაციებისა და შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

საწყისი ეტაპისთვის, არსებული არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მწირი ფინანსური და ადამიანური რესურსის მიუხედავად, განვლილი პერიოდის განმავლობაში დასახული მიზნების მისაღწევად სამსახურმა არაერთი ღონისძიება განახორციელა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

• სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწა არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და დაკისრებული უფლებამოსილებების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით;

• გამჭვირვალე გამოძიების სტანდარტების დამკვიდრება და პოტენციურ მსხვერპლთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა;

• ერთი მხრივ, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის მოდიფიცირება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ძირეულ მანდატთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების ისეთ მნიშვნელოვან დანაშაულებზე გავრცელება, როგორებიცაა მომიჯნავე სამოხელეო დანაშაულებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დარღვევის შემთხვევების ხელახალი გამოძიება;

• სამსახურის ინსტიტუციური მოწყობის ცვლილება არსებულ საჭიროებებთან ადაპტირებისა და უწყების ეფექტიანი ოპერირების უზრუნველყოფის მიზნით;

• ტერიტორიული დაფარვის გაფართოება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის ზრდისა და ეფექტური სერვისის მიწოდების მიზნით;

• განახლებული საკადრო პოლიტიკის ჩამოყალიბება თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომების განვითარებისა და სამსახურში დასაქმებული პირების სამართლებრივი, სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

• ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სამსახურის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მათ შორის, სათავო ოფისით უზრუნველყოფის მიზნით.

განვლილი პერიოდის შედეგები ვერ მიიღწეოდა სამსახურში დასაქმებული ადამიანების თავდაუზოგავი შრომისა და მაღალი პროფესიონალიზმის გარეშე, რის გამოც სპეციალური საგამოძიებო სამსახური განსაკუთრებულ მადლობას უხდის უწყების თითოეულ თანამშრომელს სამსახურის მიღწევებში მათ მიერ შეტანილი წვლილისთვის.

უწყების ჩამოყალიბების პროცესში გაწეული მხარდაჭერის, თანამშრომლობისა და დახმარებისთვის სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ასევე, მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობასა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. სამსახური განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიმართ მათ მიერ გამოჩენილი ნდობისა და მხარდაჭერისთვის, რაც უმნიშვნელოვანესი იყო გაფართოებული მანდატის ფარგლებში სამსახურის საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

WWW.SIS.GOV.GE

1

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი

მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური, დროული და დამოუკიდებელი გამოძიება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ამ მიზნით დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა იყო, ერთი მხრივ, საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების 2017-2020 წლების დღის წესრიგის“ თანახმად, საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად შესრულების გზით ქვეყანამ აიღო პასუხისმგებლობა არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით განეხორციელებინა ეფექტიანი რეფორმები. აღნიშნული რეფორმების შედეგად 2019 წლის 1 ნოემბერს შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ხოლო 2022 წლის 1 მარტიდან[1] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბაზაზე ამოქმედდა დამოუკიდებელი ორგანო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების, მისიაა კანონიერების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრიორიტეტის, დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმის, მორალური სტანდარტებისა და პრინციპების განუხრელი დაცვით, ღია და გამჭვირვალე მუშაობით ქვეყანაში განამტკიცოს და ახალ სიმაღლეზე აიყვანოს ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა, შექმნას არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის გარანტიები, აღნიშნული ტიპის დანაშაულებზე სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიებით მოახდინოს სამართლებრივი რეაგირება, აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება და გააჩინოს აღქმა, რომ მოქალაქეები სამართალდამცავების მხრიდან გადაჭარბებული, არაპროპორციული და უკანონო ძალის გამოყენებისგან დაცული არიან. სამსახურის მისიაა, აგრეთვე, დადებითი გავლენა იქონიოს სამართალდამცავ ორგანოებზე სისტემის გაჯანსაღების, სისტემის ევროპული სტანდარტებით განვითარებისა და ეფექტური მუშაობის თვალსაზრისით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიებას აწარმოებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ 2019 წლის 1-ელ ნოემბერს და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებზე:

• სსკ-ის 144[1]-ე მუხლი (წამება);

• სსკ-ის 144[2]-ე მუხლი (წამების მუქარა);

• სსკ-ის 144[3]-ე მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=6;

• სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

• სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

• სსკ-ის 335-ე მუხლი (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება);

• სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი (გულისხმობს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულებას, შეცვალოს ან უარი თქვას ჩვენებაზე. აღნიშნული ნაწილი, ასევე, გულისხმობს მსჯავრდებულისთვის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლას);

• სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ან/და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი ნების საწინააღმდეგოდ აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ან/და აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

• სპეციალური საგამოძიებო სამსახური აწარმოებს გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 126[1]-ე, 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–151[1]-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ (გარდა პროკურორისა);

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ასევე, იძიებს იმ დანაშაულებს, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. კერძოდ:

• სსკ-ის 153-ე მუხლი (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა);
• სსკ-ის 154-ე მუხლი (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა);
• სსკ-ის 155-ე მუხლი (რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა);
• სსკ-ის 156-ე მუხლი (დევნა);
• სსკ-ის 157-ე მუხლი (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა);
• სსკ-ის 157[1]-ე მუხლი (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა);
• სსკ-ის 158-ე მუხლი (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა);

• სსკ-ის 159-ე მუხლი (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა).

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციაში შედის, ასევე, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი შემდეგი დანაშაულების გამოძიება:

• სსკ-ის 162-ე მუხლი (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლა);

• სსკ-ის 162[1]-ე მუხლი (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა);

• სსკ-ის 163-ე მუხლი (საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლა);

• სსკ-ის 164[4]-ე მუხლი (ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ან/და საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევა).

ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება გაძლიერდა და მის ქვემდებარეობას დაემატა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 369[1]-ე (სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, თუკი ეს დანაშაულები სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოავლინა.

სამსახური, ასევე, აწარმოებს გამოძიებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სამსახურის ადმინისტრირებას, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6[1] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სამსახურის ხელმძღვანელი საქართველოს პარლამენტის მიერ აირჩევა 6 წლის ვადით. აღნიშნულ თანამდებობას 2022 წლის 1 მარტიდან კოკა კაციტაძე იკავებს. სამსახურის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე გიორგი კვარაცხელია და მოადგილე ნათია სონღულაშვილი.

2

სამსახურის მიღწევები

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 14 მიღწევა

- ყველა მოქალაქეს მის სისხლის სამართლის საქმესთან წვდომისა და საქმის მასალების გაცნობის უფლება მიეცა;
- მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოებისთვის დაცვის სპეციალური პროგრამა ამოქმედდა;
- სამსახურის ინიციატივით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ გამომძიებლებისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლა სპეციალური ნებართვის გარეშე გახდა შესაძლებელი;
- საგამოძიებო ქვემდებარეობას ახალი სამოხელეო დანაშაულები დაემატა;
- ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დანაშაულების ხელახალი გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭა;
- გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების და ევროპული სასამართლოს სტანდარტების დამკვიდრების მიზნით მონიტორინგისა და ანალიტიკის დეპარტამენტი შეიქმნა;
- ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად სამსახურმა საქართველოს პარლამენტს წინადადებებით მიმართა, რომლის საფუძველზეც საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. შედეგად სამსახური ინსტიტუციურად გაძლიერდა, გაიზარდა მისი დამოუკიდებლობის კომპონენტი;
- კახეთისა და სამეგრელოს რეგიონში თანამედროვე ტიპის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ახალი ოფისები გაიხსნა;
- გამოძიების დროულობისა და ეფექტურობის მიზნით აღმოსავლეთ საქართველოში მეორე საგამოძიებო სამმართველო შეიქმნა;
- ახალი სათავო ოფისის მშენებლობის პროცესი დაიწყო;
- წინა წლებთან მიმართებით არასათანადო მოპყრობის ფაქტების გახსნის მაჩვენებელი გაიზარდა;
- სამსახურმა ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გახსნის მაღალი მაჩვენებელი წარმოადგინა.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურის ბრენდირება დასრულდა;
- თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები გაფართოვდა;

2.1

სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის წესის ამოქმედება

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამჭვირვალე გამოძიების სტანდარტების დახვეწა და პოტენციურ მსხვერპლთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა აირჩია, რადგან დანაშაულის შესაძლო მსხვერპლის ჩართვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება ეფექტური, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 14 ივნისს შეხვედრაზე მიღებულ N967 რეკომენდაციაშია აღნიშნული, გამოძიების მიმდინარეობისას დანაშაულის შესაძლო მსხვერპლს აუცილებლად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მსხვერპლთათვის სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რათა დაიცვას მათი ინტერესები. ეს კი, თავის მხრივ, დანაშაულის შესაძლო მსხვერპლს მისცემს საშუალებას, გამოიყენოს თავისი უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მის მიერ მიღებულ არაერთ

გადაწყვეტილებაში ნეგატიურად შეაფასა ის, რომ გამოძიების პროცესში არ არის ჩართული სავარაუდო მსხვერპლი და მას არ მიეწოდება ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესაბამისად, დაზარალებული იმ მოცულობით უნდა იყოს გამოძიების პროცესში ჩართული, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, ასევე, მიიჩნევს იმას, რომ არაპირდაპირი მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში რჩება ინფორმაციულ ვაკუუმში.

აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციების საფუძველზე სამსახურმა შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომელიც მის წარმოებაში არსებულ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე პროცესის მონაწილეთა პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპით მსხვერპლს აძლევს საქმის მასალებთან წვდომის შესაძლებლობას, მათ შორის უფლებას, პირადად გაეცნოს ექსპერტიზის დასკვნებს, ვიდეო და აუდიო მასალასა და სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს. ეს მსხვერპლს აძლევს საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალებასა და ამ უფლებების დაცულობის განცდას. შეიძლება ითქვას, რომ საგამოძიებო სამსახურის ახალი ინიციატივა არის პირველი პრეცედენტი, როდესაც საგამოძიებო უწყება დაზარალებულის სტატუსის არმქონე პოტენციურ მსხვერპლებს სისხლის სამართლის საქმესთან წვდომასა და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს.

უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის აღნიშნულმა დოკუმენტმა ფართო საჯარო განხილვები გაიარა. ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში იგი განსახილველად წარედგინა დარგის ექსპერტებს, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს. შედეგად, სამსახურმა მის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში შეხვედრის მონაწილეთა ყველა მნიშვნელოვანი შენიშვნა და რეკომენდაცია ასახა.

აღსანიშნავია, რომ მიღებული დოკუმენტი, ასევე, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და იგი შეისწავლა ევროპის საბჭოს საერთაშორისო კონსულტანტმა, რომელმაც შეფასებებსა და კომენტარებში დადებითად შეაფასა სახელმძღვანელოს საფუძველზე პოტენციური მსხვერპლის გამოძიებაში ჩართვის შესაძლებლობა და შესაბამისად, სამსახურის ეს ახალი ინიციატივა მანამდე არსებული ნაკლოვანი პრაქტიკის გამოსწორებად მიიჩნია.



არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა და 2022 წლის 27 ივლისიდან შევიდა ძალაში. აღსანიშნავია, რომ გამომძიებლებისთვის სავალდებულოა დოკუმენტში წარმოდგენილი პირობების შესრულება[2]. შესაბამისად, 27 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა 189 პირს. მათ, ასევე, განემარტათ საქმის მასალების გაცნობის უფლება. შედეგად, მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში 59-მა პოტენციურმა მსხვერპლმა გამოიყენა ეს უფლება და გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

2 https://sis.gov.ge/ka/page/individualuri-samartlebrivi-aqtebi/20222

სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის პრაქტიკა



WWW.SIS.GOV.GE

2.2

მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოებისთვის დაცვის სპეციალური პროგრამის ამოქმედება

სამსახურმა პოტენციურ მსხვერპლთა და დაზარალებულთა უფლებების დამატებითი გარანტიების შექმნის, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გამოძიებაში ჩართვის მიზნით დაცვის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა და დანერგა.

როგორც ცნობილია, სამართალდამცავების მიერ ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის საქმეების ეფექტიანი გამოძიებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია პოტენციური დაზარალებულის/მსხვერპლის პირადი ცხოვრების დაცვა, მისი ფიზიკური უსაფრთხოება და გამოძიებაში ჩართულობა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც საგამოძიებო ორგანოსა და მსხვერპლს შორის არსებობს თანამშრომლობა და ნდობა. ეფექტური გამოძიების მნიშვნელოვანი კომპონენტია, ასევე, პროცესის მონაწილეთა დაცვა გარე ფაქტორებისა და სხვა პირებისგან, რომელთა ინტერესსაც შესაძლოა სამართალწარმოებაში უსაფუძვლო ჩარევა, მსხვერპლსა და საგამოძიებო ორგანოს შორის თანამშრომლობისთვის ხელშეშლა წარმოადგენდეს. მნიშვნელოვანია, რომ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი ენდობოდეს საგამოძიებო ორგანოს და არ ეშინოდეს, რომ მას საგამოძიებო ორგანოსთან

თანამშრომლობისა და სამართალდამცავის მხილების შემთხვევაში რაიმე სახის საფრთხე დაემუქრება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი და რეალური საფრთხის არსებობისას უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება.

აქედან გამომდინარე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიმართა საქართველოს პარლამენტს მსხვერპლთა დაცვის სპეციალური პროგრამის ასამოქმედებლად საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით. იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად 2022 წლის 24 მაისს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეს მიენიჭა უფლებამოსილება, დასაბუთებული წერილობითი წინადადებით მიმართოს ზედამხედველ პროკურორს და მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.

კანონით მონიჭებული აღნიშნული უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ სამსახურმა დაცვის სპეციალური პროგრამის ასამოქმედებლად სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიმუშავა. სამსახურში დანერგილი ამ ახალი ინიციატივის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში ჩართულ ყველა იმ პოტენციურ მსხვერპლს, რომელსაც აქვს მოსალოდნელი საფრთხის განცდა, რომ ის ან მისი ოჯახის წევრი შეიძლება მოექცნენ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, სპეციალური საგამოძიებო სამსახური სთავაზობს დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვას. პოტენციური მსხვერპლისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში მასთან ივსება რისკების შეფასების კითხვარი. თუ აღნიშნული კითხვარისა და საქმის მასალების საფუძველზე გამოძიება დაასკვნის, რომ არსებობს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, რათა დაცვის სპეციალურ პროგრამაში მსხვერპლი დაუყოვნებლივ ჩაერთოს. დაცვის სპეციალური პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ზომების მიღებას: მსხვერპლისთვის პირადი დაცვის დანიშვნა, განგაშზე გამოძახება, საცხოვრებელი ადგილის დროებით შეცვლა ან მის მიმართ უსაფრთხოების სხვა ზომების გამოყენება.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა აღნიშნული დოკუმენტი მის დამტკიცებამდე ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" ფარგლებში რეკომენდაციების მისაღებად და განსახილველად დარგის ექსპერტებს, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს გაუზიარა. სამსახურმა მის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში ყველა ის მნიშვნელოვანი შენიშვნა და რეკომენდაცია გაითვალისწინა და ჩართო, რომლებიც შეხვედრაში მონაწილე მხარეებმა წარმოადგინეს. აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაცვის სპეციალური

პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტი, ასევე, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და შესასწავლად გადაეგზავნა ევროპის საბჭოს საერთაშორისო კონსულტანტს რომელმაც, საკანონმდებლო დებულებების განვრცობისა და პრაქტიკაში მისი ფართოდ გამოყენების თვალსაზრისით, დოკუმენტი დადებითად შეაფასა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე სახელმძღვანელო დოკუმენტი პრაქტიკაში უკვე აქტიურად გამოიყენება, ყველა პოტენციურ მსხვერპლს მიეწოდება ინფორმაცია ასეთი პროგრამისა და სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში დაცვის სპეციალური ღონისძიებების ამოქმედების შესაძლებლობის თაობაზე.

WWW.SIS.GOV.GE

2.3

პენიტენციურ დაწესებულებებში დაუბრკოლებლად (სპეციალური ნებართვის გარეშე) შესვლის შესაძლებლობა

ჯერ კიდევ 2021 წელს პროექტის „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მხარდაჭერა" ფარგლებში ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა სოციალური სამართლიანობის ცენტრთან თანამშრომლობით ჩაატარა კვლევა, რომელიც ქვეყანაში არსებულ დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს კომპლექსურად და ყოველმხრივ აფასებდა. კვლევის შედეგად სხვა გარემოებებთან ერთად იდენტიფიცირებული იყო გამოძიების პროცესში არსებული დაბრკოლებები, მათ შორის ისიც, რომ საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს არ შეეძლოთ დაუბრკოლებლად, სპეციალური ნებართვის გარეშე, პენიტენციურ დაწესებულებებში შესვლა[3]. ანალოგიური რეკომენდაცია წარადგინა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"-მაც 2022 წლის მარტში მინისტრთა კომიტეტში ე.წ „ცინცაბაძის ჯგუფის" საქმეებზე განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3 https://idfi.ge/public/upload/Analysis/GEO-Independent%20Investigative%20Mechanism%20in%20Georgia-min.pdf

როგორც ცნობილია, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამართალწარმოების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირების მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში იმ საქმეებში, რომლებშიც დაზარალებული პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირია, გადამწყვეტია დროული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს ჰქონოდათ პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლებამოსილება.

2022 წლის მარტში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად შეეხებოდა სამსახურის თანამშრომელთა პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის საკითხსაც.

საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა საკანონმდებლო ინიციატივა, რაც აისახა პატიმრობის კოდექსში. შესაბამისად, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად, სპეციალური ნებართვის გარეშე, შევიდნენ პენიტენციურ დაწესებულებებში და პატიმრების საჩივრებთან დაკავშირებით მოახდინონ დროული და ეფექტური რეაგირება.

2.4

სამსახურის საგამოძიებო მანდატის სხვა მნიშვნელოვან სამოხელეო დანაშაულებზე გავრცელება

არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების პროცესში შესაძლოა გამოკვეთილიყო სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სხვა ისეთი დანაშაული, რომლის გამოძიებაც არ მიეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილებას და, შესაბამისად, სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეხდინა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. გამოძიების პროცესში გამოვლენილი ასეთი მომიჯნავე დანაშაულები შესაძლოა იყოს მტკიცებულების ფალსიფიკაცია, განზრახ უკანონო დაკავება, სამსახურებრივი სიყალბე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სხვა. საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე სამსახური იძულებული იყო ასეთი მომიჯნავე დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში მიეღო ზომები (პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე) და საქმე გამოსაძიებლად სხვა უწყებაში გადაეგზავნა. ეს, ერთი მხრივ, ხელს უშლიდა სამსახურის წარმოებაში არსებული საქმის ეფექტიანად გამოძიებას, ხოლო, მეორე მხრივ, განაპირობებდა სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოს მიერ, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე ფაქტზე პარალელური გამოძიების (მათ შორის, ერთი და იმავე საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების) ჩატარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების ეფექტურად, შემჭიდროებულ ვადებში წარმართვის მიზნით და, ასევე, სამართალდამცავების მხრიდან მტკიცებულებების შესაძლო განადგურების ფაქტების გამოვლენის უზრუნველსაყოფად სამსახურმა გამოთქვა მზაობა და მიზანშეწონილად მიიჩნია ამ კუთხით საგამოძიებო მანდატის კიდევ უფრო გაფართოება. შესაბამისად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წინადადების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა გაიზარდა და მას დაემატა გამოძიების პროცესში გამოვლენილი ისეთი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება, როგორებიცაა საქართველოს სსკ-ის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 369[1]-ე (სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ცვლილება წინ გადადგმული ნაბიჯია სამოხელეო დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად.

2.5

სამსახურისთვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხელახალი გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება

ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესში, რაც სხვა ასპექტებთან ერთად ითვალისწინებს დამოუკიდებელი საგამოძებო სამსახურის გაძლიერებასა და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, სამსახურმა საქართველოს პარლამენტს საკუთარი წერილობითი მოსაზრებები წარუდგინა. დოკუმენტში მოთხოვნილ იქნა სამსახურისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ხელახალი გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების მონიჭება.

დღეს თავისი საგამოძიებო მანდატით მხოლოდ სპეციალური საგამოძიებო სამსახურია უფლებამოსილი, გამოიძიოს სამართალდამცავების მიერ ჩადენილი შემდეგი ტიპის დანაშაულები: ცემა, წამება, ძალადობის და არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რომლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით აღიარებული უფლებები.

შესაბამისად, უფრო მართებულია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი კონვენციური უფლებების დარღვევის ფაქტებზეც არა სხვა უწყებამ, არამედ უშუალოდ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა აწარმოოს ხელახალი გამოძიება. ეს, თავის მხრივ, სახელმწიფოს იმ პოზიტიური ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება, რომელიც სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების აღკვეთასა და დროულ გამოძიებას გულისხმობს.

2022 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით სამსახურის კომპეტენციაში შევიდა იმ ფაქტების გამოძიება, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიღწევა შესამჩნევად ზრდის დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის როლსა და მნიშვნელობას ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტიანად აღსრულების მიმართულებით.

2.6

გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის შექმნა

საგამოძიებო პროცესზე შიდა მონიტორინგის განხორციელების, გამოძიების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის, თემატური კვლევების, რეკომენდაციის შემუშავების, სტატისტიკის წარმოების, ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის შემუშავებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის გამოძიებაში ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტი შექმნა, რომელიც ამჟამად წარმატებით მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში შეიქმნა და მიზნად ისახავს, სამსახურმა წარმატებით გაართვას თავი და გააუმჯობესოს არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა. გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის ფუნქციები და მოვალეობებია:

• კონტროლი გაუწიოს სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების დროულ, ეფექტიან და კვალიფიციურ გამოძიებას;

• განახორციელოს მონიტორინგი სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებლების მიერ შედგენილ საგამოძიებო მოქმედებების ოქმებსა და სხვა საპროცესო დოკუმენტებზე;

• უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი;

• ჩაატაროს პრაქტიკისა და გამოძიების სტანდარტების კვლევა, გააანალიზოს და განაზოგადოს კვლევის პროცესში წამოჭრილი საკითხები, შეიმუშაოს რელევანტური სარეკომენდაციო/სახელმძღვანელო მითითებები და მონიტორინგი გაწიოს მათ შესრულებაზე;

• მოამზადოს სამსახურის საქმიანობის კვარტალური და ყოველწლიური ანგარიშები, რათა უზრუნველყოს სამსახურის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;

• ყოველწლიურად შეაფასოს გამომძიებელთა საქმიანობა და გააანალიზოს მათი დატვირთვა;

• მონიტორინგის შედეგების საფუძველზე განსაზღვროს გამომძიებელთა გადამზადების საჭიროებები და მონაწილეობა მიიღოს მათი კვალიფიკაციის ამაღლების დაგეგმვის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი დაკომპლექტდა საჯარო კონკურსების გზით შერჩეული, სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე კადრებით. ევროპის საბჭოს დახმარებითა და მათ მიერ მოწვეული ექსპერტის ჩართულობით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გამოძიების სტანდარტებისა და დეპარტამენტის დებულების დასახვეწად, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის დეპარტამენტისა და სამსახურის შემდგომ საქმიანობას.

2.7

ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები

2022 წლის 17 ივნისს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად ევროკომისიამ საქართველოს 12 პირობის შესრულების რეკომენდაცია მისცა, რომლის მე-4 პუნქტში სხვა საკითხებთან ერთად მითითებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით სამსახური აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. შეხვედრებზე განიხილებოდა წინადადებები ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით. სამუშაო პროცესში როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებმა, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციურ ცვლილებებთან და დამოუკიდებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება გამოთქვეს.

აქედან გამომდინარე, გაზრდილი საგამოძიებო უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების, ინსტიტუციური გაძლიერების აუცილებლობით გამოწვეული მიზნების დასაძლევად და უწყების ფუნქციური დამოუკიდებლობის უფრო მეტი კომპონენტის მოსაპოვებლად სამსახურმა საქართველოს პარლამენტს 2022 წლის 30 სექტემბერს წერილობით წარუდგინა შემუშავებული მოსაზრებები.

შესაბამისად, სამსახურის პოზიციის გათვალისწინებითა და ჩართულობით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი და მას მიენიჭა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების გამოძიების უფლებამოსილება. ეს კი ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას წარმატებით შეასრულოს პოზიტიური ვალდებულება და სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების გამოძიება დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს დაუქვემდებაროს.

ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციაში შევიდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების პროცესში გამოვლენილი ისეთი დანაშაულების გამოძიება, რომლებიც სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო მტკიცებულებების განადგურებას, უკანონო დაკავებას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სამსახურებრივ სიყალბეს უკავშირდება (სსკ-ის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და 369[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები).

საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სამსახურის მოსაზრება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულების თავიდან განსაზღვრის თაობაზე. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, არჩევნებთან დაკავშირებულ ძალადობრივ დანაშაულებს (სსკ-ის 162-163 და 164[4] მუხლები) სამსახური მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიძიებს, თუ მას ჩაიდენს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს მიენიჭა უფლებამოსილება, სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების მიზნით, მოითხოვოს შესაბამის კომიტეტში მოსმენის ჩანიშვნა. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შემდგომი გაძლიერებისა და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, სამსახური საქართველოს პარლამენტთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობას მომავალშიც აქტიურად განაგრძობს.

2.8

კახეთსა და სამეგრელოში ორი ახალი რეგიონული ოფისის გახსნა

2022 წლის 1 მარტიდან სამსახური საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისი მანდატის შესრულებას თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში განთავსებული ოფისებით შეუდგა, თუმცა, მხოლოდ სამი სამმართველოს მუშაობა არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო ოფისებიდან დაშორებულ რეგიონებში დროული და ეფექტიანი გამოძიების წარმოება. როგორც ცნობილია, გაზრდილი საგამოძიებო უფლებამოსილების შემდეგ სამსახურს დაექვემდებარა არა მხოლოდ საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება, არამედ, ასევე, სამართალდამცავების მხრიდან ყოფით ნიადაგზე ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული არაერთი მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგრძნობლად გაიზარდა სამსახურის გამომძიებელთა დატვირთვაც.

საგამოძიებო ორგანოს წინაშე არსებული ის გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძიების ობიექტურად, სწრაფად და ეფექტურად წარმოებასთან, სამსახურისგან სათანადო მობილობას, საგამოძიებო, საპროცესო და ოპერატიული ფუნქციების შეუფერხებელ განხორციელებას მოითხოვს.

ამ პროცესის მხარდასაჭერად კი საჭიროა სათანადო გამართული ინფრასტრუქტურა და პროფესიონალი კადრები. საგამოძიებო ორგანოს უნდა ჰქონდეს ყველა პირობა, რათა გამომძიებელი დროულად გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე და ამით თავიდან აიცილოს მტკიცებულებების განადგურება, დაზიანება და პირველადი სურათის შეცვლა. გარდა ამისა, მაქსიმალურად სწრაფად უნდა გამოიკითხოს პოტენციური მსხვერპლი/დაზარალებული, რომ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დროულად დაიგეგმოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოსაგროვებლად აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები. ამავე დროს, მსხვერპლს საგამოძიებო ორგანომ უნდა შეუქმნას დაცულობის განცდა, უსაფრთხოების გარანტიები და დროულად მიაწოდოს მისი უფლებების თაობაზე საჭირო ინფორმაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტის თვითმხილველ მოწმეებთან პირველი კონტაქტის დამყარება, რათა ისინი არ მოექცნენ დაინტერესებული სამართალდამცავებისა თუ სხვა პირების ზეგავლენის ქვეშ. საგამოძიებო ორგანოს, ასევე, უნდა ჰქონდეს საშუალება დროულად გამოითხოვოს შემთხვევის ადგილზე განთავსებული ვიდეო კამერის ჩანაწერები და არ დაუშვას მისი განადგურება.

გარდა ამისა, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისთვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაში დაზარალებულისთვის, საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება არ უნდა იყოს დაკავშირებული სირთულეებთან, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საგამოძიებო პროცესი მთელ რიგ შემთხვევებში მოითხოვს ხშირ კომუნიკაციას გამომძიებელსა და პოტენციურ დაზარალებულს შორის.

ამ გამოწვევების ფონზე დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის დაარსებიდან (2019 წლის 1 ნოემბრიდან) დღემდე, საზოგადოებას ჰქონდა მაღალი მოლოდინი და იმის სურვილი, რომ საგამოძიებო ორგანო მის წინაშე მდგარ ამოცანებს მაღალი სტანდარტებით შეასრულებდა. თუმცა ამის განხორციელება ცალკეულ შემთხვევებში ვერ ხდებოდა და ვერ ხდება დღესაც, რაც სწორედ ზემოთ ხსენებული პრობლემებით არის გამოწვეული. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოძიების პროცესში შესაძლებელი ხდებოდა მტკიცებულებების მოპოვება და მოქალაქეებთან კომუნიკაციის დამყარება, ეს დიდ ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული.

ამ მნიშვნელოვანი გამოწვევის საპასუხოდ სამსახურმა პირველი დღიდან პრიორიტეტად დაისახა რეგიონალური ოფისების გახსნა და ადგილზე საგამოძიებო დანაყოფების ამოქმედება. ყველაზე კრიტიკული ვითარება, გეოგრაფიული თვალსაზრისით, კახეთსა და სამეგრელოში აღმოჩნდა, სადაც გამომძიებლებს შემთხვევის ადგილზე გასვლა თბილისიდან და ქუთაისიდან უწევდათ, რაც, თავის მხრივ, მოითხოვდა დიდ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს და, ბუნებრივია, ართულებდა გამოძიების დროულობასა და ეფექტიანობას.

მუნიციპალიტეტებთან და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის შემდეგ სამსახურს საკუთრებაში გადაეცა ქ. თელავსა და ქ. ზუგდიდში სახელმწიფო ბალანსზე არსებული შენობები, რამაც სამსახურს საშუალება მისცა განეხორციელებინა საპროექტო და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. პარალელურად, დაწყებული ინსტიტუციური გაფართოების პროცესში ჩამოყალიბდა კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოები, რომლებიც დაკომპლექტდა ღია და საჯარო კონკურსის გზით შერჩეული პროფესიონალი და გამოცდილი გამომძიებლებითა და ოპერატიული თანამშრომლებით.

ქ. თელავი,ერეკლე II-ის გამზირი N16



ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. N58

დღეს ახალი რეგიონალური სამმართველოების ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ოფისი უზრუნველყოფილია საგამოძიებო ორგანოსთვის აუცილებელი ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ შორის, გამოკითხვისა და ამოცნობის ოთახებით. ოფისებში მოეწყობა ბავშვზე მორგებული არასრულწლოვანთა სივრცეები. ოფისები, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება ტელეხიდის სისტემით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სამსახურის სხვადასხვა რეგიონში მყოფ თანამშრომლებს, მაღალი ხარისხის თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ჩაატარონ ან/და დაესწრონ დისტანციურ სამუშაო შეხვედრებს.

მიუხედავად ამისა, სამსახურის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და დროული, ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად საჭიროა დამატებითი რეგიონალური ოფისების გახსნა ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში, კერძოდ ქ. რუსთავსა და ქ. გორში, რის შემდეგაც სამსახური პირველ ეტაპზე დაასრულებს რეგიონალური გაფართოების პროცესს. აღნიშნული რეფორმის სისრულეში მოსაყვანად სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშაობას.

2.9

აღმოსავლეთ საქართველოში ახალი საგამოძიებო დანაყოფის შექმნა

გაზრდილი საგამოძიებო ქვემდებარეობისა და ამით გამოწვეული დატვირთვის ფონზე სამსახური საგამოძიებო მიმართულების გაძლიერების აუცილებლობის წინაშე პირველივე დღეებიდან დადგა, როდესაც მას გამოსაძიებლად 40 ახალი მუხლი დაემატა. გატარებული ინსტიტუციური რეფორმის შედეგად საგამოძიებო დეპარტამენტში, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით მოქმედი მხოლოდ ერთი სამმართველო შედიოდა და 19 გამომძიებელს აერთიანებდა, შეიქმნა მეორე საგამოძიებო სამმართველო. აღნიშნულ დანაყოფში დასაქმდნენ როგორც ღია და საჯარო კონკურსის გზით შერჩეული, ასევე, საგამოძიებო დეპარტამენტში მომუშავე გამომძიებლები. შედეგად საგამოძიებო დეპარტამენტის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას პირველ სამმართველოსთან ერთად მეორე საგამოძიებო სამმართველოც შეუდგა, რამაც უფრო მოქნილი და სწრაფი გახადა საგამოძიებო პროცესი.

სამსახურმა, ასევე, დაიწყო მესამე სამმართველოს ჩამოყალიბებაზე მუშაობა მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულების კატეგორიისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

აღნიშნული დანაყოფი მთლიანად იქნება ორიენტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე, რაც საგამოძიებო დეპარტამენტს მისცემს საშუალებას ჰყავდეს თვისობრივად განსხვავებული კატეგორიის, ხასიათისა და შინაარსის მქონე დანაშაულებზე სპეციალიზებული გამომძიებლები. ამ ტიპის გამომძიებლები მხოლოდ ერთი კატეგორიის დანაშაულებს გამოიძიებენ, რაც კიდევ უფრო მეტად ეფექტიანს გახდის გამოძიების პროცესს და აამაღლებს საქმეთა გახსნის მაჩვენებელს.

2.10

სამსახურის ახალი სათავო ოფისის მშენებლობის დაწყება

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შექმნის დღიდან, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, რათა ამ ინსტიტუტს ჰქონოდა საკუთარ ბალანსზე აღრიცხული, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აღჭურვილი და საგამოძიებო ორგანოს საჭიროებებზე მორგებული სათავო ოფისი. ეს, ერთი მხრივ, შეამცირებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას და, მეორე მხრივ, გააუმჯობესებს სამუშაო გარემოს, ხელს შეუწყობს თანამშრომლებს სამსახურებრივი საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში, უფრო ეფექტურს გახდის საგამოძიებო პროცესს და აამაღლებს სამსახურის ცნობადობასა და იმიჯს საზოგადოებაში.

სპეციალური საგამოძებო სამსახურის ცენტრალური ოფისი განთავსებულია თბილისში, მ. ასათიანის ქუჩაზე, შენობაში, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პერიოდში იქნა იჯარით აღებული და ყოველთვიურად იჯარის გადასახდელი თანხა შეადგენს 17 700 დოლარის ეკვივალენტს ლარში.

სამსახურის საშტატო რიცხოვნობის ზრდასთან ერთად დღის წესრიგში დადგა დამატებითი საოფისე ფართის მოძიების საჭიროებაც, რათა სამსახურს ეფექტიანად შეესრულებინა თავისი ფუნქციები. ამ მიზნით იჯარით იქნა აღებული კიდევ ერთი შენობის ფართი, რომელიც მდებარეობს თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირზე N 42-42ა. საიჯარო გადასახადი ამ შემთხვევაში შეადგენს 4 450 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს აღნიშნული ორი ოფისის საიჯარო ქირა წელიწადში დაახლოებით 700 000 ლარი უჯდება, გაზრდილი უფლებამოსილების პირობებში აღნიშნული ოფისების ფართობი, ინფრასტრუქტურა და იქ არსებული პირობები, მაინც ვერ პასუხობს საგამოძიებო ორგანოს წინაშე არსებულ საჭიროებებს.

გარდა აღნიშნულისა, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან გადმოეცა მის სარგებლობაში და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული დაზიანებული (ჩამონგრეული) შენობა, რომელიც მდებარეობს თბილისში, კოსტა ხეთაგუროვის ქ. №2/წმინდა ნიკოლოზის ქ. №2-ში. აღნიშნულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ცენტრალური ოფისის აშენებას გეგმავდა და ამ მიზნით, უკვე განხორციელებული იყო შესაბამისი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვა. თუმცა, სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ, 2021 წლის 29 ნოემბერს, შენობის შიდა პერიმეტრზე ჩამოინგრა სართულშუა გადახურვებისა და საყრდენი კედლების ნაწილი და მომეტებული საფრთხის გამო შეჩერდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების დაზოგვისა და მისი რაციონალურად გამოყენების მიზნით და საქართველოს მთავრობასთან ნაყოფიერი თანამშრომლობისა და ხელშეწყობის შედეგად სარგებლობაში მიიღო თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 4 440 მ2 მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობა. აღნიშნულ ნაკვეთზე სამსახურის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით უნდა ჩატარდეს სამშენებლო სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგაც სამსახურს ექნება საგამოძიებო ორგანოს საჭიროებებზე მორგებული სათავო ოფისი.

ადმინისტრაციული ოფისის მშენებლობისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ამავე დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურება 2022 წლის დეკემბერში სამსახურმა შეისყიდა კონკურსის გზით. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესი.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ სამსახურის ადმინისტრაციული შენობა იქნება ენერგოეფექტური და სამსახურის ფუნქციებსა და საქმიანობის სპეციფიკას სრულად მორგებული. გარდა ამისა, შენობა აღიჭურვება უსაფრთხოებისთვის აუცილებელი თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ტექნიკითა და ინვენტარით (დაშვების სისტემა, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, ხანძარდეტექციისა და ავტომატური ხანძარქრობის სისტემა, საევაკუაციო გასასვლელები). შენობაში, ასევე, იქნება საკონფერენციო და ბრიფინგის სივრცე, არასრულწლოვანთა გამოკითხვის, მოქალაქეებთან შეხვედრებისა და ამოცნობის ჩასატარებელი ოთახები. ადმინისტრაციული შენობის საერთო და სამუშაო დანიშნულების სივრცეები სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებზე და მორგებული არასრულწლოვანთა ინტერესებზე.

WWW.SIS.GOV.GE

2.11

წინა წლებთან მიმართებით არასათანადო მოპყრობის ფაქტების გახსნის მაჩვენებლების ზრდა

ქვეყანაში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მიზანსა და მისიას სწორედ საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ძალადობრივი და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიება წარმოადგენდა. აღნიშნულის შემდეგ სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი არაერთი მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოძიება დაემატა.

დღეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი გამოწვევაა გაზრდილმა საგამოძიებო ქვემდებარეობამ და შინაარსობრივად განსხვავებული დანაშაულების გამოძიებამ არ შეაფერხოს სამსახურის სწრაფვა მისი შექმნის მიზნისა და მისიისკენ, რომელიც არასათანადო მოპყრობასთან ეფექტურ ბრძოლაში მდგომარეობს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლას და მის წარმატებით გამოძიებას თან ახლავს არაერთი სირთულე, რაც დაკავშირებულია ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების პრობლემასთან, მოწმეთა დაბალ ცნობიერებასთან, მათ დამოკიდებულებებთან, რომ სამართალდამცავის მხილებით გამოწვეული მოსალოდნელი უსიამოვნების გამო თავი შეიკავონ თანამშრომლობისგან, ცალკეულ შემთხვევაში თავად დაინტერესებული სამართალდამცავების მცდელობებთან ხელი შეუშალონ მტკიცებულებების მოპოვების პროცესს და ა.შ. ამ გარემოებების გათვალისწინებით 2020 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული ყველა ანგარიში აჩვენებს, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გახსნის მაჩვენებელი არის დაბალი, რის გასაუმჯობესებლადაც სამსახურს მომავალში დიდი მოცულობის სამუშაოს გაწევა მოუწევს.

სამსახურის შექმნის მიზნისა და მისიისკენ სწრაფვის პროცესში არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისა და მისი შედეგების შესაფასებლად მნიშვნელოვანია პარალელები გავავლოთ წინა წლების მაჩვენებლებთან. ამგვარი მონაცემები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს დადებითი ტენდენცია არასათანადო მოპყრობის ფაქტების გახსნის კუთხით. კერძოდ, 2022 წლის 10-თვიან პერიოდში გახსნილ იქნა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ, 2021 წელს - 6 პირის მიმართ, ხოლო 2020 წელს - 4 პირის მიმართ, რაც ნიშნავს იმას, რომ 2022 წლის 10 თვის მონაცემით არასათანადო მოპყრობის ფაქტების გახსნის მაჩვენებელი 2020 წლის მონაცემებთან შედარებით 100%-ით გაიზარდა, ხოლო 2021 წლის მონაცემებთან შედარებით 33%-ით.

2022 წლის

10 თვის საქმიანობის შედეგები

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გაიზარდა

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ

100%

2020 წლის მთლიან წელთან მიმართებით

33%

2021 წლის მთლიან წელთან მიმართებით

WWW.SIS.GOV.GE

2.12

ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დროულობა და გახსნის მაღალი მაჩვენებელი

2022 წლის 1 მარტიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებას წარმოადგენს ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიება. სამსახურის გაცხადებული პოლიტიკაა მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად უზრუნველყოს იმ ტიპის დანაშაულების გამოძიება, რომელთა თაობაზეც მითითებულია ევროკომისიის 12-პუნქტიან გეგმაშიც. იმდენად, რამდენადაც საქართველოში მიმდინარე რეფორმების დღის წესრიგშია დემოკრატიზაციის პრინციპზე დაფუძნებული მმართველობის უზრუნველყოფა, ამ მიზნის მისაღწევად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მედია წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებიც დაცული უნდა იყვნენ პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ჩარევისაგან. შესაბამისად, სამსახური მყისიერად რეაგირებს ჟურნალისტების საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებზე და დაუყოვნებლივ იწყებს გამოძიებას. უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიება იწყება სოციალურ ქსელებსა თუ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის/სიუჟეტის საფუძველზეც[4]. სამსახური გამოძიების დაწყებისა და მიმდინარეობის თაობაზე პროქატიულად აწვდის ინფორმაციას საზოგადოებასა და თავად დაზარალებულ ჟურნალისტებს/ოპერატორებს.

4 აღნიშნული 12 საქმიდან 6-ზე გამოძიება დაიწყო სოციალურ ქსელებსა თუ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ისე, რომ სამსახური არ დაელოდა დაზარალებული ჟურნალისტის/ოპერატორის ან სხვა პირის ოფიციალურად მომართვას.

სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიებების მიხედვით დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საკმაოდ მაღალია ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების გახსნის მაჩვენებელი. კერძოდ, 2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 12 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული 12 სისხლის სამართლის საქმიდან:

ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **7 პირის მიმართ, კერძოდ:**

3-ის მიმართ სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

2-ის მიმართ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

1-ის მიმართ სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

1-ის მიმართ სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2022 წლის

10 თვის საქმიანობის შედეგები

ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე

12 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება

7 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა

WWW.SIS.GOV.GE

2.13

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურის ბრენდირების დასრულება

სპეციალური საგამოძიებო სამსახური შექმნის დღიდან თავისი მანდატის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამის ღონისძიებებს აქტიურად ატარებს და მიმდინარე თემების, პროექტებისა და სამსახურის განვითარების სამომავლო გეგმების შესახებ საზოგადოებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით რეგულარულად აწვდის ინფორმაციას.

ამ მიზნით სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მაისში ბრენდირების ახალი სტრატეგია შეიმუშავა და ბრენდირების პროცესის სისტემატიზაციას თანმიმდევრულად განაგრძობს. ბრენიდირების სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელება სამსახურის განვითარებისას ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ბრენდინგის პროცესში მნიშვნელოვანი იყო სამსახურის იდენტობაზე ყურადღების გამახვილება, რაც იქნებოდა ახალი დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის სახე და ჩაერთვებოდა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში.

ბრენდირების ახალი სტრატეგიის ფარგლებში შეიქმნა ლოგო, რომელიც განთავსდა სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფ მანქანებზე, თანამშრომლებისთვის დამზადდა სპეციალური ტანსაცმელი/ფორმები - ჟილეტები, მაისურები, ქურთუკები, ქუდები და სხვა.

ახალი ლოგო, ბრენდირებული კალმები, ვიზიტორთა ბარათები, წიგნაკები

ბრენდირებული ტანსაცმელი/ფორმები - ჟილეტები, მაისურები, ქურთუკები, ქუდები



ბრენდირებული მანქანები

ლოგოს შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი იყო სწორი, ძლიერი და დასამახსოვრებელი ვიზუალის შექმნა, რომელიც მარტივი აღსაქმელი იქნებოდა საზოგადოებისთვის და ჩამოაყალიბებდა ნდობას სამსახურის მიმართ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემა წარმოადგენს ლაჟვარდის არშიით შემოსაზღვრულ დაშვებულ ხმალზე განთავსებულ გადაშლილ წიგნს, რომლის მარცხენა გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშის ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ხოლო ხმლის ზემოდან გამოსახულია სტილიზებული ივერიული გვირგვინი.

2.14

თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით 2022 წლის მარტში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელმა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა. საკანონმდებლო ორგანომ უწყების მიერ შეთავაზებული ცვლილებები გაიზიარა და სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობითა და უფლებამოსილი კომიტეტების აქტიური ჩართულობით წარდგენილი საკითხები კანონპროექტის სახით შეიმუშავა.

საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი მოსაზრებები, რომლებიც დღეს უკვე შესაბამისი სამართლებრივი აქტებისა თუ კანონების შემადგენელი ნაწილია, მნიშვნელოვან ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ საკითხებს შეეხებოდა. მათ შორის, შეთავაზებული ცვლილებების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დასაქმებული თანამშრომლების უფლებრივი, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების გაფართოება და მათზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე სამსახურის საგამოძიებო და მხარდამჭერ დეპარტამენტებში დასაქმებული თანამშრომლები განსხვავებულ რეჟიმს ექვემდებარებოდნენ და როგორც მათი კარიერული მართვის, ასევე სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული საკითხები განსხვავებულად რეგულირდებოდა. სამსახურის ახლებური ფორმით ჩამოყალიბების შემდგომ დღის წესრიგში დადგა თანამშრომელთათვის ერთიანი სამართლებრივი რეგულაციების შემუშავებისა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი თანაბარი უფლებრივი მდგომარეობით უზრუნველყოფის აუცილებლობა.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად:

• ნორმატიული აქტით განისაზღვრა სამსახურის თანამშრომლის ცნება, რომელმაც მოიცვა როგორც საგამოძიებო, ასევე მხარდამჭერ დეპარტამენტებში დასაქმებული პირები;

• სამართლებრივი აქტით დადგინდა სამსახურში დასაქმებულ ნებისმიერ თანამშრომელთან მიმართებით ერთიანი საკადრო პოლიტიკის განსაზღვრისა და წარმოების შესაძლებლობა როგორც დასაქმების, ასევე, შემდგომი კარიერული განვითარების ნებისმიერ საფეხურზე. ამაში იგულისხმება ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტებიც, როგორებიცაა შეფასება, წახალისება, დისციპლინური წარმოება და სხვა;

• სამსახურში დასაქმებული ყველა თანამშრომელი (მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა) და მათი ოჯახის წევრები დაექვემდებარნენ ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას, რომლის საბაზისო პაკეტს სრულად ანაზღაურებს სამსახური;

• სამსახურის საგამოძიებო და ინსპექტირების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული თანამშრომლების მსგავსად გაჩნდა მხარდამჭერ დეპარტამენტში დასაქმებული პირებისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭების შესაძლებლობა, რაც თითოეულ მათგანს უფლებას აძლევს, მიიღონ:

- წოდებრივი სარგო;
- წელთა ნამსახურების დანამატი;
- სახელმწიფო კომპენსაცია ან სახელმწიფო პენსია, სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარების გამო გათავისუფლების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

• საკანონმდებლო დონეზე შეიქმნა სამსახურის თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა, მათ შორის, გაჩნდა საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ხარჯების დაფარვის სამართლებრივი საფუძველი იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც მსახურობენ მუდმივი საცხოვრებელი ტერიტორიიდან მოშორებით.

ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში სამსახურის თანამშრომელთა უფლებრივი, სოციალური და სამართლებრივი დაცვის მიმართულებით თანაბრად ხელმისაწვდომი დაცვის გარანტიების შექმნამ ახლად ჩამოყალიბებულ სამსახურს საშუალება მისცა შეექმნა მასში დასაქმებული პირებისთვის ადეკვატური, თანამშრომელზე ორიენტირებული და თანაბარ საწყისებზე დაფუძნებული სამართლიანი სამუშაო გარემო, რომელიც დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს სამსახურის წარმატებულ საქმიანობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას.

WWW.SIS.GOV.GE

3

საკადრო პოლიტიკა

3.1

საკადრო პოლიტიკა და ინსტიტუციური გაფართოება

ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად ორი ახალი უწყების, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, ჩამოყალიბების შემდგომ საკადრო გადაჯგუფების შედეგად ყველა იმ თანამშრომელს, რომლებმაც გამოხატული წერილობითი ნების საფუძველზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მუშაობის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღეს, მიეცა საქმიანობის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ტოლფას თანამდებობაზე გაგრძელების შესაძლებლობა. კერძოდ, 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით სამსახურში დასაქმებული იყო 100 თანამშრომელი, რომელთაგანაც **67-მა (მათ შორის 46-მა საგამოძიებო მიმართულების თანამშრომელმა)** გამოთქვა სამსახურთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი, რაც სრულად დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა განცხადებები



თანამშრომლების ამჟამინდელი მდგომარეობა



საგულისხმოა, რომ ყველა შემთხვევაში იმ დასაქმებულ თანამშრომლებს, რომლებმაც გამოთქვეს აღნიშნულის სურვილი **(სულ 67 პირი)**, მიეცათ სამსახურთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობა და მათი უდიდესი ნაწილი დღემდე ინარჩუნებს დაკავებულ პოზიციებს. 2022 წლის 1 მარტიდან დღემდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის იმ თანამშრომელთაგან, რომლებმაც მუშაობა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში განაგრძეს, მიმდინარე პერიოდში მხოლოდ 3-მა დატოვა დაკავებული თანამდებობა[5].

აღსანიშნავია, რომ სამსახურის განახლებული სტრუქტურის ფარგლებში არ განხორციელებულა საშტატო ერთეულების შემცირება. შესაბამისად, მიმდინარე რეორგანიზაციისას არცერთი თანამშრომელი არ გათავისუფლებულა, ისევე როგორც არ დაფიქსირებულა მათი არსებული მდგომარეობის რაიმე ფორმით გაუარესების ფაქტები. 2022 წლის დასასრულს შემუშავდა და დამტკიცდა სამსახურის ახალი საშტატო ნუსხა. აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან სამსახურის საშტატო რაოდენობა გაიზარდა და მოცემულ ეტაპზე შეადგენს 150 ერთეულს.

რაც შეეხება სამსახურის შესაბამის პოზიციებზე განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს, უნდა აღინიშნოს, რომ, 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, დასაქმებულ თანამშრომლებს ამავე წლის 1 მარტიდან განესაზღვრათ მანამდე არსებული ხელფასის **ტოლფასი** თანამდებობრივი სარგო. ამასთან, ერთიანი სახელმწიფო საკადრო პოლიტიკის თანმდევად გაიზარდა თანამდებობრივი სარგო 10%-იანი ზღვრული ოდენობის ფარგლებში. დამატებით, არსებული საბიუჯეტო სახსრებისა და ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, რიგ პოზიციებთან მიმართებით მიღებულ იქნა სახელფასო განაკვეთის ზრდის გადაწყვეტილება. კერძოდ, 2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში თანამდებობრივი სარგოს მატების მაჩვენებელი დაფიქსირდა **20-მდე** თანამდებობაზე როგორც საგამოძიებო, ასევე მხარდამჭერ დეპარტამენტებში ისეთ პოზიციებზე, რომლებიც საჭიროებს მრავალმხრივ და კომპლექსურ მუშაობას. ასეთ თანამდებობებს წარმოადგენს, მაგალითად, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, გენერალური ინსპექციის უფროსი, გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე, ექსპერტ-კრიმინალისტი, საქმისწარმოებისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის კოორდინატორი, ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კოორდინატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, შესყიდვების სპეციალისტი, ფინანსური უზრუნველყოფის სპეციალისტი და სხვა. განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგი სახით:

5 - სამივე მათგანმა სამსახურიდან წასვლის გადაწყვეტილება პირადი მოტივებით დაასაბუთა და თავად იყო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატორი.

სამსახურის სტრუქტურა



WWW.SIS.GOV.GE

WWW.SIS.GOV.GE

3.2

თანამშრომელთა შერჩევა, გადამზადება და დაწინაურება

აღსანიშნავია, რომ შემუშავდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიერ სამსახურის გავლის წესი, რომელმაც განსაზღვრა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის თანამდებობაზე მიღებისა (მათ შორის, კონკურსის ჩატარების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი) და საქმიანობის წესი და პირობები (მათ შორის, სამსახურის თანამშრომელთა წახალისების ფორმები და საფუძვლები).

2022 წელს სამსახურმა ჩაატარა 26 ღია, 2 გამარტივებული და 6 შიდა კონკურსი. კონკურსის შედეგად შეირჩნენ კვალიფიციური კადრები ისეთ მნიშვნელოვან პოზიციებზე, როგორებიცაა საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის, საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს უფროსის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის,

გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის გამოძიების ხარისხის შეფასების სპეციალისტის, მკვლევარ-ანალიტიკოსის, გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტის, ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კოორდინატორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის, ეკონომიკური დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფის სპეციალისტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობები. აღსანიშნავია, რომ კონკურსის შედეგად შესაძლებელი გახდა სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ყველა მენეჯერული რგოლის დაკომპლექტება, რამაც ხელი შეუწყო ამ დანაყოფების ეფექტიან ფუნქციონირებას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოს, კახეთის სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებისა და ოპერატიული სამმართველოს ოპერატიული მუშაკების შერჩევის მიზნით ჩატარდა შესაბამისი საკონკურსო პროცედურები, რომელთა ფარგლებშიც, შესაბამისი ცოდნის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე კადრები შეირჩნენ. გარდა ამისა, ჩატარდა რამდენიმე შიდა კონკურსი, რამაც სამსახურში დასაქმებულ თანამშრომლებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობა მისცა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რეგიონული სამმართველოების შექმნისა და საკადრო გადაჯგუფების შედეგად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს, დასავლეთ საქართველოს სამმართველოს, კახეთის სამმართველოს, აღმოსავლეთის (თბილისის) მეორე სამმართველოსა და ოპერატიული სამმართველოს უფროსებად სწორედ სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დასაქმებული გამომძიებლები და თანამშრომლები შეირჩნენ, რომელთაც სამსახურთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდათ და სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საქმეების გამოძიების სპეციფიკას ზედმიწევნით იცნობდნენ. ხაზგასასმელია, რომ სამსახურისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ უწყებაში დასაქმებული თანამშრომლების განვითარება და მათთვის კარიერული წინსვლის შესაძლებლობების მიცემაა. შექმნის დღიდან სამსახურის მიერ ვაკანტურ პოზიციებზე პირთა შერჩევა ყველა შემთხვევაში ღია და რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე განხორციელდა. საკონკურსო კომისიაში სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრისა და კონკრეტული დარგის მოწვეული წარმომადგენლები.

სამსახურის შექმნის დღიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, ასევე, წარმოადგენს თანამშრომელთა გადამზადება და მათი უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფა. ამ მიზნით გატარდა ღონისძიებები კომპლექსური ტრენინგ-საჭიროებების კითხვარის შემუშავებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვისთვის. შედეგად, 2023 წლისთვის მომზადდა არსებულ საჭიროებებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება და განხორციელდება მომდევნო წლის სასწავლო აქტივობები. ასევე, 2022 წლის განმავლობაში არსებული მწირი საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით, დამყარდა აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან პირველადი და აუცილებელი ტრენინგების ჩატარებისთვის საჭირო რესურსის მოძიებისა და მობილიზების მიზნით. შედეგად, სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ 6 სასწავლო აქტივობაში, რომელთა ფარგლებში გადამზადდა 100-მდე მონაწილე, მათ შორის: გენერალური ინსპექციის, გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები და სტაჟიორ-გამომძიებლები. ტრენინგები განხორციელდა ევროპის საბჭოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მხარდაჭერით. ტრენინგები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა დაზიანებათა დოკუმენტირება, მსხვერპლის/მოწმის ან/და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გამოკითხვის თავისებურებები, სექსუალური ძალადობის გამოძიების თავისებურებები, სექსუალური და გენდერული ძალადობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

სამსახური ჩაერთო და შესაბამისი კანდიდატი წარადგინა კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამაზე, რომელიც შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება. პროგრამა საფუძვლიანად ფარავს კორუფციის სამართლებრივ ასპექტებს, კორუფციის რისკების მართვას საჯარო და კერძო დაწესებულებებში, ანტიკორუფციულ პლატფორმებს, კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებით შესაბამისი შეტყობინებების სწრაფად და შეუფერხებლად მიღების მიზნით ფუნქციონირებს ცხელი ხაზის ნომერი - 199, რომლის საშუალებით დაინტერესებულ მოქალაქეებს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში აქვთ შესაბამისი კონსულტაციის მიღებისა და შეტყობინების დაფიქსირების შესაძლებლობა. ცხელი ხაზის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 4 თანამშრომელი. საგულისხმოა, რომ 2022 წლის 1 მარტიდან, გაზრდილი საგამოძიებო ქვემდებარეობის გათვალისწინებით, გაიზარდა სამსახურის ცხელი ხაზის დატვირთვაც, რამაცამ მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობრივი ზრდა გამოიწვია.

WWW.SIS.GOV.GE

4

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

4.1

ცნობიერების ამაღლება

2022 წლის 1 მარტიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მედიასა და საზოგადოებასთან და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მუდმივად აწვდის მათ ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის შესახებ.

საზოგადოებისთვის ამ ტიპის ინფორმაციის მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფორმირების შედეგად ორი დამოუკიდებელი უწყება შეიქმნა. შესაბამისად, არსებობდა დიდი მოლოდინი და ინტერესი, როგორ გააგრძელებდა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო მუშაობას, როგორი იქნებოდა მისი გეგმები და საქმიანობის პოლიტიკა. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შექმნის პირველი დღიდან საზოგადოებასთან და მედიასთან ღია და გამჭირვალე კომუნიკაცია აირჩია.

შექმნის დღიდან სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ, განხორციელებული რეფორმები, გამოწვევები და სამომავლო გეგმები პროაქტიული რეჟიმით ქვეყნდება Facebook-ისა და twitter-ის გვერდებზე. მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე ვრცელდება ოფიციალური განცხადებები და ტარდება ბრიფინგები. საზოგადოებას შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება მიმდინარე საქმეებზეც.

10 თვის განმავლობაში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელდა 43 ოფიციალური განცხადება, ჩატარდა 8 ბრიფინგი, გაიმართა 24 შიდა და 22 გარე შეხვედრა. ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსდა როგორც საინფორმაციო სააგენტოების ოფიციალურ გვერდებზე, ისე გაშუქდა სატელევიზიო არხების მიერ. სოციალურ ქსელში განთავსდა 23 საინფორმაციო ხასიათის ბანერი.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ყველა საქმეზე ჰქონდა შესაბამისი რეაგირება და ვრცელდებოდა როგორც წერილობითი ოფიციალური განცხადებები, ასევე კეთდებოდა სატელევიზიო კომენტარები უწყების შესაბამისი სპიკერების მიერ.



სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდზე (www.sis.gov.ge) სამსახურის ყველა სიახლე და გავრცელებული განცხადება ხელმისაწვდომია ორ, ინგლისურ და ქართულ, ენაზე.



2022 წლის 7 მარტიდან ფუნქციონირებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური Facebook გვერდი. სოციალური ქსელის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს კომუნიკაციის შესაძლებლობა.

10 თვის განმავლობაში სამსახურის Facebook გვერდის ვიზიტორთა რაოდენობამ 798 028 მომხმარებელი შეადგინა, ხოლო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გვერდის გამომწერების რაოდენობა დღეის მდგომარეობით 12 470 მომხმარებელია.





• ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა, ასევე, ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების ინიცირება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული სტუდენტებისთვის სამსახურში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა და შემდგომი დასაქმება, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.
სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შექმნიდან 10 თვის განმავლობაში სამსახურის გამომძიებლებმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან 5 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს და სამსახურის სტრუქტურა, ძირითადი ფუნქციები, მიმდინარე აქტუალური თემები და სამომავლო გეგმები გააცნეს.

სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების, შეტყობინებისა და საჩივრის მექანიზმის შესახებ საზოგადოებისა და მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების ამაღლების მიზნით ევროსაბჭოს პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაიბეჭდა 2000 ცალი საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით გავრცელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებებში.

4.2

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სამსახურის შექმნის დღიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 17 განცხადება. წარმოდგენილი განცხადებებიდან საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად სრულად გაიცა 15 შემთხვევაში, ხოლო 2 შემთხვევაში გაიცა ის ინფორმაცია, რომელსაც სამსახური შექმნის დღიდან - 2022 წლის 1 მარტიდან ამუშავებს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 9 დეკემბერს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს გადაეგზავნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც მოიცავს სამსახურის მიერ 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 9 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციას.

ღია და გამჭვირვალე საქმიანობის უზრუნველსაყოფად სამსახური სამ თვეში ერთხელ აქვეყნებს ანგარიშს, რომელშიც ასახულია საგამოძიებო მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული ანგარიშები განთავსებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ამასთან, სამსახურის საქმიანობის ექვსი თვის ანგარიში წარედგინა უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს. ანგარიშში მთავარი აქცენტი სამართალდამცველების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების სტატისტიკურ მონაცემებზე და ამ მიმართულებით გახსნილი საქმეების მაჩვენებელზე გაკეთდა.

WWW.SIS.GOV.GE

5

თანამშრომლობა

5.1

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

შექმნის დღიდან სამოქალაქო სექტორთან პროაქტიული თანამშრომლობა და ანგარიშვალდებულება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნით სხვადასხვა პროფილით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ინდივიდუალური შეხვედრა, რომელთა მიზანს სამსახურის მიმართულებებისა და საქმიანობის გაცნობა, უწყების წინაშე მდგარ გამოწვევებზე მსჯელობა და სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა წარმოადგენდა.

ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,“[6] „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი,“[7] „სოციალური სამართლიანობის ცენტრი,“[8]

6 - https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosi-koka-kacitadze-moadgileebtan---giorgi-kvaracxeliastan-da-natia-songulashviltan-ertad-saias-tavmjdomares-nikoloz-simonishvils-shexvda/176
7 - https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosis-moadgilem-natia-songulashvilma-informaciis-tavisuflebis-ganvitarebis-institutis-agmasrulebel-direqtortan-giorgi-kldiashviltan-shexvedra-gamarta/184
8 - https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosi-koka-kacitadze-da-ufrosis-pirveli-moadgile-giorgi-kvaracxelia-socialuri-samartlianobis-centris-warmomadgenlebs-shexvdnen/175

„მედია ადვოკატირების კოალიცია,“[9] „საფარი“[10] და „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი.“[11]

გარდა აღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" მხარდაჭერითა და სამსახურის ინიციატივით გაცნობითი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული შეხვედრები დაიგეგმა და განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით. კერძოდ, რეგიონული შეხვედრები გაიმართა საქართველოს 4 ქალაქში (ქ. ბათუმი, ქ. ზუგდიდი, ქ. ქუთაისი და ქ. თელავი), სადაც სხვა სამიზნე სეგმენტთან ერთად მოწვეული იყვნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა[12]. საქართველოს მასშტაბით დაგეგმილმა შეხვედრებმა სამსახურს საშუალება მისცა ჰქონოდა წვდომა რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, გაეცნო მათთვის უწყების უფლებამოსილებები, გაზრდილი მანდატი, სამომავლო გეგმები, არსებული გამოწვევები და განესაზღვრა მათთან სამომავლო თანამშრომლობის ფორმატი.

სამსახურმა აქტიური ნაბიჯები გადადგა სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობის მიზნით. კერძოდ, ნებისმიერი ინსტიტუციური რეფორმა, ისევე როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავების პროცესი წარიმართა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორებიცაა:

• ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭოს წარდგენა[13] და მემორანდუმის გაფორმება[14];

• ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციებისა და პრაქტიკის საფუძველზე შემუშავებული იმ სახელმძღვანელო დოკუმენტის წარდგენა[15] და პრაქტიკაში იმპლემენტაცია, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავების მიერ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმის მასალებთან წვდომისა და მასალების გაცნობის საშუალება არასათანადო მოპყრობის მსხვერპლებსაც მიენიჭა[16];

• პოტენციური დაზარალებულის/მსხვერპლის პირადი ცხოვრების დაცვის, მისი ფიზიკური უსაფრთხოებისა და გამოძიებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების სახელმძღვანელო დოკუმენტის წარდგენა[17] და იმპლემენტაცია[18];

9 - https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosi-koka-kacitadze-mediis-advokatirebis-koaliciis--warmomadgenlebs-shexvda/173
10 . https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosi-koka-kacitadze-moadgile-natia-songulashviltan-ertad-qalta-uflebadamcveli-organizacia-safaris-xelmdzgvanels-baia-pataraias-shexvda/231
11 - https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosis-moadgile-natia-songulashvili-wamebis-msxverplta-fsiqosocialuri-da-samedicino-reabilitaciis-centris-warmomadgenlebs-shexvda/243
12 - https://sis.gov.ge/ka/article/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-evropis-sabchos-mxardacherit--regionaluri-shexvedrebi-gamarta/206
https://sis.gov.ge/ka/article/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-cnobierebis-amaglebis-miznit-samizne-jgufebshi-regionuli-shexvedrebi-gamarta-/295;

• სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით კვალიფიკაციის გამიჯვნის სახელმძღვანელო დოკუმენტზე მუშაობის დაწყება[19];

• ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნისა და ევროპული სასამართლოს რეკომენდაციების ეფექტურად შესრულების მიზნით ახალი სტრუქტურული ერთეულის, მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს, კონცეფციის წარდგენა[20].

ზემოთ დასახელებული ფორმატების ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ როგორც უშუალოდ დაგეგმილი რეფორმისა თუ პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსის გაცნობის, ასევე დისკუსიაში ჩართვისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა. სამსახურმა უწყების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არაერთგზის გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი მოსაზრებები, რამაც არსებითად შეუწყო ხელი საქმიანობის სამომავლო დახვეწასა და გაუმჯობესებას.

ასევე ხაზგასასმელია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გაცხადებული პოლიტიკის ფარგლებში მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ. კერძოდ, სამსახურის ინიციატივითა და ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" მხარდაჭერით ჩატარდა შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც მათ მიეცათ სამსახურის ექვსი თვის საქმიანობის შედეგების დეტალურად გაცნობისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა[21]. შეხვედრის ფარგლებში წარდგენილი იყო როგორც დეტალური საგამოძიებო სტატისტიკა, ასევე უწყების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ტენდენცია. ამასთან, ანალოგიური საკითხების გაფართოებული ფორმატით განხილვის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღეს სამსახურის ექვსი თვის საქმიანობის ანგარიშის საჯარო წარდგენაში, რომელზეც გამოძიების შედეგებზე, ინსტიტუციური განვითარების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე გაკეთდა აქცენტები[22].

სამსახური მომავალშიც გეგმავს მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობის გაგრძელებას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

13 - ღონისძიება განხორციელდა ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" მხარდაჭერით;
14 - https://sis.gov.ge/ka/article/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-samoxeleo-danashaulis-prevenciis-miznit-urtiertanamshromlobis-memorandumi-gaaforma/287
15 - ღონისძიება განხორციელდა ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" მხარდაჭერით.

სამსახური ასევე აქტიურად მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროექტებში. აღნიშნული თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ ორგანიზებული სამართლის სკოლა, სადაც სამსახურის წარმომადგენელი მიიწვიეს ტრენერის რანგში. მას ჰქონდა შესაძლებლობა მსმენელებთან ესაუბრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის არსი, მნიშვნელობა, უფლებამოსილებები, სამსახურის გამოწვევები და მისი საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები როგორც ზოგადად, ისე ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიების ნაწილში.

16 - https://sis.gov.ge/ka/article/evropis-sabchos-mxardacherit-specialurma-sagamodziebo-samsaxurma--uflebadamcvel-organizaciebs-da-saxalxo-damcvelis-aparatis-warmomadgenlebs-adamianis-uflebata-dacvis-evropuli-sasamartlos-rekomendaciit-shemushavebuli-dokumenti-gaacno/196

17 - ღონისძიება განხორციელდა ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში” მხარდაჭერით;

18 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid02FpovbsDv7QDs7ELbg5PiBscsiTtEsCJP1adD9E7QVgi5LS6mKYU5YKqPsimBHtr3l

19-https://sis.gov.ge/ka/article/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-wamebis-da-arasatanado-mopyrobis-faqtebis-kvalifikaciis-sakitxebze-saxelmdzgvanelo-dokumentis-shemushavebis-miznit-ordgiani-samushao-shexvedra-gamarta/289 - ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ მხარდაჭერით;

20 - https://sis.gov.ge/ka/article/specialur-sagamodziebo-samsaxurshi-msxverplta-uflebebis-dacvis-sammartvelo-iqmneba/294 -ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ მხარდაჭერით.

21 - https://sis.gov.ge/ka/article/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-uflebadamcvel-organizaciebs-da-saxalxo-damcvelis-aparatis-warmomadgenlebs-samsaxuris-saqmianobis-6-tvis-shedegebi-gaacno/225

22 - https://sis.gov.ge/ka/article/specialuri-sagamodziebo-samsaxuris-ufrosma-koka-kacitadzem-samsaxuris-mier-gaweuli-saqmianobis-da-samomavlo-gegmebis-prezentacia-gamarta/235

5.2

საჯარო უწყებებთან თანამშრომლობა

სამსახური, ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობს საჯარო უწყებებთან. 2022 წელს სამსახურის უფროსი მოადგილეებთან ერთად მთელი საქართველოს მასშტაბით შეხვდა სამართალდამცავი ორგანოების (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრიოს საგამოძიებო სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის), არასამთავრობო ორგანიზაციების, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის, საგანმანათლებლო რესურსცენტრების, საჯარო სკოლებისა და სახალხო დამცველის აპარატის ადგილობრივ წარმომადგენლებს. სულ 4 რეგიონალური შეხვედრა გაიმართა.

რეგიონალური შეხვედრები ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა. შეხვედრების ციკლი ბათუმიდან დაიწყო და ზუგდიდში, ქუთაისსა და თელავში გაგრძელდა. შეხვედრის მიზანს დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილების, შეტყობინებისა და საჩივრის მექანიზმის შესახებ სამიზნე ჯგუფებში ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. სამუშაო ფორმატით გამართულ შეხვედრებზე სამსახურმა პირველი კვარტალური ანგარიში წარადგინა და მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები, საგამოძიებო მიმართულებით არსებული ტენდენციები, ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილა. შეხვედრაზე მხარეებმა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის მანდატიდან გამომდინარე, რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ჭრილში აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრებში საჯარო უწყებების 150-ზე მეტი თანამშრომელი მონაწილეობდა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეხვედრები იმავე სამიზნე ჯგუფებთან დაგეგმილია რუსთავში, გორსა და ბორჯომში.

5.3

საერთაშორისო თანამშრომლობა

სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, რომელთა ხელშეწყობითაც სამსახურის განვითარებისა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

სამსახური სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში აქტიურად მონაწილეობს. აღსანიშნავია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგი. კომპეტენციის ფარგლებში სამსახური საქართველო-ევროკავშირის ასოცირების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების პროცესში ჩაერთო და 2022 წლის 25 მარტს გამართულ მე-7 სხდომას დაესწრო.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა (EU, INL, DoJ, CoE) და ადგილობრივი პროექტების წარმომადგენლებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის, განსახორციელებელი პროექტების განხილვის, საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებისა და სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებზე მსჯელობის მიზნით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა.

2022 წლის ივნისში სამსახური ჩაერთო ქ. ბრიუსელში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-15 შეხვედრაში (HRD). ევროკავშირის ქვეკომიტეტის წევრებს სამსახურმა თავისი მანდატის, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე მოხსენება წარუდგინა.

2022 წლის 5-6 ივლისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაში მიიღო მონაწილეობა. საქართველოს დელეგაციამ იუსტიციის მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით ადამიანის უფლებათა კომიტეტს „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე მე-5 პერიოდული ანგარიში წარუდგინა.
ევროსაბჭოს პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდაჭერით სამსახურმა მონაწილეობა მიიღო თანასწორობის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში სხვა პარტნიორ უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) ორგანიზებით სამართალდამცავ უწყებებსა და ცენტრალურ ხელისუფლებაში კორუფციის პრევენციისა და კეთილსინდისიერების ხელშეწყობის შეფასების მე-5 რაუნდის ფარგლებში 2022 წლის დეკემბერში სამსახურმა მოამზადა ანგარიში, რომელიც გადაეგზავნა ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის წარმომადგენელმა 2022 წლის 23-24 ნოემბერს ქ. ჟენევაში რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში **(CERD)** 108-ე სესიის ფარგლებში საქართველოს მიერ წარდგენილი გაერთიანებული მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშების განხილვასა და 2022 წლის 1 დეკემბერს ქ. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების **მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის (JFS)** მერვე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. გამომსვლელმა ქვეკომიტეტის წევრებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე პრეზენტაცია წარუდგინა.

CERD-ის განხილვა გაეროს ოფისში ჟენევაში

JFS შეხვედრა ევროკავშირის ოფისში ბრიუსელში

ბელგიის პოლიციის საქმიანობის მონიტორინგის მუდმივმოქმედ კომიტეტთან[23] (The Standing Committee P) სამსახურის უფროსის სამომავლო შეხვედრის ორგანიზების მიზნით 2022 წლის 2 დეკემბერს გაიმართა სამსახურის დეპარტამენტის უფროსების შეხვედრა კომიტეტის ხელმძღვანელთან. ბელგიის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ კომიტეტის თავმჯდომარე კეტლინ სტინკენსი და საგამოძიებო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იან ვან ლიერი.

შექმნის დღიდან სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა და ანალიზი წარმოადგენს. აღნიშნულის მიზანს, ერთი მხრივ, გამოძიების საერთაშორისოდ დამკვიდრებული სტანდარტების შესაბამისად წარმართვა, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა იმ გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს, რომლებიც უწყებას საშუალებას მისცემს გახდეს უფრო ეფექტური მასზე დაკისრებული უფლებამოსილებების როგორც პრევენციული, ასევე, რეაქტიული რეჟიმით წარმართვისას. გარდა ამისა, ინფორმაციისა და არსებული პრაქტიკების სისტემატურად გაცვლის მიზნით სამსახურისთვის არსებითად მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული და ეფექტიანი თანამშრომლობის განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მოიძია ინფორმაცია ევროპის მასშტაბით კარგად განვითარებული, საპოლიციო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი უწყებების შესახებ. შედეგად 2022 წლის ნოემბერში, სამსახურის უფროსისა და სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით შედგა შეხვედრები ბელგიის სამეფოს არარეზიდენტ ელჩთან მიშელ პიტერმანსთან, ბელგიის სამეფოში არსებულ დამოუკიდებელ და ნეიტრალურ ორგანოსთან, პოლიციის საქმიანობის მონიტორინგის მუდმივმოქმედ კომიტეტთან[23] (The Standing Committee P), ორმხრივი ურთიერთობის დამყარების პროცესში შუამდგომლობის მიზნით.

სამსახურის უფროსი, ასევე, შეხვდა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ჰადას მეიცადის კოლეგა უწყების, ლაჰავის (LAHAV 433), გამოცდილების გაზიარების თაობაზე; დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ანე ტოფთ სორენს დანიის საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელ სამსახურთან თანამშრომლობის გაღრმავების ინიციატივით; უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს ანნა მარია შიკოს სამსახურის ახალი მანდატის, გაზრდილი უფლებამოსილებისა და სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე.

შეხვედრებზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა ხაზი გაუსვა პოლიციის დამოუკიდებელი საჩივრების ორგანოთა ქსელში (Independent Police Complaints Authorities' Network / IPCAN), ასევე შიდა საგამოძიებო ქსელში (Internal Criminal Investigations Network /ICIN) სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაწევრიანების მნიშვნელობას.

23 https://politiklagemyndigheden.dk/english

ისრაელის ელჩი ჰადას მეიცადი

ბელგიის ელჩი მიშელ პიტერმანი

დანიის ელჩი ანნე ტოფთ სორენსი

5.4

EU, UNDP, OHCHR, UNOPS, PAR საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საუკეთესო გამოცდილების სისტემატურად გაზიარების მიზნით არსებითად მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული და ეფექტიანი თანამშრომლობის განვითარება. სამსახურმა დონორ ორგანიზაციებთან პროაქტიული თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებები განახორციელა. 2022 წლის მარტი-დეკემბრის განმავლობაში მათი მხარდაჭერითა და ჩართულობით 20-ზე მეტი სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა. მათ შორის დოკუმენტების ექსპერტიზა, ტრენინგები, სამუშაო და რეგიონული შეხვედრები, ტექნიკური აღჭურვა, საჯარო დისკუსიები და პრეზენტაციები.

თანამშრომლობა ევროპის საბჭოს პროექტების ფარგლებში

ევროპის საბჭომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განსაკუთრებული მხარდაჭერა მისი შექმნისთანავე დაიწყო და სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში გაუწია დახმარება.

ევროპის საბჭოს პროექტი „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" ერთ-ერთი პირველი იყო, რომელშიც სპეციალური საგამოძიებო სამსახური ჯერ კიდევ მარტში ჩაერთო. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება, კერძოდ: სახელმძღვანელო დოკუმენტის საერთაშორისო ექსპერტიზა და საჯარო განხილვა (გამოკითხვის სახელმძღვანელო დოკუმენტი, დაზარალებულისთვის საქმის მასალების გაცნობა, დაცვის სპეციალური ღონისძიებები), ჩატარდა გასვლითი რეგიონული შეხვედრები (კახეთი, აჭარა, სამეგრელო, იმერეთი), ჩატარდა სამსახურის მენეჯერების გასვლითი შეხვედრები ორგანიზაციული და სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შემუშავებისა და სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის. ამავე პროექტის ფარგლებში სამსახურის თანამშრომლები არაერთი პროფესიული მიმართულებით გადამზადდნენ.

2023 წელს პროექტის ფარგლებში იგეგმება მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება, რომელთაგანაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოს მუშაობის მხარდაჭერა.

"თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში" ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში სამსახურმა დაიწყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკის მეთოდოლოგის გაზიარება პარტნიორ უწყებებთან ერთად ერთობლივი მიდგომების დანერგვის მიზნით. ამავე პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაიბეჭდა და გავრცელდა 2000 ცალი საინფორმაციო ბუკლეტი ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2023 წელს პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების შესახებ მრავალმხრივი საკოორდინაციო შეხვედების ორგანიზება, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების გამოცდილების გაზიარება, შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა.

„ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში" ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში 2022 წელს სექსუალური ძალადობის გამოძიების საკითხებზე ტრენინგი გაიარა სამსახურის 40-მა თანამშრომელმა. სამსახური 2023 წელსაც განაგრძობს პროექტთან თანამშრომლობას ოჯახური ძალადობის მიმართულებით თანამშრომელთა გადამზადების მიზნით.

თანამშრომლობა ევროკავშირის პროექტების ფარგლებში

ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ ფარგლებში 2023 წელს იგეგმება ისეთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოების შემუშავება, როგორებიცაა დანაშაულის კვალიფიკაციათა გამიჯვნის დოკუმენტი და სტრასბურგის გადაწვეტილებების ხელახალი გამოძიების ინსტრუმენტები. ამავე პროექტის ფარგლებში იგეგმება დონორების საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა და მხარდაჭერა. პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ანალიტიკური პროგრამის ტექნიკური დავალების შექმნა და შესაბამისი პროგრამული მხარდაჭერა.

საგამოძიებო სამსახური **ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (PAR)** ფარგლებში იწყებს კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც 2023 წლის ივნისში სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდება. ამავე პროექტის ფარგლებში მოხდება თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებით და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების უნარების გაუმჯობესება. შემუშავებული დოკუმენტები დამტკიცებამდე წარედგინება ყველა დაინსტერესებულ მხარეს საჯარო განხილვაზე და უკუკავშირის საფუძველზე მიიღებს დასრულებულ სახეს.

ევროკავშირის პროექტის „უსაფრთხოების სექტორის გარე ზედამხვედველობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში 2023 წელს იგეგმება მჭიდრო თანამშრომლობა როგორც საგამოძიებო მიმართულების გაძლიერების მხარდაჭერის, ასევე სამსახურის ცნობადობის ასამაღლებლად. ამ თვალსაზრისით, შემუშავდება ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტები და მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც გადამზადდებიან თანამშრომლები. დაგეგმილია სამსახურის ექსპერტ-კრიმინალისტების შესაძლებლობების გაძლიერებაც. პროექტის ფარგლებში გაანალიზდება საერთაშორისო გამოცდილება და დაიგეგმება სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ.

სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშაობას ახალი პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შემდგომი ანგარიშგების მიმართულებით.

5.5

სახალხო დამცველთან თანამშრომლობა

კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველყოფის მიზნით არსებითია ქვეყანაში მოქმედ, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ, დამოუკიდებელ ორგანიზაციებს შორის წარმატებული კომუნიკაციის დამყარება. აღნიშნულმა უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, უწყებების უფლებამოსილებების დაუბრკოლებელი იმპლემენტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, გაწეულ უნდა იქნეს ერთობლივი ძალისხმევა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამ მიზნით სამსახურისთვის საქმიანობის საწყის ეტაპზევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან აქტიური თანამშრომლობის დამყარება წარმოადგენდა. შედეგად, აღნიშნული სურვილის გამოხატვისა და შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის მიზნით უწყების ინიციატივით მოეწყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა[25] სამსახურის უფროსს, საქართველოს სახალხო დამცველსა და მის მოადგილეებს შორის. შეხვედრაზე განიხილეს სამსახურის არსებული მოცემულობა, უწყების წინაშე მდგარი გამოწვევები, ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები და ორ ინსტიტუციას შორის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად გადასადგმელი ნაბიჯები.

25 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0xiCgLnmoEvySJtpNQ2vbPyy7seB8JCk6GUFuxDxrUBRpaTH7EtrvDa3X5eG1ax1vl

განვლილი პერიოდის განმავლობაში, საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე, სამსახური მუდმივად ცდილობდა, ერთი მხრივ, ხელი შეეწყო საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყების, მანდატის დაუბრკოლებელი რეალიზებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, გაეწია ძალისხმევა თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, უწყების ინიციატივით ორგანიზებულ იქნა არაერთი შეხვედრა, რომელთა მიზანს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართ ანგარიშვალდებულებისა და მათთვის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში:

• საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის ორგანიზებულ იქნა ინდივიდუალური ხასიათის შეხვედრა[26] სამსახურის საქმიანობის კვარტალური ანგარიშის წარდგენის მიზნით, რომელზეც დეტალურად იქნა განხილული საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, უშუალოდ ჩართულიყვნენ სამუშაო პროცესში;

• საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები მოწვეულ იქნენ სამსახურის საქმიანობის 6-თვიანი ანგარიშის წარდგენის მიზნით ორგანიზებულ ღონისძიებაზე[27], რომელზეც მათ სხვა დამსწრე პირებთან ერთად მიეცათ შემაჯამებელი შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობის, ისევე როგორც საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობა;

26 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0MxjJ7nnA28WaeyAvtm6AZqeWSy9SLCT1QyamDKzMz2rZAbUcEF35FMd5nn7pFh2Yl
27 - https://m.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid01HGuLetKtsdXQij77nmWyS5vhWF5VmVUbAcN7eE26bL3pJMfrguX9RmHFDbaaRN3l?_rdr

• სამსახურის ინიციატივითა და ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" მხარდაჭერით ორგანიზებულ რეგიონულ შეხვედრებზე[28] მოწვეულ იყვნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული წარმომადგენლები, რამაც შესაძლებელი გახადა მათი გაცნობითი ხასიათის შეხვედრებში ჩართულობა შემდგომი ეფექტური თანამშრომლობის დამყარების მიზნით.

გარდა ამისა, განვლილ პერიოდში მაქსიმალური ძალისხმევა იქნა გაწეული უწყებაში მიმდინარე ძირეულ რეფორმებში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა ჩართულობის ინკლუზიური პროცესის უზრუნველსაყოფად. სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებებზე მუშაობა წარიმართა სწორედ ამ უწყების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით. ეს მიმართულებებია: სამოხელეო დანაშაულის პრევენციის სპეციალური საბჭოს შექმნა[29], სისხლის სამართლის საქმის მასალებზე მსხვერპლთა დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა[30], დაცვის სპეციალური ღონისძიებების იმპლემენტაცია[31], მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს შექმნისა[32] და სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით კვალიფიკაციის გამიჯვნის სახელმძღვანელო დოკუმენტზე მუშაობის პროცესების ინიცირება[33]. ამასთან, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა მიერ სამუშაო პროცესში გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა და აისახა შესაბამის დოკუმენტებსა თუ პრაქტიკულ აქტივობებში.

დასასრულს აღსანიშნავია, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა არაერთგზის ისარგებლეს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით მათთვის მინიჭებული ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლებით. ამ მიმართულებითაც საანგარიშო პერიოდში სამსახურის მხრიდან მობილიზებულ იქნა მის ხელთ არსებული რესურსები შესაბამისი მოთხოვნების განსაზღვრულ ვადებში შესასრულებლად. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის განმავლობაში სამსახურმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან სამსახურის საქმიანობისა და მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების 204, ხოლო სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის 6 წერილობითი მოთხოვნა მიიღო.

ხაზგასასმელია, რომ მითითებულ თითოეულ კორესპონდენციასთან მიმართებით დათქმულ ვადებში იქნა გაცემული სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს მიეცათ მოთხოვნილ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის ყველა საქმეზე შეუზღუდავი წვდომის უფლება, მათ შორის ისეთ სისხლის სამართლის საქმეებზეც, რომელთა მასალების გაცნობაზეც 2021 წელს საგამოძიებო ორგანოს მიერ უარი ეთქვათ.

სამსახური ხაზს უსვამს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის როლსა და მნიშვნელობას, ისევე როგორც დასახელებულ ორ უწყებას შორის ეფექტიანი თანამშრომლობის პოზიტიურ გავლენას ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე. შესაბამისად, მომავალშიც აქტიურად გეგმავს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ღონისძიებების ინიცირებასა და მათ შემდგომ განვითარებას.

28 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0CKnvvY3cd335D4CoH1r32gef61GXMWFzUekBFFzeCayPR8VcqkV5KummXxSUn77yl
https://m.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0CKnvvY3cd335D4CoH1r32gef61GXMWFzUekBFFzeCayPR8VcqkV5KummXxSUn77yl?_rdr
29 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid02PuymBVuBU2sk62pviqe2p5ZHqVhSWWZYkFRHioC8zcATckmWv2KoG32TZbEtkVTWl
30 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0831dTd7uxUcaHQNzEZ3NJqCC14pBqwE6WsEj5HqS5vEp99FpH75YEtgynyuFRz99l
31 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid02GG9dTrf6aBPcnUETAR3oiiaoNnkJh3LzrBYfanmgCF4Tir7VcvQpkgeMAwkK5P2Tl
32 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0rFin95RhhhCAw3CyYjvyscDfjKSiC5mtN5qzqfu3TqDrEijJ65MVDajURec3thzZl
33 - https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid0qtCvHv6zyPmpMbLiZgD7W5VBrcdDYa4TKCo3fab7RoK2LtmiWyGiw8FjP5RCJQP9l

5.6

საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობა

საანგარიშო პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობა, რის შედეგად აცარაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ეხებოდა სამსახურის ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის გაზრდას, სამსახურის თანამშრომელთათვის პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლების მინიჭებას, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის საჩივრით დაუბრკოლებლად მომართვის შესაძლებლობას, ასევე „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო უფლებამოსილების გაზრდასა და დაცვის სპეციალური ღონისძიებების ეფექტურ გამოყენებას. ამავე ცვლილებების საფუძველზე გაფართოვდა როგორც სამსახურის თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ასევე განმტკიცდა მათზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა და სამსახურის გაძლიერებისა და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობდა.

ამ მიზნით სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტს წინადადებებით 2022 წლის 30 სექტემბერს მიმართა.

სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით და ჩართულობით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი და მას მიენიჭა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების ხელახალი გამოძიების უფლებამოსილება. ასევე, სამსახურის ქვემდებარე გახდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების პროცესში გამოვლენილი ისეთი დანაშაულების გამოძიება, რომლებიც სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო მტკიცებულებების განადგურების, უკანონო დაკავების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი სიყალბის შემთხვევებს უკავშირდება (სსკ-ის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და 369[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები). გადაიხედა სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა და არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობრივი დანაშაულების (სსკ-ის 162-163 და 164[4] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები) გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მხოლოდ სამართალდამცავის მიერ ჩადენის შემთხვევაში დაექვემდებარა. ამავე ცვლილებებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების მიზნით შესაბამის კომიტეტში მოსმენის მოთხოვნის ჩანიშვნის უფლებამოსილება მიეცა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შემდგომი გაძლიერების მიზნით საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობას მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს.

5.7

საერთაშორისო სასწავლო კურსები

MASHAV-ის (ისრაელის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო) საერთაშორისო ტრენინგის „უსაფრთხოება და საზოგადოება“ ფარგლებში კვალიფიკაციის ამაღლებისა და ისრაელის უსაფრთხოების საკითხებში საუკეთესო პრაქტიკების გაცნობის მიზნით კონკურსის გზით შერჩეული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები 2022 წლის ივლისში ისრაელში იმყოფებოდნენ[34].

ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელი 2022 წლის სექტემბერში მონაწილეობდა ქ. ვარშავაში (პოლონეთი) ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ ორგანიზებულ რეგიონულ ტრენინგში თემაზე „სექსუალური და გენდერული ძალადობის (SGBV) საკითხის ინტეგრირება დროებითი მოთავსების/დაკავების მონიტორინგში“[35]. ტრენინგში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების (NHRIs), წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფებისა (NPMs) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) წარმომადგენლები.

34 - https://www.facebook.com/MashavGeorgia/posts/3150778325185923/; https://www.facebook.com/mashav.tbilisi/posts/10224929394834964/
35 - https://www.osce.org/monitoring-SGBV-in-detention;

6

ფინანსური ანგარიშგება

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა 2022 წელს დაფინანსდა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველის კანონით დამტკიცებული პროგრამული კოდიდან (51 00). 2022 წელს სამსახურისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების რაოდენობა შეადგენდა 7 199 100 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 7 021 778.58 ლარს.

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა 50%-ით და განისაზღვრა 150 ერთეულით, ხოლო სამსახურისთვის გამოყოფილმა ფინანსურმა რესურსმა შეადგინა 17 მლნ. ლარი. დაფინანსების ზრდა გამოწვეულია ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების აუცილებლობით, როგორებიცაა ახალი ადმინისტრაციული (სათავო) შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა/ მშენებლობა, რომლის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს, დამატებითი ადმინისტრაციული შენობის მოწყობა ქვემო ქართლის რეგიონში, სამსახურის ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ 2023 წლის ბიუჯეტში 0.8 მლნ ლარამდე რესურსი გათვალისწინებულია ქ. თბილისში არსებული ორი ადმინისტრაციული შენობის იჯარისთვის.

7

ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება

თანამედროვე სამყაროში, ყოველდღიურად უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება როგორც შეხვედრების, ისე სასწავლო კურსების განსახორციელებლად. ციფრული კომუნიკაციის ამაღლებისა და რესურსების დაზოგვის მიზნით ევროკავშირის დაფინანსებითა და გაეროს შესყიდვების ოფისთან (UNOPS) აქტიური თანამშრომლობით სპეციალური საგამოძიებო სამსახური Cisco-ს ფირმის თანამედროვე ტელე-საკონფერენციო სისტემით აღიჭურვა, რამაც შესაძლებელი გახადა ოფისებს შორის დისტანციური თათბირების, კონფერენციებისა და ტრენინგების ჩატარება. რეგიონალურ და ცენტრალურ ოფისებში „ტელეპრეზენსის“ სისტემის არსებობა მოქნილსა და უსაფრთხოს ხდის ოფისებს შორის კავშირს. „ტელეპრეზენსის“ სისტემის გამოყენებით რეგიონულმა სამმართველოებმა არაერთ სამუშაო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა დისტანციურად.

WWW.SIS.GOV.GE



8

2022 წლის საგამოძიებო სტატისტიკა[36]

2022 წლის 10 თვის განმავლობაში საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა 2514 შეტყობინება. აქედან 65% (1625 შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 19% (468 შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, 12% (313 შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, 2% (60 შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, ხოლო 2% (48 შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ[37].

აღნიშნული 2514 შეტყობინებიდან 80% (2017 შეტყობინება) შეეხებოდა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს[38], 57 შეტყობინება (2%) შეეხებოდა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს[39], 186 შეტყობინება (8%) შეეხებოდა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულებს[40], ხოლო 254 შეტყობინება (10%) წარმოადგენდა არაქვემდებარე შეტყობინებას[41].

36 - საგამოძიებო დეპარტამენტის 2022 წლის 10 თვის სტატისტიკა /მარტი-დეკემბერი/;

37 - შეტყობინებების ნაწილში სამეგრელოსა და კახეთის სამმართველოების სტატისტიკის ცალკე გამოყოფა განხორციელდა აგვისტოს თვიდან;

38 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები;

39 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები;

40 - იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164-ე4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები;

41 -არაქვემდებარე შეტყობინებად აღირიცხება ის შეტყობინებები, რომლებიც შეტყობინების შემოსვლის ეტაპზე არ შეიცავს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის ნიშნებს.

2022 წლის

10 თვის საქმიანობის შედეგები

2514

შეტყობინებაზე მოხდა სამართლებრივი რეაგირება

420

სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო 420 სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან 350 საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა 43 საქმე, 21 საქმე გამოიყო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სხვა სისხლის სამართლის საქმიდან, ხოლო 6 საქმეზე გამოძიება დაიწყო მასმედია/ სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

2022 წლის

10 თვის საქმიანობის შედეგები

გამოძიება დაიწყო 420 სისხლის სამართლის საქმეზე

56% **სამართალდამცავების მიერ ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტები**

31% **მოქალაქეების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული**

13% **სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე**

აღნიშნული 420 სისხლის სამართლის საქმიდან 302 სისხლის სამართლის საქმე აღმოსავლეთის სამმართველოს წარმოებაშია, 60 სისხლის სამართლის საქმე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს, 37 სისხლის სამართლის საქმე - დასავლეთის სამმართველოს, 13 სისხლის სამართლის საქმე - კახეთის სამმართველოს, ხოლო 8 სისხლის სამართლის საქმე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს წარმოებაშია.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 62 პირის მიმართ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ 55 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული 62 პირიდან 25 სამართალდამცავი და 37 მოქალაქეა.

2022 წლის

10 თვის საქმიანობის შედეგები

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 62 პირის მიმართ

25

სამართალდამცავი

37

მოქალაქე

სისხლისსამართლებრივი დევნის კვალიფიკაცია



2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებზე, გამოძიება შეწყვიტა 60 სისხლის სამართლის საქმეზე.

დანაშაულის კვალიფიკაცია შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე



WWW.SIS.GOV.GE

8.1

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დანაშაულების (არასათანადო მოპყრობა) სტატისტიკა[42]

8.1.1

მიღებული შეტყობინებები

სპეციალურისაგამოძიებოსამსახურიგამოძიებასაწარმოებსსამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ 2019 წლის 1-ელ ნოემბერს და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებზე:

• სსკ-ის 144[1]-ე მუხლი (წამება);

• სსკ-ის 144[2]-ე მუხლი (წამების მუქარა);

• სსკ-ის 144[3]-ე მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა);

• სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

• სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

• სსკ-ის 335-ე მუხლი (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება);

42 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 1441–1443 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

• სსკ-ის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით);

• სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, შემოვიდა **2017** შეტყობინება. აქედან, 63% (**1287** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 19% (**388** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, 13% (**253** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, 3% (**54** შეტყობინება) კახეთის სამმართველომ, ხოლო 2% (**35** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



ყველაზე მეტი (254 შეტყობინება) შემოვიდა მარტში, ხოლო ყველაზე ნაკლები (182 შეტყობინება) შემოვიდა ოქტომბერში.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა თვეების მიხედვით



შეტყობინებების ყველაზე დიდი ნაწილი (70%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან.[43]

43 - რიგ შემთხვევებში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

მიღებული შეტყობინებების ავტორები



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **2017** შეტყობინება შეეხებოდა **2111** პირს (რიგ შემთხვევებში ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებები სავარაუდო მსხვერპლთა **60%**-ის (1260 პირი) მიმართ **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, 13%**-ის (283 პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება, 9%**-მა (200 პირი) **უარყო** შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, **8%**-ის (171 პირი) შემთხვევაში შეტყობინება **წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას** გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით, **6%**-ის (127 პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები **გადაიგზავნა სხვა უწყებაში**, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, ხოლო **4%**-ის (70 პირი) მიმართ შემოსულ შეტყობინებებზე **მიმდინარეობს წარმოება**.

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება
(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები **2111** სავარაუდო მსხვერპლიდან გაესაუბრნენ **1623** სავარაუდო მსხვერპლს. **63%**-თან გასაუბრება ჩატარდა შეტყობინების მიღებიდან იმავე ან მეორე დღეს[44].

სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დრო შეტყობინების მიღებიდან



მხოლოდ ცხელი ხაზით მიღებული შეტყობინებების შემთხვევაში ფიქსირდება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინების შემოსვლის ზუსტი დრო.

ცხელი ხაზის საშუალებით მიღებული შეტყობინებების საფუძველზე სულ 496 სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ იმავე დღეს.

უფრო კონკრეტულად, 99 სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ შეტყობინების მიღებიდან 1 საათში,

29 სავარაუდო მსხვერპლს გაესაუბრნენ შეტყობინების მიღებიდან - **2** საათში, 54 სავარაუდო მსხვერპლს - **3** საათში, 67 სავარაუდო მსხვერპლს - **5** საათში, 31 სავარაუდო მსხვერპლს - **8** საათში, 60 სავარაუდო მსხვერპლს - **10** საათში, 43 სავარაუდო მსხვერპლს - **12** საათში, 9 სავარაუდო მსხვერპლს - **14** საათში, 15 სავარაუდო მსხვერპლს - **16** საათში, 30 სავარაუდო მსხვერპლს - **18** საათში, 36 სავარაუდო მსხვერპლს - **20** საათში, ხოლო 23 სავარაუდო მსხვერპლს - **23** საათში[45].

44 - სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება შეტყობინების შემოსვლიდან რამდენიმე დღის (კვირის) შემდგომ, ძირითადად, განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: ვერ ხერხდებოდა სავარაუდო მსხვერპლთან დაკავშირება - არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ მისამართზე და ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ; სავარაუდო მსხვერპლს სჭირდებოდა დრო ადვოკატის ასაყვანად; სავარაუდო მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარს აცხადებდა გასაუბრებაზე; შეტყობინებაში არ ფიქსირდებოდა სავარაუდო მსხვერპლის საკონტაქტო ინფორმაცია, შესაბამისად, საკონტაქტო ინფორმაციის მოძიების შემდგომ მოხდა მასთან დაკავშირება.

45 - შეტყობინების მიღებიდან სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დროის სტატისტიკის წარმოება დაიწყო აპრილის თვიდან, შესაბამისად, ანგარიშში ასახულია ცხრა თვის მონაცემი (აპრილი-დეკემბერი).

სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების დრო შეტყობინების მიღებიდან



2017 შეტყობინებიდან, ცხელი ხაზის საშუალებით შემოვიდა სულ **712** შეტყობინება, ამათგან ყველაზე მეტი (**84** შეტყობინება) აგვისტოს თვეში, ხოლო ყველაზე ნაკლები - (**53** შეტყობინება) აპრილის თვეში შემოვიდა.

ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების რაოდენობა თვეების მიხედვით



ცხელი ხაზის საშუალებით მიღებულ შეტყობინებათა ყველაზე დიდი ნაწილი შემოვიდა **(61%)** შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ფაქტზე შეტყობინება შემოვიდა რამდენიმე წყაროდან[46].

ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების ავტორები



46 - რიგ შემთხვევებში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთი და იგივე შეტყობინება შემოდის რამდენიმე წყაროდან. სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით, ასეთ შემთხვევებში შეტყობინება მიეთვლება ყველა შესაბამის უწყებას/წყაროს. ამის გათვალისწინებით, შემოსულ შეტყობინებათა ავტორების ჯამური მაჩვენებელი აღემატება სამსახურში შემოსულ შეტყობინებათა საერთო რაოდენობას.

8.1.2

გამოძიების დაწყება

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო სულ **237 სისხლის სამართლის საქმეზე,** მათგან 225 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, 7 საქმე გამოიყო საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმიდან, ხოლო 5 საქმე გადმოიგზავნა უწყებრივი ქვემდებარეობით.

აღნიშნული 237 სისხლის სამართლის საქმიდან 165 საქმეზე გამოძიება დაიწყო აღმოსავლეთის სამმართველოში, 41 საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, 20 საქმეზე დასავლეთის სამმართველოში, 9 საქმეზე - კახეთის სამმართველოში, ხოლო 2 საქმეზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში[47].

47 - 2022 წლის 1 ივლისიდან ცალკე აღირიცხება კახეთისა და სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოებში არსებული მონაცემები.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა ყველაზე მეტი რაოდენობა (39%) შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

შეტყობინებათა ავტორები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება



დანაშაულის ნიშნების შემცველ შეტყობინებათა 32%-ზე გამოძიება დაიწყო შეტყობინების შემოსვლის დღესვე, 25%-ზე - მეორე დღეს, 16%-ზე - მესამე დღეს და ერთი კვირის ვადაში, 7%-ზე - ორი კვირის ვადაში, 3%-ზე - ერთი თვის ვადაში, ხოლო 1%-ზე - ერთ თვეზე მეტ პერიოდში.

დანაშაულის შემცველ შეტყობინებაზე გამოძიების დაწყების დრო



დანაშაულის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

გამოძიების დაწყებისას მინიჭებული კვალიფიკაცია



აღნიშნული 237 სისხლის სამართლის საქმიდან 1 საქმეზე პროკურორის მიერ შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია. კერძოდ, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით, კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

8.1.3

სავარაუდო მსხვერპლები

სისხლის სამართლის საქმეებში, რომელთა გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ფიგურირებს სულ 261 სავარაუდო მსხვერპლი. მათგან 247 (95%) პირი არის მამრობითი, ხოლო 14 (5%) პირი - მდედრობითი სქესის.

261 სავარაუდო მსხვერპლიდან 2% (5 პირი) არის არასრულწლოვანი, ხოლო 98% (256 პირი) სრულწლოვანი.

სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი



სავარაუდო მსხვერპლთა 27% (71) არის ადმინისტრაციული წესით დაკავებული, 26% (68) - დაკავებული ბრალდებული, 17% (44) - მოქალაქე, 12% (31) - თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, 8% (22) - პატიმარი ბრალდებული, 7% (19) - მოწმე, 1.5% (3) -არადაკავებული ბრალდებული, 0.5% (1) - ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირი, 0.5% (1) - ადვოკატი და 0.5% (1) - არადაკავებული ადმინისტრაციულსახდელდადებული.

სავარაუდო მსხვერპლთა საპროცესო სტატუსი



როგორც უკვე აღინიშნა, 261 სავარაუდო მსხვერპლიდან ყველაზე მეტი წილი ადმინისტრაციული (71 მსხვერპლი) და სისხლის სამართლებრივი (68 მსხვერპლი) წესით დაკავებული პირია.

სავარაუდო მსხვერპლთა საპროცესო სტატუსი



8.1.4

შესაძლო დანაშაულის გარემოებები

სავარაუდო მსხვერპლების 78% (209) შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირებად ასახელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს, 20% (53) - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს, 1% (2) - სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ თანამშრომელს, 0.5% (1) - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს, ასევე 0.5% (1) - სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომელს[48].



სავარაუდო მსხვერპლთა უმრავლესობამ, კერძოდ 47%-მა (123), დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი, 18%-მა (47) დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა აჭარა, 10%-მა (28) - ქვემო ქართლი, 8%-მა (20) - იმერეთი, 6%-მა (15) - კახეთი, 4%-მა (10) - შიდა ქართლი, 3%-მა (8) - მცხეთა-მთიანეთი, 2%-მა (6) - სამცხე-ჯავახეთი, ხოლო 1%-1%-მა (2-2) სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია.

48 - რიგ შემთხვევებში მსხვერპლთა მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ უწყებად დაფიქსირდა რამდენიმე დანაყოფი, შესაბამისად, უწყებათა რაოდენობა აღემატება მსხვერპლთა რაოდენობას.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



დანაშაულის ჩადენის ადგილად სავარაუდო მსხვერპლთა მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა დასახელდა 109 (33%) შემთხვევაში, ქუჩა - 79 (24%) შემთხვევაში, ავტომანქანა - 65 (20%) შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულება - 38 (12%) შემთხვევაში, სახლი/ბინა - 14 (4%) შემთხვევაში, სხვა საჯარო დაწესებულება - 9 (2,5%) შემთხვევაში, შსს დროებით მოთავსების იზოლატორი - 3 (1%) შემთხვევაში, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი და სხვა ადგილი - 2-2 (1-1%) შემთხვევაში, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ და სასამართლო - 1-1 (0.5-0.5%) შემთხვევაში, ხოლო 1 (0.5%) შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ადგილი უცნობია[49]. **ზოგ შემთხვევაში ერთმა და იმავე მსხვერპლმა შესაძლო დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა რამდენიმე ადგილი[50].**

49 - სავარაუდო მსხვერპლი არ თანამშრომლობს გამოძიებასთან.
50 - პროცენტული მაჩვენებელი გამოყვანილია საერთო ჯამური მონაცემებიდან.

მსხვერპლების მიერ მითითებული შესაძლო დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილი



8.1.5

სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. აღნიშნული 8 პირიდან:

3 პირი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, კერძოდ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო შემდეგ პირებზე:

• 1 - კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი (დეტექტივ-გამომძიებელი) სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

• 1 - კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი (უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი) სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

• 1 - საპატრულო პოლიციის თანამშრომელი (პატრულ-ინსპექტორი) სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

4 პირი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელი, კერძოდ

• 1 - გარე დაცვის ინსპექტორი, სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

• 1 - ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს ოფიცერი, სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

• 1 - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს მე-3 განყოფილების ესკორტის უფროსი ოფიცერი (ჯგუფის უფროსი), სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

• 1 - გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის დასავლეთის სამმართველოს №3 განყოფილების უფროსი ინსპექტორი) , სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი);

ხოლო 1 პირი იყო პენიტენციური დაწესებულების პატიმარი, სსკ-ის 108-ე მუხლით (ბრალდებული არ არის საჯარო მოხელე, თუმცა აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 342[1] მუხლის მე-2 ნაწილით, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 108-ე მუხლით. საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, აღნიშნული საქმე გამოსაძიებლად გადმოეცა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს).

8.1.6

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

ბრალდებული 8 პირიდან სასამართლომ 2 პირს შეუფარდა პატიმრობა, ხოლო 5 პირს - გირაო. [51]

51 - 1 პირი იყო პატიმარი და მის მიმართ არ იქნა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე.

8.1.7

გამოძიების შეწყვეტა

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 51 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 1-ზე გამოძიება დაწყებული იყო 2019 წელს, 6-ზე - 2020 წელს, 29-ზე - 2021 წელს, ხოლო 15-ზე - 2022 წელს.

ზემოაღნიშნულ 51 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

- 41 საქმეზე - სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- 9 საქმეზე - სსკ-ის 144[3] მუხლით;
- 1 საქმეზე - სსკ-ის 335-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

WWW.SIS.GOV.GE

8.2

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[52]

8.2.1

მიღებული შეტყობინებები

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და არ არის დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულთან, შემოვიდა 57 შეტყობინება. აღნიშნული შეტყობინებების 60% (34 შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 21% (12 შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, 12% (7 შეტყობინება) - აჭარის სამმართველომ, 5% (3 შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ, ხოლო 2% (1 შეტყობინება) კახეთის სამმართველომ.

52 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი სსკ-ის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 1261, 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–1511 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



შეტყობინებათა **(71%)** შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

მიღებული შეტყობინებების ავტორები



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 57 შეტყობინება შეეხებოდა **61** პირს. შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა 36%-ის (**22** პირი) მიმართ შეტყობინებები **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს**, 34%-ის (**21** პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება**, 11%-ის (**7** პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები **გადაიგზავნა სხვა უწყებაში**, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, 10%-მა (**6** პირი) **უარყო** შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, 7%-ის (4 პირი) შემთხვევაში შეტყობინება **წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას** გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით, 2%-ზე (1 პირი) მიმდინარეობს წარმოება.

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება
(დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით)



8.2.2

გამოძიების დაწყება

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო 54 სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან 25 საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული 25 საქმიდან 15-ზე გამოძიება დაიწყო საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში, 3-ზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში, 4-ზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, 1-ზე - კახეთის სამმართველოში, ხოლო 2-ზე - დასავლეთის სამმართველოში. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოიგზავნა 24 საქმე, ხოლო 5 სისხლის სამართლის საქმე გამოიყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმიდან.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე 8 შეტყობინება შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფიდან, 5 შეტყობინება - შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, 3 შეტყობინება - შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან „112“, 2 შეტყობინება - საქართველოს პროკურატურიდან, ხოლო 7 შეტყობინების ავტორი იყო ფიზიკური პირი/მოქალაქე.

შეტყობინებათა ავტორები, რომელზეც დაიწყო გამოძიება



დანაშაულის კვალიფიკაცია - სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით და 126-ე მუხლით.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



WWW.SIS.GOV.GE

8.2.3

სავარაუდო მსხვერპლები

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, ფიგურირებს სულ 61 სავარაუდო მსხვერპლი, მათგან 33 არის მამრობითი, ხოლო 28 მდედრობითი სქესის.

სავარაუდო მსხვერპლთა სქესი



სავარაუდო მსხვერპლთა 10% არის არასრულწლოვანი, 90% - სრულწლოვანი.

8.2.4

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი

სავარაუდო მსხვერპლებმა დანაშაულის ჩადენის ადგილად 24 შემთხვევაში დაასახელეს თბილისი, 5 შემთხვევაში - ქვემო ქართლი, 3 შემთხვევაში - იმერეთი, 3 შემთხვევაში - სამეგრელო-ზემო სვანეთი, 9 შემთხვევაში - შიდა ქართლი, 5 შემთხვევაში - აჭარა, 9 შემთხვევაში - კახეთი, 1 შემთხვევაში - გურია, 1 შემთხვევაში - რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ხოლო 1 შემთხვევაში - მცხეთა-მთიანეთი.

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



8.2.5

სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

უწყებები, რომლებსაც ბრალდებული პირები წარმოადგენენ



8.2.6

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სასამართლომ 6 ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა, ხოლო 11 ბრალდებულს - გირაო.

8.2.7

გამოძიების შეწყვეტა

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 5 სისხლის სამართლის საქმეზე. ხუთივე საქმეზე გამოძიება დაიწყო 2022 წელს. შეწყვეტილ საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობდა შემდეგი მუხლებით:

2 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით;

1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

8.2.8

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **17** პირის მიმართ, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/ მოხელის მიერ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. აქედან დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა გამოიკვეთა **3** საქმეში **3** ბრალდებულის მიერ. ყველა შემთხვევაში ბრალდებულთა მიერ ქმედება განხორციელდა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

WWW.SIS.GOV.GE

8.3

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულების სტატისტიკა[53]

8.3.1

მიღებული შეტყობინებები

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი, ასევე, იძიებს იმ დანაშაულებს, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. კერძოდ:

სსკ-ის 153-ე მუხლი (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა);

სსკ-ის 154-ე მუხლი (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა);

სსკ-ის 155-ე მუხლი (რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა);

სსკ-ის 156-ე მუხლი (დევნა);

სსკ-ის 157-ე მუხლი (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა);

სსკ-ის 157[1]-ე მუხლი (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა);

სსკ-ის 158-ე მუხლი (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა);

სსკ-ის 159-ე მუხლი (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა);

53 - იგულისხმება სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 1644-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

სსკ-ის 162-ე მუხლი (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლა);

სსკ-ის 162[1]-ე მუხლი (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა);

სსკ-ის 163-ე მუხლი (საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლა);

სსკ-ის 164[4]-ე მუხლი (ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ან/და საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევა).

აღნიშნულ დანაშაულებზე 2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სულ შემოვიდა 186 შეტყობინება. აქედან 72% (**133** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 14% (**26** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, 11% (**21** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, ხოლო 3% (**6** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 186 შეტყობინება შეეხებოდა **219** პირს[54]. შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა 41%-ის (90 პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება**, შეტყობინებების 34% (**73** პირი) **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს**, 18% (**40** პირი) **გაიგზავნა სხვა უწყებაში** რეაგირებისთვის, შეტყობინებების 3% (7 პირი) **დაერთო** სისხლის სამართლის საქმეს/პრესაქმეს, 2%-მა (**5** პირი) **უარყო** შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, ხოლო 2%-ის (**4** პირი) **მიმართ მიმდინარეობს წარმოება.**



54 - რიგ შემთხვევებში ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ;

8.3.2

გამოძიების დაწყება

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4]-ე მუხლები), გამოძიება დაიწყო **129** სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან **100** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, **14** სისხლის სამართლის საქმე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში უწყებრივი ქვემდებარეობით გადმოიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, **9** საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის დადგენილების საფუძველზე[55], **6** საქმეზე გამოძიება დაიწყო მასმედია/სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

55 - აღნიშნული 9 სისხლის სამართლის საქმიდან 2 სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვის მიზნით წარიმართა სასამართლოში, 3 სისხლის სამართლის საქმე უწყებრივი ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში

ზემოაღნიშნული **129** სისხლის სამართლის საქმიდან **98** სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება წარიმართა აღმოსავლეთის სამმართველოში, **14** სისხლის სამართლის საქმეზე - დასავლეთის სამმართველოში, **13** სისხლის სამართლის საქმეზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში, 3 სისხლის სამართლის საქმეზე - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოში, ხოლო **1** სისხლის სამართლის საქმეზე - კახეთის სამმართველოში.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



დანაშაულის კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმეთა უმეტეს ნაწილზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1]-ე მუხლით[56].

56 - გრაფიკზე მოცემული დანაშაულის კვალიფიკაციის რაოდენობა აღემატება სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობას, ვინაიდან კვალიფიკაციებში მითვლილია დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევები ცალ-ცალკე.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



WWW.SIS.GOV.GE

8.3.3

სავარაუდო მსხვერპლები

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, საქმეებში, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4]-ე მუხლები) გათვალისწინებულ დანაშაულებზე, ფიგურირებს სულ **148**[57] სავარაუდო მსხვერპლი[58], რომელთაგან **100** არის მდედრობითი სქესის[59], ხოლო, **48** - მამრობითი სქესის.

სავარაუდო მსხვერპლთა სქესი



148 სავარაუდო მსხვერპლიდან 20% **(29 პირი)** არის არასრულწლოვანი, ხოლო 80% **(119 პირი)** სრულწლოვანი.

სავარაუდო მსხვერპლთა ასაკი



57 - ამ მონაცემებში არ არის შეყვანილი 1 სავარაუდო მსხვერპლი, რომელიც თავად იყო ბრალდებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეში, თუმცა გამოკითხვისას განაცხადა, რომ მასზე იძალადეს ფიზიკურად. შესაბამისად, მოხდა ახალი საქმის გამოყოფა 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ეს უკანასკნელი საქმე გადაიგზავნა სხვა უწყებაში;

58 - 3 სისხლის სამართლის საქმეზე დაუდგენელია მსხვერპლთა ვინაობა და რაოდენობა;

59 - მათ შორის, 2 ტრანსგენდერი ქალი;

8.3.4

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი

სავარაუდო მსხვერპლთა უმრავლესობამ - 41%-მა პროცენტმა, დანაშაულის ჩადენის ადგილად დაასახელა თბილისი.

დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



8.3.5

სისხლისსამართლებრივი დევნა

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4]-ე მუხლები) გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 37 პირის მიმართ. აღნიშნული **37** ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო შემდეგი კვალიფიკაციით:

სისხლისსამართლებრივი დევნის კვალიფიკაცია



შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

სასამართლომ 20 ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა, 13 ბრალდებულს - გირაო, 2 პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა დარჩა განხილვის გარეშე[60], ხოლო 2 პირის მიმართ განისაზღვრა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღი, ვინაიდან სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ჰქონდა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება.

60 - აღკვეთის სხდომაზე პროკურორმა იშუამდგომლა პირის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი არ განუხილავს.

8.3.6

გამოძიების შეწყვეტა

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა 4 სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. აღნიშნულ 4 საქმეზე, ცალ-ცალკე გამოძიება მიმდინარეობდა 157[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, 157-ე მუხლის პირველი ნაწილით, 159-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 154-ე მუხლის პირველი ნაწილით.

8.3.7

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე მუხლები), გამოძიება დაიწყო 129 სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებშიც სულ 148 სავარაუდო მსხვერპლი გამოიკვეთა. აქედან დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 3 სისხლის სამართლის საქმეში 12 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ. აღნიშნული 3 სისხლის სამართლის საქმიდან:

• 1 საქმეზე გამოიკვეთა პოლიტიკური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 1 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ (ბრალდებულია 1 პირი სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით);

• 1 საქმეზე გამოიკვეთა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 10 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ (ბრალდებულია 1 პირი სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი));

• 1 საქმეზე გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი 1 სავარაუდო მსხვერპლის მიმართ (ბრალდებულია 1 პირი სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 157-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი



WWW.SIS.GOV.GE



დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, პროკურატურას 14 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან 8 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 6 წინადადება კი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

დასაბუთებული წინადადებების შინაარსი

აღნიშნული 14 წინადადებიდან სრულად დაკმაყოფილდა 11 წინადადება, 2 წინადადება არ დაკმაყოფილდა (1 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, 1 - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას), ხოლო 1 წინადადება, რომელიც შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

1 წინადადება, რომელიც არ დაკმაყოფილდა, შეეხებოდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის თანამშრომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას. პროკურორმა უარის თქმის საფუძვლად მიუთითა ის ფაქტი, რომ საქმეზე არ იყო მიღებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც განსაზღვრავდა დაზარალებულისთვის მიყენებული დაზიანებების ხარისხს. მას შემდეგ, რაც გამომძიებელმა მიიღო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, აღნიშნული პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

წინადადებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი

WWW.SIS.GOV.GE

10

შედარებითი ანალიზი

შედარებითი ანალიზი გაკეთებულია წლების მიხედვით ერთსა და იმავე საანგარიშო პერიოდში „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (არასათანადო მოპყრობის ფაქტები) ნაწარმოებ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებულ შედეგობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. შედარებულია 2020 და 2021 წლების ანალოგიური პერიოდის, მარტი-დეკემბრის, მონაცემები 2022 წლის მაჩვენებლებთან, შემოსული შეტყობინებების რაოდენობების, გამოძიების დაწყების მაჩვენებლების მიხევით. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასაბუთებული წინადადებების მაჩვენებლებს, ამ შემთხვევაში დამუშავებულია 2020 და 2021 წლების სრული მონაცემები და შედარებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 10 თვის მაჩვენებლებთან.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა (მარტი-დეკემბერი)



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში 2020 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში შევიდა 2237 შეტყობინება, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - 2749 შეტყობინება, ხოლო 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოვიდა 2017 შეტყობინება. [61]

61 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 1441–1443 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა 2020 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში გამოძიება დაიწყო **225** სისხლის სამართლის საქმეზე, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - **312** სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო **237** სისხლის სამართლის საქმეზე[62].

გამოძიების დაწყების პროცენტული მაჩვენებელი (მარტი-დეკემბერი)



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში 2020 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში შემოსული **2237** შეტყობინებიდან გამოძიება დაიწყო 225 (10%) საქმეზე, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში **2749** შეტყობინებიდან გამოძიება დაიწყო 312 (11%) საქმეზე, ხოლო 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **2017** შეტყობინებიდან - 237 (12%) საქმეზე.

61 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 1441–1443 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეებიდან 2020 წელს გაიხსნა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **4** პირის მიმართ, 2021 წელს - **6** პირის მიმართ, ხოლო 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში გაიხსნა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **8** პირის მიმართ[63].

63 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 1441-1443 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

11

დასაბუთებული წინადადებების შედარებითი ანალიზი

დასაბუთებული წინადადებების შინაარსი



2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პროკურატურას 23 დასაბუთებული წინადადებით მიმართა, საიდანაც არცერთი წინადადება არ იყო გაგზავნილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით. 20 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 3 წინადადება გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობას. **2021 წელს** სამსახურმა საქართველოს პროკურატურას 10 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან 4 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანშეწონილობას, ხოლო 6 წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, პროკურატურას 14 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან 8 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ხოლო 6 წინადადება - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, პროკურატურას 14 დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან 8 წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ხოლო 6 წინადადება - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას[64].

დასაბუთებული წინადადებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



63 - იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 1441–1443-ე მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

WWW.SIS.GOV.GE

12

გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები, გამოწვევები და რეკომენდაციები

12.1

დაკავების სტანდარტები და ნეიტრალური მტკიცებულებები

ანგარიშის სტატისტიკურ ნაწილში უკვე აღინიშნა, რომ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ფიგურირებს სულ 261 სავარაუდო მსხვერპლი. ამ მსხვერპლთაგან ყველაზე მეტი წილი 27% ადმინისტრაციული და 26% სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებული პირია. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით ერთ-ერთ გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან დაკავებისა და ეფექტური კონტროლის განხორციელებისას ფიზიკური ძალის არაპროპორციულად და გადამეტებით გამოყენების შემთხვევები. მსხვერპლთა ნაწილი დაკავებისას ძალის გადამეტების შემთხვევებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მიუთითებს.

ამ ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი უწყებების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გატარდეს შესაბამისი ზომები დაკავების სტანდარტების გაუმჯობესებისა და მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დანაყოფებისთვის, რომლებიც საპროცესო ღონისძიებების განხორციელების დროს სამხრე კამერებს იყენებენ, დაკავების სტანდარტებისა და დაკავებულის მიმართ ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები ასევე უნდა მოიცავდეს ვიდეომონიტორინგის სისტემების ეფექტიანად გამოყენების წესებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საკითხებსაც, რათა სამართალდამცავსა და მოქალაქეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ამსახველი ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულება უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყოს.

სწორედ ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულების არსებობის აუცილებლობაზეა საუბარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილებაში[65], რომლის თანახმადაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე სამართალდამცავებს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის წარმოება ვიდეომონიტორინგის პირობებში უწევთ. სასამართლომ ამ გადაწყვეტილების მიღება სამართალდამცავების მოქმედების ნდობის ამაღლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნით ახსნა. კერძოდ, სხვა გარემოებებთან ერთად აღნიშნა, რომ „განუზომლად დიდია პოლიციელის განხორციელებული ქმედებისადმი ნდობის არსებობის მნიშვნელობა მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულებისათვის. ამავე დროს, ვერც ერთი სახელმწიფო ორგანო, სასამართლოც კი, ვერ მოახერხებს ნდობის მოპოვებას საქმიანობის სათანადოდ განხორციელების გარეშე.

63 - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება „ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ https://const-court.ge/ka/judicial-acts?legal=10430;

როდესაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზეა დამოკიდებული, მათი სანდოობის განსაზღვრისათვის არსებითი იქნება ის, თუ რამ გამოიწვია ასეთი ვითარების შექმნა. პოლიციელის კეთილსინდისიერი მოქმედების პრეზუმირება ბევრად უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი (განუზომლად რთული) იყო ჩხრეკის სანდოობასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მოპოვება. თუმცა, როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს."

შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, მოქალაქეთა მხრიდან დაუსაბუთებელი საჩივრებით მომართვიანობის შემცირებისა და მოქალაქესა და სამართალდამცავებს შორის მომხდარი ინციდენტის ობიექტურად შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, არსებობდეს დაკავების სტანდარტების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამისად გადამზადდებიან დამკავებელი პირები და რომელიც უზრუნველყოფს დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერის ეფექტურ ფიქსაციასა და მოპოვების შესაძლებლობას.

სამსახურის მიერ 2022 წელს გამოძიებადაწყებულ საქმეებზე, სადაც სავარაუდო მსხვერპლები მიუთითებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებს, დანაშაულის ჩადენის ადგილად შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა დასახელდა - 109 (33%) შემთხვევაში, ქუჩა - 79 (24%) შემთხვევაში, ავტომანქანა - 65 (20%) შემთხვევაში.

დღეის მდგომარეობით დაკავებული პირების მუდმივი ვიდეომეთვალყურეობა დროებითი მოთავსების იზოლატორში და საჭიროებისამებრ, პატიმრობის დროს სასჯელაღსრულების სისტემის პენიტენციურ დაწესებულებში ხორციელდება. ამის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში არ არსებობს დაკავების პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რაც ბუნებრივია იძლევა საშუალებას, რომ დაკავებულმა პირმა რიგ შემთხვევაში უსაფუძვლოდ ამხილოს სამართალდამცავი, ხოლო თავის მხრივ სამართალდამცავმა ასეთი მონიტორინგის არარსებობის დროს გადაამეტოს უფლებამოსილებას.

ამასთან, ვიდეომონიტორინგი საგამოძიებო ორგანოს, პროკურატურასა და სასამართლოს გაუადვილებს ფაქტის ობიექტურად შეფასებასა და გამოყენებული ძალის პროპორციულობის ან/და უკანონო ზემოქმედების განხორციელების ფაქტის დადგენას.

ვინაიდან მსხვერპლთა ნაწილი, დანაშაულის ჩადენის ადგილად მიუთითებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებს, სამსახურმა დაამუშავა გამოძიების ფარგლებში ადმინისტრაციული ოფისებიდან შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლითა და ფორმით გამოთხოვილი ვიდეოკამერების ჩანაწერები შინაარსობრივი და ტექნიკური გამართულობის კუთხით, რომლის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2022 წელს გადმოცემული ჩანაწერებიდან 20 (25%) შემთხვევაში ჩანაწერები სრულად ფარავდა ინცინდენტის ადგილს, 14 (17.5%) - ნაწილობრივ, ხოლო 46 (57.5%) შემთხვევაში გადმოცემული ჩანაწერები არ ფარავდა ინცინდენტის ადგილს.

რეკომენდაცია:

• მიზანშეწონილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული წესით პირის დაკავებისთვის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, შეიმუშავოს დაკავების სახელმძღვანელო დოკუმენტი/სასწავლო მოდული იმ დანაყოფებისთვის, რომლებიც საპროცესო ღონისძიებების განხორციელების დროს იყენებენ სამხრე კამერებს. მიზანშეწონილია, ასევე, დოკუმენტი მოიცავდეს ვიდეომონიტორინგის სისტემების ეფექტიანად გამოყენების წესებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საკითხებს.

• მიზანშეწონილია, შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის/სასწავლო მოდულისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეტაპობრივად და კასკადურად დაიწყოს იმ თანამშრომელთა გადამზადება, ვისაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა;

• დაკავების სტანდარტების სახელმძღვანელო დოკუმენტის/სასწავლო მოდულის შემუშავებასთან და თანამშრომელთა გადამზადებასთან ერთად, მიზანშეწონილია, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მხრიდან სამხრე კამერების ეფექტური გამოყენებით, გაიზარდოს ნეიტრალური მტკიცებულების (ვიდეოჩანაწერის) მოპოვების შემთხვევები;

• უფრო მეტი გამჭირვალობის, საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად, მიზანშეწონილია გაიზარდოს პროცესის ვიდეოფიქსაციის შემთხვევები.

12.2

ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე სავარაუდო მსხვერპლები პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ფაქტებზე პრეტენზიის დაფიქსირებისას, მათზე განხორციელებული ძალადობის ფორმად მთელ რიგ შემთხვევებში უთითებენ ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერის შემთხვევებზე. უფრო კონკრეტულად კი, იმ საქმეებიდან, რომელებზეც 2022 წლის განმავლობაში დაიწყო გამოძიება, ხელბორკილების ძლიერად მოჭერის შესახებ სავარაუდო მსხვერპლებმა მიუთითეს 35 საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად შეუძლია გამოიყენოს ხელბორკილი:

•დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს;

•გაქცევას ცდილობს;

•დაკავებულის ან დაპატიმრებულის ბადრაგირებისას;

•თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს საკუთარ თავსა და სხვას;

იმ პირობებში, როდესაც ხელბორკილის გამოსაყენებლად პოლიციელს გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, ხელბორკილის არასათანადოდ გამოყენება - მოჭერა, რა თქმა უნდა ცალსახად არ შეიძლება შეფასდეს როგორც სამართალდამცავის მხრიდან მოტივირებული და მიზანმიმართული ძალადობრივი ქმედება. დაკავების გარემოებებისა და ზოგადად დაკავების ღონისძიებისპროცესისსირთულისგათვალისწინებით,მათშორისგადაუდებელი აუცილებლებლობისას, ქუჩაში, ხალმხრავალ ადგილებში, დაკავებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევისას, დაკავებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად შესაძლოა სამართალდამცავის მიერ ხელბორკილის დადების სიმჭიდროვე სათანადოდ ვერ იქნეს შერჩეული და დაკავებულმა ეს მიზანმიმართულ ქმედებად ჩათვალოს. ასევე, ბორკილის დადების ადგილზე ფიზიკური დაზიანების კვალი არა მხოლოდ მისი ძლიერად მოჭერის შედეგად, არამედ ზომიერად მისი მორგების დროსაც შეიძლება დარჩეს, თუკი დაკავებული განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას. თუმცა ფაქტია, რომ ბორკილის დადების ფორმა და ძლიერად მოჭერა რიგ შემთხვევებში შეიძლება ემსახურებოდეს დაკავებული პირისთვის ტკივილის მიყენებას ან მისი გამოყენება მოხდეს არასათანადო ფორმითა და განზრახ მოჭერით, მაგალითად პირის დასჯის ან/ და საკუთარი უპირატესობის დემონსტრირების მოტივით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო თვეებში შეინიშნება ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერაზე სავარაუდო მსხვერპლთა საჩივრების კლების ტენდენცია. თუკი 2021 წელს, სისხლის სამართლის საქმეებში ბორკილის ძლიერად მოჭერის თაობაზე 59 დაკავებული პირი აფიქსირებდა პრეტენზიას, 2022 წელს ანალოგიური საჩივრით 36 პირმა მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რაც ნიშნავს, რომ დაკავებული პირების ამ ტიპის პრეტენზიამ 39%- ით იკლო.

რეკომენდაცია:

• მიზანშეწონილია, ყველა სამართალდამცავმა ორგანომ ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს სტანდარტული ოპერაციული წესები/სასწავლო მოდული, რომელიც დაარეგულირებს როგორ სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული დაკავების პირობებში ხელბორკილის გამოყენების სტანდარტებს;

• მიზანშეწონილია ყველა სამართალდამცავმა ორგანომ, პირველ რიგში შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემუშავებული რეგულაციების/სასწავლო მოდულისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეტაპობრივად და კასკადურად გადაამზადოს ის თანამშრომლები, რომელთაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა. აღნიშნულის შედეგად სამართალდამცავი ორგანოები თავად შეძლებენ ძალის გადამეტების მიზანმიმართული ფაქტების თავიდან აცილებასა და ამ შემთხვევათა ეფექტურ მართვას.

12.3

სამეთვალყურეო და სამხრე კამერების ვიდეო ჩანაწერების დროული გადმოცემის უზრუნველყოფა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სავარაუდო დანაშაულის ადგილზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიდეო ჩანაწერების დროული მოპოვება, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისა და პატრულ-ინსპექტორების სამხრე კამერებზე ჩაწერილ ვიდეო მასალას.

ვინაიდან სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა უმეტესი ნაწილი შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებს, ყველაზე მეტი სასამართლოს განჩინება ვიდეოჩანაწერების გამოთხოვასთან დაკავშირებით იგზავნება სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში - „112“-ში.

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ განჩინების გადაგზავნის შემდგომ, „112" დაგვიანებით აწვდის სამსახურს ვიდეო ჩანაწერებს. შესაბამისად, ისეთი ახალი მტკიცებულებების მოპოვება, რომელთა საჭიროება ჩნდება „112"-დან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისა და ანალიზის შედეგად, ხშირად დაგვიანებულია ან/და შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში იგზავნება წერილები, რომელთა უმრავლესობა შეეხება დამკავებელ, თანმხლებ სამართალდამცველთა და შემთხვევის ადგილზე მყოფ სხვა პირთა ვინაობას, პირის დაკავების კონკრეტული ადგილის იდენტიფიცირებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა სამხრე კამერების საიდენტიფიკაციო ნომრების დადგენას, ბორტის ჩანაწერების არსებობას და ა.შ. იმ პირობებში, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროში საპატრულო პოლიციის სამხრე კამერების ჩანაწერის შენახვის ვადად განსაზღვრულია 30 დღე, ხოლო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობებში კამერების ჩანაწერები ხელმისაწვდომია მხოლოდ 14 დღის განმავლობაში, მოთხოვნილი ინფორმაციის შემჭიდროებულ ვადებში მოუწოდებლობისას, გამოძიება ვეღარ ახერხებს ვიდეოჩანაწერების მოპოვებას, რადგან შენახვის ვადის გასვლის შემდგომ ისინი ავტომატურად იშლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან წერილზე პასუხის (რომელშიც მითითებულია პატრულ-ინსპექტორის სარგებლობაში არსებული სამხრე ვიდეოკამერის იდენტიფიკატორი ე.წ. „სტიკერის" ნომერი) მიღების შემდგომ არის შესაძლებელი სასამართლოსთვის ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართვისთვის საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება.

შესაბამისად, საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებში გაგზავნილ წერილებზე, პასუხები იგზავნება დაგვიანებითა ან/და არასრულად. განსაკუთრებით აქტუალურია ხსენებული საკითხი, როდესაც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება იგზავნება დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღის/კვირის გასვლის შემდეგ.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობით, მათ შორის ცალკეულ სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოს ფორმატში, შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითება/რეკომენდაცია, რომლის მეშვეობითაც სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ვიდეო ჩანაწერების გადმოცემა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება მოხდება შემჭიდროებულ ვადებში.

12.4

დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებელი შესვლის უზრუნველყოფა

„პატიმრობის კოდექსში“ 2022 წლის 24 მაისს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელს მიენიჭა პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობა, თუმცა სამსახურის გამომძიებელი ანალოგიური დაუბრკოლებელი შესვლის უფლებით არ არის უზრუნველყოფილი დროებითი მოთავსების იზოლატორებში პირის დაშვების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში.

შესაბამისად, დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სამსახურის გამომძიებელს ესაჭიროება წერილობითი მიმართვის გაკეთება, რადგან შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 02 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-2[1] ნაწილის თანახმად,

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები, წერილობითი მიმართვის საფუძველზე დაიშვებიან იზოლატორის საგამოძიებო ოთახში იზოლატორში მოთავსებულ პირთან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით მათი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

ამავე შინაგანაწესის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია იზოლატორის ტერიტორიაზე აუდიო-ვიდეო ფიქსაციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების ნებართვის გარეშე შეტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს წერილობითი მოთხოვნა აღნიშნული ტექნიკის გამოყენებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ. ამის შესახებ ნებართვას გასცემს რეგიონული სამსახურის/ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს უფროსი.

ამავე შინაგანაწესის მე-7 მუხლის თანახმად, იზოლატორში მოთავსებული პირის საკნიდან გაყვანა 22.00 საათიდან 06.00 საათამდე შესაძლებელია მათ შორის მასთან საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ჩადენაში შესაძლებელია იმხილებოდნენ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფის, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლები, აღნიშნული ქმნის გამოძიების შედეგით დაინტერესებული დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მნიშვნელოვანი მტკიცებულებების ხელმისაწვდომობის გახანგრძლივების/შეფერხების რისკებს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელს დაუბრკოლებლად, ყოველგვარი დაყოვნების, წერილობითი მიმართვისა და დაკავებულთან კომუნიკაციის კონკრეტული დროით შეზღუდვის გარეშე, შეეძლოთ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებლად შესვლა და აუდიო-ვიდეო ფიქსაციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელება.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია ერთის მხრივ შევიდეს ცვლილება შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 02 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებასა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ მე-18 და მე-20 მუხლებში, ხოლო მეორეს მხრივ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელთა საფუძველზეც სამსახურის წარმომადგენლებს მიენიჭებათ დროებითი მოთავსების იზოლატორებში სათანადო ნებართვისა გარეშე შესვლის, კონკრეტული შეხვედრის დროის შეზღუდვის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში აუდიო-ვიდეო ფიქსაციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით თავისუფლად, დაბრკოლების გარეშე გამოყენების უფლება.

12.5

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებაში გადაყვანილი პატიმრების მონიტორინგი

პენიტენციური დაწესებულებიდან პატიმართა გაყვანის წესს, მათ ქცევაზე კონტროლს, მეთვალყურეობასა და ზედამხედველობას არეგულირებს იუსტიციის მინისტრის სამართლებრივი აქტები. აღსანიშნავია ამ მიმართულებით გამოწვევა, რომელიც ეხება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებაში პატიმრების გაყვანასა და მათ მონიტორინგს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ.

„სპეციალური პენიტენციური სამსახურისადმი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებებისა და სხვა ობიექტების დაცვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 26 იანვრის №675 ბრძანებით განსაზღვრულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაცვის განხორციელების წესი.

აღნიშნული ბრძანების 46-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზის დაწესებულებაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოთავსებისას, პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს ექსპერტიზის დაწესებულებასა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უშუალო განთავსების ადგილის დაცვას, შესაბამისად განყოფილების თანამშრომლების მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ გარე დაცვით.

„სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანების მე-4 მუხლი განსაზღვრავს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად პაციენტის საექსპერტო დაწესებულებაში ყოფნისას, მის დაცვასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ დანაყოფს; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საექსპერტო დაწესებულებაში პაციენტის დაცვას უზრუნველყოფს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოს შესაბამისი განყოფილება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ №55 ბრძანებაში არ არის განსაზღვრული სახელდობრ რა იგულისხმება პაციენტის დაცვაში და კონკრეტულად ვინ, რა ქმედება და რა ფორმით უნდა განახორციელოს აღნიშნული დაცვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

ამ საკითხს, ასევე, ზოგად ჭრილში არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №631 ბრძანება „სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც სწორედ პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოს ამოცანას და ფუნქციას წარმოადგენს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უსაფრთხოების დაცვა და მათი მეთვალყურეობა, თუმცა არც აღნიშნულ სამართლებრივ აქტში არ არის განსაზღვრული სახელდობრ რა ქმედებები უნდა განხორციელდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უსაფრთხოების დაცვისა და მათი მეთვალყურეობის მიზნით.

როგორც ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას გამოვლინდა, პრაქტიკაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები არ ახორციელებენ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების უშუალო მონიტორინგს. შესაბამისად, მათი მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ გარე დაცვით. სამართლებრივი აქტებით ასევე არ არის დარეგულირებული პატიმართა ვიზუალური მონიტორინგის საკითხი; შესაბამისად არ არის განსაზღვრული, ვინ უნდა განახორციელოს პალატებში მოთავსებული პატიმრების შემოწმება/ მონიტორინგი, მათ შორის ისეთი პატიმრების, რომელთა მიმართაც ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადაყვანამდე მიმდინარეობდა 24 საათიანი ვიზუალური მონიტორინგი შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი სამართლებრივი აქტებით სპეციალური პენიტენციური სამსახური არ არის პასუხისმგებელი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე მოთავსებული პატიმრების უშუალოდ საკნებში უსაფრთხოებაზე უშუალოდ საკნებში. აქედან გამომდინარე ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად არიან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტური კონტროლის ქვეშ ის პატიმრები, რომლებიც მოთავსებულნი არიან ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიზნით შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში.

ამასთან, სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ამავე ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული არ არის ვალდებულება, რომ საექსპერტო ბიურომ დაიცვას გამოსაკვლევი პატიმარი პირების უსაფრთხოება. ბიუროს თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით, დეპარტამენტის სანიტარი „რომელსაც დავალებული აქვს გამოსაკვლევ პირზე ზედამხედველობა, ვალდებულია რეგულარულად დაათვალიეროს და შეამოწმოს მორიგეობის დროს მასზე განპირობებული გამოსაკვლევი პირები“.

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში 24 საათის განმავლობაში მორიგეობს მხოლოდ ერთი სანიტარი, რომელიც ინსტრუქციით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ უფლება-მოვალეობებს ახორციელებს მხოლოდ სამოქალაქო სტატუსის მქონე გამოსაკვლევ პირთა მიმართ. რაც შეეხება პატიმრების კონტროლს, გარდა იმისა რომ შეზღუდულია სათანადო რესურსების რაოდენობა, სანიტარი მოკლებულია შესაძლებლობას პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ნებართვის გარეშე გააღოს საკნის კარი.

ამდენად, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისას, შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უსაფრთხოება კანონმდებლობითა და პრაქტიკული კუთხითაც საჭიროებს სრულყოფას (არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/ორგანო). ასევე გასათვალისწინებელია, რომ გამოკვლევა უტარდება ძირითად შემთხვევაში არამდგრადი ფსიქიკის მქონე ისეთ პატიმრებს, რომლებიც, თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ მომეტებულ საფრთხეს როგორც საკუთარი თავის, ასევე გარშემო მყოფი პირების მიმართ, რაც განაპირობებს მათ ქცევაზე მაღალი ხარისხით მონიტორინგის განხორციელების მიზანშეწონილობას.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია სამართლებრივ აქტებში მკაფიოდ დარეგულირდეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ქცევაზე ზედამხედველობის, მეთვალყურეობისა და კონტროლის წესები და სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა ვალდებულებები (მათ შორის, ვიზუალური და/ან ელექტრონული მეთვალყურეობა), რომელთა შესრულების შემთხვევაშიც აღნიშნული კატეგორიის პატიმართა უსაფრთხოება კარგად იქნება დაცული.

12.6

სუიციდის პრევენციის პროგრამის ნაკლოვანებები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 26 ოქტომბრის N643 ბრძანებით დამტკიცდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომლის მიზანი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურისადმი დაქვემდებარებულ პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა, მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული დახმარების მიწოდების ხელშეწყობა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება. სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სუიციდის პრევენციის პროგრამის ეფექტიანობის ხარისხი. ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს პატიმართა სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართვის საკითხებს, მათ შორის პროგრამის მიზანს, რომელსაც წარმოადგენს სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს სუიციდის რისკის მატარებელი პირების იდენტიფიცირება და მათი პროგრამაში ჩართვა.

ამ კუთხით, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებებში, პატიმართა მიღებისას, განსაზღვრულია შემდეგი ვალდებულება: ადგილობრივი კოორდინატორის შეტყობინების საფუძველზე, სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასების მიზნით, აღნიშნული პატიმრის ფსიქოლოგის შეხვედრის აუცილებლობა. ამასთან, სამართლებრივ აქტებში არ არის განსაზღვრული, დაწესებულებაში მიღების შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით პატიმართა სავალდებულო სპეციალური სკრინინგის ჩატარება სუიციდის რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, რაც საყურადღებოა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პატიმრებში სუიციდისადმი მიდრეკილების ჩამოყალიბების რისკი უფრო მაღალია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვიდრე მოთავსებისთანავე.

სამართლებრივი აქტებით არ რეგულირდება სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა მიმართ, პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნისას (მათ შორის სამოქალაქო კლინიკაში, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ საექსპერტო დაწესებულებაში და ა.შ.) გასატარებელი ღონისძიებები და სპეციფიკური მიდგომები, მათ შორის, მუდმივი ვიდეომონიტორინგი და/ან უშუალო ვიზუალური მეთვალყურეობა გარკვეული პერიოდულობით.

რეკომენდაცია

• მიზანშეწონილია, პროგრამით განსაზღვრული მიზნის შესასრულებლად - სუიციდის რისკის მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იდენტიფიცირება და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება, დაიხვეწოს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემა, რათა არ მოხდეს ისეთი პატიმრებისთვის დაბალი რისკის განსაზღვრა (რაც ნიშნავს პატიმრის დარჩენას სუიციდის პრევენციის პროგრამის მიღმა), რომლებიც ობიექტურად არიან საშუალო ან/და მაღალი რისკის მატარებელნი.

• მიზანშეწონილია, სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნის სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცევა, ამ მიზნით საუკეთესო ევროპული გამოცდილების კვლევა და პრაქტიკაში მისი დანერგვა.

12.7

პატიმართა ვიდეომონიტორინგის ნაკლოვანებები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებით, ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი დანაყოფის თანამშრომელი (ინსპექტორი) ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ პირს, თუ სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული პირი 5 წუთის განმავლობაში არ გამოჩნდება ხედვის არეში. გარდა აღნიშნულისა, ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვილ საკნებში, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეიძლება განთავსდნენ ისეთი პატიმრებიც, რომლებიც მართალია არ არიან ჩართულნი სუიციდის პრევენციის პროგრამაში, თუმცა მომეტებული რისკისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. თანამდებობრივი ინსტრუქციით, თანამშრომელი (ინსპექტორი) ვალდებულია განახორციელოს, მათ შორის, ამ კატეგორიის პატიმართა მუდმივი მონიტორინგი კამერების მეშვეობითა და ვიდეომეთვალყურეობის გზით.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივ აქტებში არ არის მოხსენიებული, მსგავსი კატეგორიის პატიმართა მხრიდან განხორციელებული კონკრეტულად რა სახის ქმედების ან/და კამერის ხედვის არეალიდან მათი რა პერიოდით გასვლის შემთხვევაში აქვს თანამშრომელს შეტყობინების ვალდებულება.

რეკომენდაცია:

• მიზანშეწონილია, პატიმართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ასეთი კატეგორიის პატიმართა მიმართებით მკაფიოდ განისაზღვროს სპეციალური დანაყოფის თანამშრომლის (ინსპექტორის) მოვალეობები.

• სასურველია, სამართლებრივ აქტში გაიწეროს ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი დანაყოფის თანამშრომლის (ინსპექტორის) მოვალეობა, რომლის მიხედვითაც, ინსპექტორს, ექნება ვალდებულება პატიმრების (რომლებიც არ არიან ჩართულნი სუიციდის პრევენციის პროგრამაში, თუმცა ექვემდებარებიან ვიდეომონიტორინგს) კამერების ხედვის არეალიდან გასვლისას, გონივრული სიხშირით მოახდინონ პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლის ინფორმირება.

12.8

პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციების ხარვეზები

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში, სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დახვეწა. მართალია, ამ სფეროში საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების შესაბამისად, დამტკიცდა ხანძრის შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მოქმედების გეგმა, ასევე, განისაზღვრა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - სამოქალაქო და სახანძრო თავდაცვის ინსპექტორი, თუმცა, მას არ ჩატარებია შესაბამისი ინსტრუქტაჟი/ტრენინგი დაკისრებული მოვალეობის არსსა და ინციდენტის შემთხვევაში სიტუაციის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

ასევე გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი პენიტენციური დაწესებულების სამოქალაქო და სახანძრო თავდაცვის ინსპექტორი არ იყო სამოქალაქო და სახანძრო უსაფრთხოების სპეციალისტი, თანამდებობაზე დანიშვნისას აღნიშნული მიმართულებით არ ჰქონდა არავითარი გამოცდილება. თუმცა, ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მოქმედი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, არ არის განსაზღვრული კვალიფიკაციისა და გამოცდილების სავალდებულო მოთხოვნა სამოქალაქო და სახანძრო თავდაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე პირის დასანიშნად. ამასთან, არ გატარებულა პენიტენციურ დაწესებულებაში ისეთი ხანძარსაწინააღმდეგო ზომები, როგორებიცაა: შენობაში სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის დამონტაჟება, ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმების შედგენა და მისი შენობის სართულების დერეფნებში განთავსება, შენობაში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, გარე ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა, შენობისთვის სახანძრო უსაფრთხოების ზომებისა და ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისთვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქციების შემუშავება.

დადებითი ტენდენციები:

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი ხანძრის შემდგომ პერიოდში, პენიტენციური სამსახურის მიმართვის საფუძველზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად შეამოწმა ყველა პენიტენციური დაწესებულება, ხოლო თავად სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება - ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმის მომზადება/განახლების მიზნით.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ერთობლივად შეიმუშაონ და გააუმჯობესონ მათი კომპეტენციის ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო-უსაფრთხოების წესები, კერძოდ, სახანძრო-უსაფრთხოების ხარისხის გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების რეგულაციები, ევაკუაციის ეფექტიანი გეგმა და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტები. სასურველია ინსპექტორის თანამდებობაზე მყოფ პირს გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება და სამართლებრივი აქტით მკაფიოდ გაიწეროს მისი ფუნქცია-მოვალეობები.

- მიზანშეწონილია, პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თუკი შენობა-ნაგებობები არ საჭიროებს ძირეულ რეკონსტრუქციას;

- რეკომენდებულია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის დებულებაში განხორციელდეს ცვლილებები ან დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოიცეს სამართლებრივი აქტი და მკაფიოდ განისაზღვროს ამავე დეპარტამენტში შემავალი ინფრასტრუქტურული განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობები და პასუხისმგებლობა პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაკონტროლებასთან დაკავშირებით. ასევე, სასურველია სამმართველოში გამოიყოს კონკრეტული პირი, რომელსაც დაევალება აღნიშნული ფუნქციის შესრულება, რასაც იგი განახორციელებს გარკვეული პერიოდულობით. მნიშვნელოვანია აღნიშნულმა პირმა პენიტენციური დაწესებულებები შეამოწმოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში კი ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომიკურ დეპარტამენტს (დღეის მდგომარეობით, ინფრასტრუქტურული განვითარების სამმართველოში ამ ფუნქციის შესასრულებლად რომელიმე სპეციალისტი გამოყოფილი არ არის).

12.9

სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განთავსებისა და ბადრაგირების პრობლემები (გარე და შიდა ესკორტირება)

ა) სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა განთავსება

საგამოძიებო სამსახურის მიერ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში, მათ შორის შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ და შპს „ვივამედის კლინიკაში“ მოთავსებული პატიმრების მიერ განხორციელებული სუიციდის ფაქტების გამოძიების შედეგად გამოიკვეთა გამოწვევები, რომლებიც სამოქალაქო სექტორის კლინიკაში მოთავსებული პატიმრების მეთვალყურეობასა და კონტროლს უკავშირდება.

აღნიშნული კატეგორიის საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში პატიმართა განთავსების, მონიტორინგისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების საკითხთა ნაწილი ან საერთოდ არ რეგულირდება ნორმატიული აქტებით, ან რეგულირდება ნაწილობრივ, ან რეგულირდება ნორმატიული აქტებით, თუმცა პრაქტიკაში აღნიშნულის აღსრულება არ ხდება.

გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია გამოავლინოს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებისა, და რიგ შემთხვევაში, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტები, თუმცა კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის გამოკვეთა რთულდება, როდესაც ნორმატიულად არ არის დარეგულირებული მათი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები.

აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა რამდენიმე გამოწვევა, რომლებიც სამოქალაქო სექტორის კლინიკებში პატიმართა განთავსების დროს არის საყურადღებო:

ბ) საბადრაგო ჯგუფის წევრების მიერ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამსახურებრივი-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესები

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, ის რომ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს თანამშრომლები, რომლებიც სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში ახდენენ პატიმართა გადაყვანასა და მეთვალყურეობას არიან შეიარაღებულნი სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც მათ გადაეცემათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებისას სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში. სამსახურებრივი მოვალეობის დასრულების შემდგომ ისინი იარაღს აბარებენ ამავე ადმინისტრაციულ შენობაში.

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ყოფნისგან განსხვავებით, შესაბამისი ნორმატიული აქტით არ არის დარეგულირებული, აქვთ თუ არა სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს თანამშრომლებს უფლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იქონიონ და ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი და რა პროცედურები და წესები უნდა დაიცვან იარაღის ტარების დროს.

საყურადღებოარომნორმატიულიაქტებით,ასევე,არრეგულირდებასამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესები, მაგალითად: სად უნდა შეინახონ თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღი, ვინაა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაზე პასუხისმგებელი პირი, ვინ გასცემს ნებართვას თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი იარაღის შენახვასთან და აღებასთან დაკავშირებით და როდის გაიცემა აღნიშნული ნებართვა. ასევე, რეგულირების მიღმაა დარჩენილი ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისას დასაცავი უსაფრთხოების წესები. გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს, რომ ასევე არ არის განსაზღვრული საბადრაგო ჯგუფის წევრების მიერ, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მკაცრად დადგენილი წესები და საფუძვლები.

„პატიმრობის კოდექსის: 57[2] მუხლის თანახმად, დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის იმ მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ტარება ან/და შენახვა, რომელსაც უშუალო შეხება აქვს ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანების 27-ე მუხლის თანახმად, დაწესებულებაში შესვლისას საბადრაგო ჯგუფის წევრები ტოვებენ იარაღს და საბრძოლო მასალებს დაწესებულების სამორიგეო ნაწილში. ამავე ბრძანების 47-ე და 49-ე მუხლის შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული წესები ეხება მხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებას და არ მოიცავს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებს, რაც ართულებს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ამავე რეგულაციების გამოყენების საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს თანამშრომლების განმარტებით აღნიშნული წესები რეგულირდება ზეპირი მითითებებისა და მოვალეობის შესრულებისას ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად, თუმცა მათ მიერ განმარტებული წესები ხშირად ურთიერთგამომრიცხავია, რაც ცხადყოფს აღნიშნულის სამართლებრივი რეგულირების გადაუდებელ აუცილებლობას.

რეკომენდაცია:

• არსებული ვითარების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამართლებრივ აქტში მკაფიოდ დარეგულირდეს: სამოქალაქო სექტორის კლინიკებში მყოფ საბადრაგო ჯგუფის წევრების მიერ სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, შენახვისა და გამოყენების მკაცრად განსაზღვრული წესები, სამოქალაქო სექტორის კლინიკაში სამორიგეო ჯგუფის წევრის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და განსაკუთრებით, ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ურთიერთობისას, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების წესები; სამოქალაქო სექტორის კლინიკაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების საგამონაკლისო შემთხვევები და მსგავს შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების მკაცრად დადგენილი წესები; სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და იარაღის აღებასთან დაკავშირებული წესები (ცვლის გადაბარების პროცედურები).

• მიზანშეწონილია ჯგუფის უფროსის ვალდებულებად განისაზღვროს სამორიგეო ჯგუფის წევრების მიერ სამოქალაქო კლინიკაში ყოფნისას სამსახურებრივი იარაღის შენახვისა და აღების ნებართვის გაცემის საკითხი და ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხოდ შენახვის მონიტორინგი.

გ) სამოქალაქო სექტორში განთავსებული პატიმრების მიმართ ვიდეო მონიტორინგის განხორციელება

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე საქმეების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რიგ შემთხვევებში სამოქალაქო სექტორის კლინიკები, სადაც ხდება პატიმართა განთავსება აღჭურვილი არ არის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით.

აღნიშნული გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით ისეთი კლინიკებისთვის, სადაც ხდება პატიმართა დიდი რაოდენობით გადაყვანა. მაგალითად, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში, რომლებშიც მოთავსებულია ათობით პატიმარი, როგორც წესი, პატიმართა განთავსების პალატებსა და მიმდებარე დერეფანში არ ხდება ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელება, რაც პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გადაცდომის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამორიცხავს მნიშვნელოვანი მტკიცებულების, ვიდეოჩანაწერის მოპოვებას. გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის კლინიკებში, როგორც წესი ათობით პატიმარი განთავსებულია ცალ-ცალკე პალატებში, რის გამოც, ვიდეომეთვალყურეობის გარეშე, შეუძლებელია პატიმრების მიმართ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის განხორციელება, რაც თავის მხრივ რჩება გამოწვევად.

სამოქალაქო სექტორის კლინიკებში ვიდეო სამეთვალყურეო კამერების არარსებობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში მოთავსების პერიოდში პატიმრის მიმართ თვითდაზიანების ან სუიციდის განხორციელების რისკის არსებობის გამო ხდება ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით მუდმივი მონიტორინგი, ხოლო მსგავსი პატიმარი გადაჰყავთ სამოქალაქო სექტორის კლინიკაში და აღნიშნული რისკი კვლავ აქტუალური და გარდაუვალია, არარსებობს პატიმრის მიმართ მიმდინარე რეჟიმით, მუდმივი ვიდეომონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა.

მისასალმებელია ის რომ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ იმ ფლიგელში, რომელშიც განთავსებულნი არიან პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილი პატიმრები, მათი განთავსების პალატებში მიმდინარეობს ვიდეომეთვალყურეობა, ამ შემთხვევაში პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს სამორიგეო ჯგუფის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა მიმდინარე რეჟიმით ადევნონ თვალი ჩანაწერებს. თუმცა იმ ოთახში, საიდანაც ხდება ვიდეო კამერების ჩანაწერების მეშვეობით მიმდინარე რეჟიმით მონიტორინგი, არაა დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, რაც, თავის მხრივ ართულებს სამორიგეო ჯგუფის თანამშრომლების მიერ მოვალეობის ჯეროვნად შესრულების კონტროლს.

გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ვიდეო სამეთვალყურეო კამერების არსებობის შემთხვევაში, ვიდეომონიტორინგს ესკორტირებისადასპეციალურღონისძიებათასამმართველოსთანამშრომლები ახორციელებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მითითების საფუძველზე და შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი არ არის მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება.

გასათვალისწინებელი გარემოებაა, რომ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ვიდეომონიტორინგის განხორციელების შემთხვევაშიც კი ნორმატიული აქტით არაა დარეგულირებული საბადრაგო ჯგუფის წევრთაგან კონკრეტულად ვინ, როგორ და რა პერიოდულობით უნდა მოახდინოს ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მეშვეობით პატიმართა მონიტორინგი. ასევე, არაა განსაზღვრული ვინ უნდა მოახდინოს თანამშრომელთა განაწილება ვიდეო კამერების მეშვეობით მონიტორინგის განსახორციელებლად და ვინ უნდა მოახდინოს ამ თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, რათა ჯგუფის წევრებმა ჯეროვნად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება. ასევე, არაა განსაზღვრული ვიდეომონიტორინგის განხორციელების დროს მორიგეობის უწყისის წარმოებისა და ფუნქციათა განაწილების წესები.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს თანამშრომლების მიერ გამოძიებისთვის მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვიდეომონიტორინგის განხორციელებას თანამშრომლები ახდენენ არაერთგვაროვანი პრაქტიკის შესაბამისად, რაც ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია და შეუძლებელს ხდის ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნების მიღწევას.

რეკომენდაცია:

• მიზანშეწონილია, რომ სამოქალაქო სექტორის კლინიკის პროფილისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სავალდებულოდ განისაზღვროს სამოქალაქო სექტორის კლინიკებში მოთავსებული პატიმრების მიმართ უწყვეტი ვიდეომონიტორინგის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს პატიმართა უსაფრთხოების უზრუნველყოფას და გაზრდის გამოძიების ეფექტიანობას. აღნიშნული წესის განსაზღვრა განსაკუთრებით აქტუალურია იმ პატიმრებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც სუიციდის ან თვითდაზიანების რისკის არსებობის გამო პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარეობდა ვიდეომონიტორინგი ან პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ისინი ჩართულნი იყვნენ სუიციდის პრევენციის პროგრამაში.

• მიზანშეწონილია სამართლებრივ აქტში მკაფიოდ დარეგულირდეს სამოქალაქო სექტორის კლინიკებში მყოიფ საბადრაგო ჯგუფის წევრების მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცედურა და სავალდებულოდ განისაზღვროს ვიდეომონიტორინგის უწყისის შედგენა.

• რეკომენდირებულია ჯგუფის უფროსის ვალდებულებად განისაზღვროს ვიდეომონიტორინგის მიზნით სამორიგეო ჯგუფის წევრების განაწილება და მათ მიერ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულების კონტროლი.

• მიზანშეწონილია ვიდეოკამერებით აღიჭურვოს ის სივრცე, საიდანაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები ახდენენ ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მეშვეობით პატიმართა მონიტორინგს.

დ) საბადრაგო ჯგუფის წევრებისა და ჯგუფის უფროსის ფუნქციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანების 53-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანის შემთხვევაში, მიმღებ საავადმყოფოში ეწყობა დროებითი საგუშაგო, რომელიც შედგება საბადრაგო ჯგუფის არანაკლებ 3 წევრისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვასა და მეთვალყურეობას.

ამავე ბრძანების 55-ე მუხლის თანახმად, დროებითი საგუშაგო შედგება მოქმედი, მხნე და დამსვენებელი ცვლებისგან. ამავე ბრძანების 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დროებითი საგუშაგოს მოწყობის შემთხვევაში საბადრაგო ჯგუფის მიერ ივსება სადღეღამისო საგუშაგო უწყისი ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №149 ბრძანებით არაა დეტალურად მოწესრიგებული სამოქალაქო სექტორში, დროებით საგუშაგოზე მყოფ ჯგუფის წევრთა ვალდებულებები. რეგულირების მიღმაა დარჩენილი სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მყოფი მოქმედი, მხნე და დამსვენებელი ცვლის მიერ ფუნქციების შესრულების დეტალური წესი. მნიშვნელოვანია, რომ №149 ბრძანებით სავალდებულოა ამავე ბრძანების №3 დანართის შევსება, სადაც მოცემული საათობრივი გრაფიკის მიხედვით, მოქმედი, მხნე და დამსვენებელი ჯგუფის წევრთა სამუშაო საათები განისაზღვრება 2-2 საათით. აღნიშნულის მიუხედავად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის

პრევენციის ცენტრში“ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საბადრაგო ჯგუფის წევრების მიერ ან საერთოდ არ ხდება №149 ბრძანებით დადგენილი დანართი №3-ის ძირითადი ნაწილის გრაფიკის (საათობრივი გათვლის) შევსება, ან აღნიშნული გრაფიკის შევსება ფორმალურ ხასიათს ატარებს და თანამშრომლების მიერ სამუშაო და დასვენების საათების გადანაწილება ხდება მათი შეხედულებისამებრ - აღნიშნულის მიზეზად კი თანამშრომლებს მოყავთ გრაფიკის არაპრაქტიკული ხასიათი. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ გრაფიკის მიხედვით თანამშრომელთა ფუნქციების გადანაწილება ხშირად შეუძლებელია სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მოქმედი თანამშრომლების მცირე რაოდენობის გამო. ყოველივე აღნიშნული ართულებს მოვალეობის არა ჯეროვნად შესრულების გამო, კონკრეტული თანამშრომლის პასუხისმგებლობის გამოკვეთას.

ასევე, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, რომ არ არის სამართლებრივად დარეგულირებული როდის, რა პერიოდულობითა და ვინ არის ვალდებული განახორციელოს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში არსებულ დროებით საგუშაგოზე მყოფ ჯგუფის უფროსისა და ჯგუფის წევრების მიერ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულების კონტროლი.

რეკომენდაცია:

• მიზანშეწონილია სამართლებრივ აქტებში უფრო დეტალურად განისაზღვროს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში, მისი სპეციალიზაციისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, დროებით საგუშაგოზე მყოფ საბადრაგო ჯგუფის წევრებისა და ჯგუფის უფროსის ფუნქციები და მოვალეობები, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან გადაცდომების/არასათანადო მოპყრობის შემთხვევების კლებას და გაზრდის გამოძიების ეფექტიანობას.

• ნათლად ჩამოყალიბდეს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში მყოფი საბადრაგო ჯგუფის მხნე და მოქმედი ცვლის ფუნქციები და მოვალეობები.

• გადაიხედოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №149 ბრძანებით განსაზღვრული დანართი №3-ში მოცემული მოქმედი, მხნე და დამსვენებელი ცვლების საათობრივი გრაფიკი და მოხდეს გრაფიკის სხვაგვარად ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის ეფექტიანად განხორციელებას.

• სამოქალაქო სექტორის კლინიკაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საბადრაგო ჯგუფის წევრების მიერ მოხდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №149 ბრძანებით განსაზღვრული დანართი №3-ში მოცემული გრაფიკის შევსება და გრაფიკის თანამშრომლებისთვის სათანადო წესის დაცვით გაცნობა.

• განისაზღვროს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში, დროებით საგუშაგოზე მყოფ საბადრაგო ჯგუფის წევრებისა და ჯგუფის უფროსის ფუნქციების ეფექტიანად შესრულების პერიოდული მონიტორინგი და მონიტორინგის განმხორციელებელი პირის ფუნქციები.

13

დადებითი ტენდენციები

13.1

შეტყობინების გადმოგზავნის დროულობა და რელევანტური საკომუნიკაციო დანაყოფები

2022 წელს, 10 თვის განმავლობაში, სამსახურში შემოსული სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინებების ყველაზე დიდი ნაწილი (**70%**) სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროდანაა. კერძოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან გადმოიგზავნა 44% - 1033 შეტყობინება, ხოლო გენერალური ინსპექციიდან 25% - 533 შეტყობინება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან შეტყობინებები სამსახურში იგზავნება შემჭიდროებულ ვადებში. საგულისხმოა, რომ შეტყობინებებზე დროული რეაგირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდებისას გამართული და სწრაფი მექანიზმის არსებობა.

13.2

დროებითი მოთავსები იზოლატორებში დაშვება და დისტანციური კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს პრაქტიკაში არ ჰქონიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესვლასთან დაკავშირებით რაიმე დაბრკოლება. კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული რეგულაციების პირობებშიც და დღესაც, იზოლატორები მაქსიმალურად თანამშრომლობენ სამსახურის წარმომადგენლებთან, რათა უზრუნველყონ დაკავებული პირების შემჭიდროვებულ ვადებში დისტანციური გამოკითხვისთვის ვიდეო-ტექნიკური მხარდაჭერა.

13.3

დროებითი მოთავსების იზოლატორების ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის პოზიტიური ნაბიჯები, რომლებიც გადადგა შინაგან საქმეთა სამინისტრომ იზოლატორების ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვასთან დაკავშირებით. სამინისტროს ინიციატივით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე 2022 წლის 14 დეკემბერს შევიდა ცვლილება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-41 მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმადაც იზოლატორში მოთავსებულ პირთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად ამ პირთა მიმართ უკვე ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ამავე მუხლში მითითებულია, რომ ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

აღნიშნული დადებითი ტენდენცია აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებში, სამსახურმა სწორედ იმ მიზეზით, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არ იყო სრულად დამონტაჟებული ვიდეოკამერები, ვერ შეძლო საქმეზე ობიექტური მტკიცებულების მოპოვება, რათა დადგენილიყო მოხდა თუ არა ძალადობა დაკავებული პირის მიმართ. აღნიშნულმა, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად შეაფერხა მიმდინარე გამოძიება.

აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულად აღჭურვას ვიდეოკამერებით, მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროული რეაგირებისა და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, რაც ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს.

13.4

დადებითი ტენდენციები პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პირების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით

2020 წლის 30 ნოემბერს გამოიცა საქართველოს იუსტიციის მინისტრის №663 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“, რის საფუძველზეც 2020 წლის 30 ნოემბრიდან შეიცვალა პენიტენციური დაწესებულებებიდან შეტყობინებათა გადმოგზავნის წესი და დაზიანებით მოთავსებულ პირებზე შეტყობინებას სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მხოლოდ ექიმი გზავნის. სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებიდან შეტყობინება იგზავნება, როდესაც:

ა) ბრალდებულს/მსჯავრდებულს აღენიშნება დაზიანება და ექიმს გაუჩნდება ეჭვი წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით;

ბ) ბრალდებული/მსჯავრდებული უთითებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის ფაქტზე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებებიდან იგზავნება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცხადებებიც, რომლებშიც მითითებულია შესაძლო ძალადობრივი ქმედების შესახებ. 24-საათიანი რეჟიმით იგზავნება შეტყობინებები, რომლებიც შეეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა გარდაცვალების ფაქტებს. იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, ასევე, იგზავნება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცხადებები და მასალები, თუ გამოძიების მიმდინარეობისას ან მის დაწყებამდე ჩატარებული გასაუბრებისას გამოიკვეთება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნები.

2022 წელს პატიმრობის კოდექსში ასახული ცვლილებების თანახმად, სატელეფონო საუბრის ლიმიტები არ ვრცელდება მსჯავრდებულის/ბრალდებულის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დაკავშირების შემთხვევებზე და პენიტენციური დაწესებულების ხარჯით ხორციელდება. დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდშიც კი (მათ შორის სამარტოო საკანში) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უნარჩუნდება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან სატელეფონო საუბრის უფლება. გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არ ვრცელდება ბრალდებულის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერზე დაკავშირების შემთხვევებზე. დაბოლოს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი პირები პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ.

2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული/პატიმარი ბრალდებულის მიერ შემოვიდა 141 შეტყობინება, ამათგან 48 - ცხელი ხაზის საშუალებით, ხოლო 93 - განცხადების სახით.

დადებითი ტენდენციების თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი პენიტენციური კოდექსის პროექტიც. პროცესის სათანადოდ წარმართვის მიზნით სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და საქართველოს სახალხო

დამცველის წარმომადგენლებიც. პროექტზე მუშაობისას გაანალიზდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მარეგულირებელი ნორმები, არსებული პრაქტიკა, აგრეთვე, საქართველოს სახალხო დამცველისა და წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) რეკომენდაციები და იდენტიფიცირებულ იქნა არსებული ხარვეზები. შედეგად, საქართველოს მთავრობას და პარლამენტს წარედგინა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული მოცულობითი საკანონმდებლო პაკეტი.

პენიტენციური კოდექსის პროექტით გათვალისწინებული იმ მნიშვნელოვანი სიახლეებიდან, რომლებიც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილების განხორციელებას ხელშეწყობას უკავშირდება, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

• კანონქვემდებარე აქტიდან (მინისტრის ბრძანება) კოდექსში გადაინაცვლებს სამედიცინო პერსონალის ვალდებულება, პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის საგამოძიებო ორგანოს;

• ის პირები, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ (მათ შორის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი პირები), ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულების მიზნით ასევე ისარგებლებენ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით, სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესის დაცვით;

• ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მასალა დაარქივდება განსაზღვრული ვადით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მისი მტკიცებულებად გამოყენების მიზნით. ამავე მასალებში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას დაარქივებული მასალა შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმეშიც იქნეს გამოყენებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით, მათ შორის, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულის გამოძიებისას;

• პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს მიენიჭება უფლებამოსილება, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეხვდეს სპეციალურ ოთახში, სადაც ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი არ ხორციელდება, უსაფრთხოების პირობების დაცვით. თუ ამგვარი კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგად სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს მიეწოდება ინფორმაცია ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებს, ამის შესახებ, თავის მხრივ, ეცნობება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელიც შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

WWW.SIS.GOV.GE

14

გამოძიების წინაშე არსებული გამოწვევები

14.1

ხანგრძლივად მიმდინარე კომისიური ექსპერტიზები

გამოძიებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა გარდაცვალების საქმეთა გამოძიება, რადგან დღის წესრიგში დგება კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება. ასეთი შემთხვევები ხდება მაშინ, როდესაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტის მიერ გაცემულია პირველადი სამედიცინო დასკვნა, რომელშიც მართალია მითითებულია გარდაცვალების კატეგორიული ან/და სავარაუდო მიზეზი, თუმცა არსებობს კითხვები გარდაცვალებამდე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის სწორი დიაგნოსტირების, მკურნალობის დაგეგმვისა და მის სწორად, დროულად და ხარისხიანად წარმართვასთან (მკურნალობის მართვა) დაკავშირებით.

კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა გამომძიებლის მიერ ინიშნება შესაბამისი დადგენილებით, ხოლო მისი ჩატარება ევალება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვებიდან გამომდინარე, საკითხის შესწავლა ძირითად შემთხვევებში უნდა განხორციელდეს სამედიცინო სფეროს სხვადასხვა მიმართულების დარგის (ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია, კარდიოლოგია,

ენდოკრინოლოგია და ა.შ.) ექიმ-სპეციალისტების მიერ. ისინი, წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლიან საკითხს ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვების საფუძველზე და ამზადებენ შესაბამის რეცენზიას. აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს დასკვნის საბოლოო ფორმას, თუმცა არის მისი შემადგენელი ნაწილი. ექიმ-სპეციალისტის მიერ მომზადებული რეცენზიები გადაეცემა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის ექსპერტს, რომელიც აღნიშნული რეცენზიების გათვალისწინებით გასცემს ექსპერტიზის დასკვნას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დასაქმებული არ არიან შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტები. ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტების გამოყოფის მოთხოვნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მიმართავს საგამოძიებო სამსახურს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სამინისტრო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს წარუდგენს შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტების კანდიდატურას, თუმცა მოქმედი ნორმატიული აქტები დღეის მდგომარეობით არ ავალდებულებს შერჩეულ ექიმ-სპეციალისტს მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის ჩატარებაში. გარდა ამისა, აღნიშნული ნორმატიული აქტი, ექიმ-სპეციალისტის მხრიდან თანხმობის გაცხადების შემთხვევაში არ ითვალისწინებს ანაზღაურებას ექსპერტიზის პროცესში შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ, რაც ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექიმ-სპეციალისტის მონაწილეობა კომისიური ექსპერტიზის ჩატარებაში არის ნებაყოფლობითი და მისი მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში საგამოძიებო სამსახურს ან სხვა უწყებას არ აქვს სამართლებრივი ბერკეტი, უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობა ექსპერტიზაში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ექიმ-სპეციალისტი შეისწავლის იმ პირთა ქმედებებს, რომლებიც მუშაობენ ასევე სამედიცინო სფეროში, რაც გარკვეულწილად დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს და ზრდის ექიმ-სპეციალისტის მხრიდან უარის თქმის მოტივაციას.

დღეის მდგომარეობით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული ამ კატეგორიის საქმეებიდან 17-ზე დანიშნულია კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. თუმცა მიუხედავად იმისა რომ პირველი კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 2020 წლის 8 ივლისს, ჯერ კიდევ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფარგლებში, არცერთი ექსპერტიზა დღემდე არ დასრულებულა, რადგან ძირითად შემთხვევებში ექიმ-სპეციალისტებმა უარი განაცხადეს ექსპერტიზაში მონაწილეობის მიღებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელი ხდება გამოძიებამ დროულად გასცეს პასუხი კითხვას, სათანადო მკურნალობა ჩაუტარდა თუ არა მსხვერპლს და ხომ არ გამხდარა გარდაცვალების მიზეზი არასათანადო მკურნალობა. აღნიშნული კი უარყოფითად აისახება გამოძიების ხარისხზე, დროულობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური შეეცდება ქვემოაღნიშნული და იდენტიფიცირებული სხვა ხარვეზები, რომლებიც აფერხებს მიმდინარე გამოძიების პროცესს, წარმოადგინოს სამსახურის ინიციატივით შექმნილ ცალკეული სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოზე, სადაც სახელმწიფო დაწესებულებების ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის გზით შესაძლებელი გახდება ამ საკითხების მოგვარება და მათი სამართლებრივი გზით გადაწყვეტა.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია გატარდეს აქტიური ღონისძიებები როგორც სამართლებრივი რეგულირების, ასევე, პრაქტიკული ქმედებების სახით. ეფექტური იქნება აღნიშნული საკითხის მოგვარება შემდეგი შესაძლო გზებით:

1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები სხვადასხვა დარგის ექიმ-სპეციალისტებთან, რომლებსაც ხელშეკრულების შესაბამისად ექნებათ ვალდებულება განსაზღვრული ანაზღაურების სანაცვლოდ მონაწილეობა მიიღონ ექსპერტიზის ჩატარებაში;

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შესაძლებელია შემუშავდეს სამართლებრივი აქტი, რომელშიც გაიწერება ექიმ-სპეციალისტის ვალდებულება საექსპერტო დაწესებულების ან საგამოძიებო სამსახურის მიმართვის შემთხვევაში ანაზღაურების სანაცვლოდ მიიღოს მონაწილეობა ექსპერტიზის ჩატარებაში (გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული ექიმ-სპეციალისტის ექსპერტიზაში მონაწილეობა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს აღნიშნულ ექიმ-სპეციალისტს ან სხვა პირს). ამასთან, სასურველია ექიმ-სპეციალისტის ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით ვალდებულების გაწერასთან ერთად გათვალისწინებული იქნეს ერთგვარი წამახალისებელი ღონისძიება აღნიშნული ექიმ-სპეციალისტის მიმართ მისი ექსპერტიზაში მონაწილეობის შემთხვევაში.

14.2

საქმის გაცნობის პროცედურები

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სპეციალური საგამოძიებო სამსახური აღჭურვილია ექსკლუზიური უფლებამოსილებით და აქვს სხვა საგამოძიებო ორგანოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, თუ ფლობს ინფორმაციას, რომ რომელიმე საგამოძიებო ორგანო იძიებს მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეს. თუმცა უნდა ითქვას რომ აღნიშნული საპროცესო ბერკეტი არ არის ქმედითი და ვერ უზრუნველყოფს საქმის სამსახურისთვის დროულ გადაცემას. კერძოდ, კანონი არ განმარტავს რა წესითა და პროცედურის დაცვით უნდა გაეცნოს სამსახური სხვა საგამოძიებო ორგანოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, ვის უნდა მიმართოს სამსახურმა (საგამოძიებო უწყებას თუ ზედამხედველ პროკურორს) და ვისგან უნდა მოიპოვოს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ნებართვა, რა ვადაში უნდა მოხდეს სამსახურის მოთხოვნის დაკმაყოფილება, სად უნდა მოხდეს საქმის გაცნობა და ა.შ.

რეკომენდაცია:

მნიშვნელოვანია ყველა სამართალდამცავმა უწყებამ შეიმუშაოს წესები, რომლებიც დაარეგულირებს და უფრო მეტად ეფექტურს გახდის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად გაეცნოს სხვა საგამოძიებო უწყების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, რათა დროულად უზრუნველყოს მის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებზე გამოძიების გაგრძელება. აღნიშნული საკითხის მოგვარებას სპეციალური საგამოძიებო სამსახური შეეცდება ცალკეული სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოზე.

14.3

სასამართლოდან არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინებების გადმოგზავნის ტენდენცია

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეებზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას არასათანადო მოპყრობის შემთხვევების ეფექტიანი გამოვლენისა და პრევენციის მიზნით დამატებითი ღონისძიებების ჩატარების თაობაზე. კომიტეტმა აღნიშნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შესაბამისობა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის“ შესახებ კანონთან და ხაზი გაუსვა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ახალი საკანონმდებლო გარანტიების მოსამართლეთა მხრიდან ეფექტურად გამოყენების ზრდის მნიშვნელობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ 2019 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე (სსსკ-ის 191[1]-ე მუხლი) თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/ და არაადამიანური მოპყრობა ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/ მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის მიმართავს გამოძიების შესაბამის ორგანოს.

ანალოგიური შინაარსის ცვლილება შევიდა 2022 წლის 18 ოქტომბერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 238[1]-ე მუხლში.

აღნიშნულმა ცვლილებებმა მოსამართლეები, რომლებსაც შეხება აქვთ როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირებთან, მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეაგირების ბერკეტით აღჭურვა, წამების დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის შესახებ ეჭვის არსებობისას მიმართონ შესაბამის სამსახურს, ამ შემთხვევაში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

სამსახური სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისას, სხვა საკითხებთან ერთად, ამუშავებს მონაცემებს იმის თაობაზე, თუ რომელი უწყებებიდან შემოდის რეაგირებისთვის შეტყობინებები სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთნებულ დანაშაულებთან დაკავშირებით. 2022 წლის 10 თვის მონაცემებით, სამსახურში შემოსული 2368 შეტყობინებიდან მხოლოდ 3% (77) შემოვიდა სასამართლოდან (კოლეგიის მიუხედავად), მაშინ როდესაც პროკურატურიდან შემოსულია 8% (180) შეტყობინება). აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე მოსამართლეები კანონით გათვალისწინებული რეაგირების ფორმად ირჩევენ პროკურორისთვის ზეპირი დავალების მიცემას, ხოლო ადმინისტრაციული მიმართულებით მომუშავე მოსამართლეები ჯერ კიდევ არ იყენებენ ამ უფლებამოსილებას.

სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მსხვერპლის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე სათანადოდ რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია რომ სამსახური შეტყობინებას იღებდეს არაერთი წყაროდან. რიგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მიღებული ინფორმაცია დუბლირებულად, სხვადასხვა უწყებიდან, დამოუკიდებლად გამოიგზავნოს. აღნიშნული მხოლოდ ზრდის მსხვერპლის დარღვეულ უფლებებზე სამსახურის რეაგირების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია:
მიზანშეწონილია ე.წ „ბენჩ ბარის“ ფორმატით გაიმართოს შეხვედრები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, სასამართლოსა და პროკურატურის მონაწილეობით შეტყობინების ირგვლივ არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს შეტყობინების ამ მნიშვნელოვანი მექანიზმის აღსრულების დახვეწას, რაც გამორიცხავს ასეთი ფაქტის სამართლებრივი რეაგირების მიღმა დარჩენის ერთეულ შემთხვევებსაც კი.

14.4

პროკურორისა და გამომძიებლის უფლებამოსილებათა გამიჯვნა

ქვეყანაში არსებული დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის“ საფუძველზე ქვეყნის მხრიდან აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით შეიქმნა, 2022 წლის პირველი მარტიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ფორმით ფუნქციონირებს. 2022 წლის ივნისსა და ნოემბერში კი განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე კიდევ უფრო გაიზარდა სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა. ამ პერიოდიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახური არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების პროცესში გამოვლენილ ისეთ დანაშაულებთან ერთად, როგორებიცაა სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო მტკიცებულებების განადგურების, უკანონო დაკავების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი სიყალბის შემთხვევები (სსკ-ის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და 369[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები), იძიებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტებსაც.

საგამოძიებო უფლებამოსილებასთან ერთად იზრდება სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობაც, თუმცა ამ ყველაფერთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამსახურის გამომძიებლის დამოუკიდებლობა, რის უზრუნველსაყოფადაც სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დასრულდეს საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების საკანონმდებლო გამიჯვნის პროცესი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროკურორი არის სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სუბიექტი. იმავდროულად, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის ფარგლებში იგი აღჭურვილია გამოძიების წარმართვისა და მასში აქტიური მონაწილეობის საკანონმდებლო ბერკეტებით. აღნიშნული მოიცავს გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების ფაქტის პროკურორისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულებას, აგრეთვე ისეთ უფლებამოსილებებს, როგორიცაა: გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე (მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე) გამომძიებლისთვის შესასრულებლად სავალდებულო მითითების მიცემა, სისხლის სამართლის საქმის გაცნობა, გამომძიებლის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა, ამა თუ იმ გამომძიებლისთვის გამოძიების დავალება, ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად სასამართლოსგან ნებართვის გამოთხოვა, პირის დაზარალებულად ცნობა, პროცესის მონაწილეთა აცილება, საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნა, საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა, გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება და სხვა. ამდენად, პროკურორს აქვს ისეთი ფუნქციები, რომლებიც, თავისი არსით, გამოძიების გარკვეულ ეტაპებზე უმჯობესი იქნება რომ გამომძიებელმა შეასრულოს. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე. კოდექსის თანახმად, ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები ყველა შემთხვევაში ექვემდებარება სასამართლოს კონტროლს, რომელიც აფასებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ჩარევის ლეგიტიმურობას. ასევე მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი გააერთიანოს ან/და გამოყოს სისხლის სამართლის საქმეები; მნიშვნელოვანია გამომძიებელმა ეტაპობრივად, გამოძიების ინტერესების დაზიანების გარეშე შეძლოს დამოუკიდებელი საგამოძიებო უფლებამოსილებით აღჭურვა, მათ შორის სასამართლოსათვის წარსადგენი შუამდგომლობები პირველ ეტაპზე თუნდაც პროკურორის თანხმობით იქნეს შესაძლებელი.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს გამომძიებლისა და პროკურორის ფუნქციათა გამიჯვნის პრაქტიკაში დანერგვა იმგვარად, რომ ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იყოს გამომძიებლისა და გამოძიების ორგანოს დამოუკიდებლობა;

პარალელურად, დაიწყოს გამომძიებლების გადამზადება გამიჯვნის პროცესის შემდეგ მინიჭებული ახალი უფლებამოსილების პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

14.5

პოტენციური მსხვერპლის აღჭურვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით

დანაშაულის შესაძლო მსხვერპლის ჩართვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება ეფექტური, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 14 ივნისს შეხვედრაზე მიღებული N967 რეკომენდაცია განმარტავს, რომ გამოძიების მიმდინარეობისას უნდა მოხდეს დანაშაულის შესაძლო მსხვერპლის ინფორმირება მისი უფლებების თაობაზე, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მსხვერპლთა ინტერესების დაცვისა და მათი უფლებების გამოყენების მიზნით სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თავად მსხვერპლისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ შემთხვევაში ნეგატიურად შეაფასა ის, რომ გამოძიების პროცესში სავარაუდო მსხვერპლი უმეტესად არ არის ჩართული და მას გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია არ მიეწოდება[66].

66 - Chitayev and Chitayev v. Russia, Khadisov and Tsechoyev v. Russia;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესაბამისად , დაზარალებული იმ მოცულობით უნდა იყოს გამოძიების პროცესში ჩართული, რამდენადაც აუცილებელია მისი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, ასევე, მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ არაპირდაპირი მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის N2012/29/EU დირექტივის თანახმად, რომელიც აწესებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დახმარებისა და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, მსხვერპლი არის ფიზიკური პირი, რომელმაც მიიღო ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ზიანი, რაც გამოწვეული იყო დანაშაულებრივი მოქმედებით. ამავე დირექტივის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე მსხვერპლის ინფორმირება გამოძიების არდაწყების, გამოძიების შეწყვეტის ან დევნის არდაწყების შესახებ. დირექტივაში ასევე მითითებულია ის, რომ მსხვერპლის სტატუსი უნდა მიენიჭოს მათ შორის დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრებს. გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აწესებს, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრები ჩართულნი უნდა იყვნენ გამოძიების მიმდინარეობაში იმ დოზით, რამდენადაც ეს საჭიროა მათი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად. ამ მხრივ, სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა დარღვევა, ვინაიდან მსხვერპლის ოჯახის წევრს არ ჰქონდა წვდომა გამოძიების მასალებზე[69].

საერთაშორისო კანონმდებლობა და გამოცდილება დაზარალებულად ცნობას არ ითვალისწინებს და ადამიანი დაზარალებულად ან შესაძლო მსხვერპლად მიიჩნევა, მაშინვე, როდესაც იგი პრეტენზიას გამოთქვამს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ მას მიადგა ზიანი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაზარალებულის საკმარისი მონაწილეობა განაპირობებს გარკვეულ სარგებელს მთლიანად მართლმსაჯულების სისტემისთვის, ვინაიდან დაზარალებულის ჩართულობა შესაძლოა მნიშვნელოვანი დამხმარე ფაქტორი იყოს გამოძიებისთვის და ხელშემწყობი აღმოჩნდეს ჭეშმარიტების დადგენის პროცესისთვის.

67 - Siliadin v. France; C. N. and V. v. France; CN v. United Kingdom და სხვა;
68 - Al-Skeini and Others v. the United Kingdom;
69 - Betayev and Betayeva v. Russia; Boychenko v. Russi; Mezhiyeva v. Russia.

დაზარალებულის ეფექტიანი ჩართულობა ასევე ხელს შეუწყობს გამოძიებისა და მართლმსაჯულებისადმი ნდობის ამაღლებას[70]. თუ დანაშაულის შესაძლო მსხვერპლი სისხლის სამართლის პროცესში არ არის სათანადოდ ინფორმირებული, აღნიშნული იწვევს მის მეორეულ ვიქტიმიზაციას და, პირიქით, თუ იგი იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას, თავს გრძნობს აღიარებულად, უმარტივდება დანაშაულით მიყენებულ ტრავმებთან გამკლავება. დანაშაულის შესაძლო მსხვერპლს ასეთ შემთხვევაში, აქვს შესაძლებლობა გამოთქვას აზრი ჩატარებულ გამოძიებასთან დაკავშირებით და უჩნდება ნდობა საგამოძიებო ორგანოს მიმართ. აღნიშნული კი, საბოლოო ჯამში, პირდაპირ გავლენას ახდენს ეფექტიანი გამოძიების წარმოებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაზარალებულის აღჭურვა სათანადო ინფორმაციით ემსახურება, მისი (დაზარალებულის) ინტერესების ეფექტიან დაცვას, მაგალითად, შესაძლებლობას, გაასაჩივროს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება. მეორე მხრივ, დაზარალებულს ეძლევა სასამართლოსთვის ან ზემდგომი პროკურორისთვის მიმართვის მეშვეობით საგამოძიებო საქმიანობის კონტროლის შესაძლებლობა. ინფორმირებულ დაზარალებულს აქვს საშუალება, საგამოძიებო საქმიანობის ხარვეზიანობის შემთხვევაში მიიპყროს საზოგადოების ყურადღება და ამ გზით გაზარდოს გამოძიებაზე საზოგადოების კონტროლი. ამდენად, ინფორმაცია დაზარალებულის ხელთ არსებულ ყველაზე მძლავრ იარაღს წარმოადგენს გამოძიების თვითნებობის შესაზღუდად და საკუთარი უფლებების სწორად რეალიზებისთვის[71].

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებით გასცა მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შესახებ კანონმდებლობის/პრაქტიკის გაუმჯობესების რეკომენდაცია, მათ შორის გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების ჭრილში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მსხვერპლს შეეძლოს გაასაჩივროს გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება, რათა გამოძიების პროცესმა და მისმა შედეგებმა გაიაროს ობიექტური არბიტრის პროცესუალური კონტროლი.

70 - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
71 - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ საქართველოს მოქალაქე კონსტანტინე გამსახურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და მსხვერპლს (რომელიც უთითებს მის მიმართ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაზე და ზიანის მიღებაზე) ან/და ასეთი ქმედების შედეგად გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრს (მათ შორის გარდაცვლილთან მუდმივად მცხოვრები პირი) მიეცეს პროკურორის მიერ მიღებული გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილების სასამართლოში ერთჯერადად გასაჩივრების უფლება.

15

სამსახურის 2023 წლის გეგმები

15.1

ცალკეული სამოხელეო დანაშაულის პრევენციის სპეციალური საბჭოს შექმნა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივით სამოხელეო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით სამსახური გეგმავს ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭოს შექმნას. საბჭო იმუშავებს ცალკეული სამოხელეო დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების პროცესში წამოჭრილი გამოწვევების იდენტიფიცირებაზე, პრევენციის მექანიზმების შემუშავებზე, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და შეთანხმებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვაზე. ეს იქნება მყარი საფუძველი იმისა, რომ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა კარგად გააზრებული ერთიანი პოლიტიკითა და ნაყოფიერი თანამშრომლობის გზით განხორციელდეს.

დანაშაულის პრევენციასთან ერთად საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების ხელშეწყობაც იქნება.

უწყებების კოორდინირებული მუშაობის გზით საბჭოს ექნება შესაძლებლობა გაამარტივოს და გადაწყვიტოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებელი შესვლის უზრუნველყოფა, შეტყობინებების გაგზავნის მოქნილი სისტემის შექმნა, სხვა უწყებებიდან მტკიცებულებითი შინაარსის მატარებელი ინფორმაციის გადმოცემის ვადების შემცირება და ა.შ. პრევენციის სპეციალური საბჭო, საჭიროებისამებრ, წელიწადში არანაკლებ ერთხელ შეიკრიბება.

15.2

ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა

სამსახური 2023 წლიდან გეგმავს დაიწყოს ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა, რომლის განხორციელებაც შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებით იქნება შესაძლებელი. დოკუმენტმა არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების გათვალისწინებით უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გამოძიების დაწყების ერთიანი მიდგომები და ქმედების სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრის რეკომენდაციები. სწორედ საგამოძიებო ორგანოს მართებს გააანალიზოს მისი ქვემდებარე დანაშაულები და სასამართლოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით განსაზღვროს ქმედების კვალიფიკაციის საკითხები. სახელმძღვანელოში აუცილებლად ასახული უნდა იყოს დაზარალებულად ცნობის სტანდარტები, რაც, ასევე, აქამდე არსებული საგამოძიებო, ეროვნული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაანალიზებას საჭიროებს. სახელმძღვანელო უნდა მოიცავდეს, ასევე, დევნის დაწყების სტანდარტებსაც, რადგანაც გამომძიებელი იქნება ის პირი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს და შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები როდის იძლევა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს.

ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის ფორმირების მიზნით სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის პროექტთან **„უსაფრთხოების სექტორის გარე ზედამხედველობის მხარდაჭერა საქართველოში“**, რომლის ფარგლებშიც დაქირავებული ევროპელი ექსპერტი ჩაატარებს კვლევას და მოამზადებს დოკუმენტს, რომელშიც გაანალიზებული იქნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ინსტრუქციები და მეთოდოლოგიები ევროპულ დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმებთან მიმართებით. კვლევის შედეგად შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, ინსტრუქციები და მეთოდოლოგიები. ამავე პროექტის ფარგლებში მოხდება სპეციალური საგამოძებო სამსახურის საერთაშორისო ასპარეზზე სწორი პოზიციონირება და განხორციელდება სასწავლო ვიზიტები საუკეთესო პრაქტიკების შესწავლისა და გაზიარების მიზნით.

15.3

კვალიფიკაციის გამიჯვნის დოკუმენტის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა

ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ ფარგლებში 2023 წელს იგეგმება ისეთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოს შემუშავება, როგორიცაა დანაშაულის კვალიფიკაციათა გამიჯვნის დოკუმენტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების დანაშაულად სწორ კვალიფიკაციას. გამოძიების ეტაპზე არასწორად დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის საქმე საფრთხეს უქმნის მსხვერპლის ნდობის მოპოვებას, გამოძიების პროცესში ჩართულობას, ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებასა და, ზოგადად, უწყების პრესტიჟს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია, ვინაიდან დღის წესრიგში დგას - პროკურორისა და გამომძიებლის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გაეროს სოციალური და პოლიტიკური უფლებების კონვენციის (CCPR) მე-5 პერიოდული ანგარიშის განხილვის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად შეეხებოდა არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრის საკითხს.

დანაშაულის კვალიფიკაციათა გამიჯვნის დოკუმენტის შექმნის შემდგომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები მაქსიმალურად სწრაფად შეძლებენ საქმეზე სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრას. დოკუმენტი ჩამოაყალიბებს ერთგვაროვან პრაქტიკას როგორც კვალიფიკაციის განსაზღვრის, ასევე არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების კუთხით.

15.4

ხელახალი გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავება

2022 წლის 30 ნოემბერს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, კიდევ უფრო გაფართოვდა სამსახურის საგამოძიებო მანდატი და სამსახურის ქვემდებარე გახდა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების გამოძიება.

აღნიშნულმა ცვლილებამ აუცილებელი გახადა, შემუშავდეს ამ ტიპის საქმეთა გამოძიების მეთოდოლოგია. ამ მიმართულებით სამსახური გეგმავს დოკუმენტის შექმნას, რომელშიც გაწერილი იქნება ყველა ის ძირითადი ასპექტი, რომელიც აუცილებელია სწორი და ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის. სპეციალური საგამოძიებო სამსახური მეთოდოლოგიის შემუშავების შემდგომ გეგმავს იმ გამომძიებელთა გადამზადებას, რომლებიც გამოიძიებენ ზემოაღნიშნული ტიპის სისხლის სამართლის საქმეებს.

ამ პროცესის წარმატებით დასასრულებლად მნიშვნელოვანი იქნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დარგის ექსპერტებთან, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან.

15.5

ხელბორკილების გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა

როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული საქმეების პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, საგამოძიებო კუთხით არსებულ ერთ-ერთ აქტუალურ და პრობლემატურ საკითხს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან ხელბორკილის გამოყენებისას არსებული გამოწვევები წარმოადგენს. როგორც სისხლის სამართლის საქმეებში, ისე შემოსულ შეტყობინებებში დაზარალებულები/მსხვერპლები ხშირად მიუთითებენ სამართალდამცავთა მიერ ხელბორკილის მჭიდროდ, ხანგრძლივად დადებაზე და სიმჭიდროვის მარეგულირებელი მექანიზმის არასათანადოდ გამოყენებაზე.

ამ დროისთვის არ არსებობს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მიერ ხელბორკილების გამოყენების ინსტრუქციები, რომლებიც შესაბამის უფლებამოსილ პირებს დაუწესებდა ხელბორკილის სწორი გამოყენების სტანდარტს და მოახდენდა პოტენციური გადაცდომების პრევენციას.

საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, მსგავსი ხასიათის დოკუმენტის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო პრაქტიკის თანახმად, იყო და რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად.

გამომდინარე იქიდან, რომ 2022 წლის 1 მარტიდან სამსახურის მანდატი არსებითად გაფართოვდა და, შესაბამისად, მზარდია დაკავებულ პირთა რაოდენობა, სამსახური განიხილავს უწყებაში ხელბორკილის გამოყენების სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებას. აღნიშნული, ერთი მხრივ, მაქსიმალურად გამორიცხავს შესაძლო გადაცდომების რისკებს იმ უწყების წარმომადგენელთა მხრიდან, რომელებიც თავად არიან მსგავსი ტიპის დანაშაულთა გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები, ხოლო, მეორე მხრივ, დადებით გავლენას იქონიებს სამსახურის მიერ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიებების ხარისხზე. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ვინაიდან სამსახური თავად წარმოადგენს ამ მიმართულებით შესაბამისი წესებისა და რეგულაციების შემოტანისა და დანერგვის ინიციატორს, მნიშვნელოვანია, რომ, უპირველეს ყოვლისა, თავად ამ უწყებას ჰქონდეს შემუშავებული მსგავსი ტიპის დოკუმენტი და შესაბამისი წესების იმპლემენტაციის გამოცდილება.

ვინაიდან ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს კომპლექსურ მიმართულებას, შესაბამისი დოკუმენტის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფარგლებში, ევროკავშირის (EU) დაფინანსებითა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით ჩატარებულია კვლევა ხელბორკილის გამოყენების სტანდარტის თაობაზე, რომელშიც განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის კონტექსტში და წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის (CPT) პოზიციები სხვადასხვა სახელმწიფოში ხელბორკილისა და კიდურების შებოჭვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მითითებული დოკუმენტი შესაძლებელია სამსახურის მხრიდან გამოყენებულ იქნეს საწყის საბაზისო წერტილად ამ მიმართულებით სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით.

15.6

სამხრე კამერების გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა

2022 წლის 1 მარტიდან გაზრდილი საგამოძიებო მანდატის პირობებში სამსახურს დაეკისრა სხვადასხვა კატეგორიისა და სირთულის დანაშაულების გამოძიების ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირს შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, ისე საჯარო მოხელე, მასთან გათანაბრებული პირი ან/და რიგითი მოქალაქე. შესაბამისად, განსხვავებული შინაარსისა და სპეციფიკის მუხლების გამოძიების პროცესში, თვისობრივად განსხვავებული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირთა გათვალისწინებით, უწყების წინაშე წამოიჭრა სხვადასხვა ტიპის გამოწვევები. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევაა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების იმგვარად დაგეგმვა და განხორციელება, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს სამსახურის თანამშრომელთა მიერ შესაძლო გადაცდომების ან უფლებამოსილების გადაჭარბების ნებისმიერი ეჭვი.

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, როგორსაც დაკავება წარმოადგენს განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ორმოცი მუხლის დამატების შემდეგ არსებითად მზარდია სამსახურის თანამშრომელთა მიერ პირთა დაკავების შემთხვევები და საჭიროება.

სამსახურისთვის, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისთვის, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის აღდგენაა, არსებითია საზოგადოების მხრიდან ნდობის არსებობა. შესაბამისად, წამოჭრილი პრობლემის საპასუხოდ სამსახური გეგმავს საკმარისი რაოდენობის სამხრე ვიდეოკამერების შესყიდვას დაკავების პროცესის ამსახველი უწყვეტი ვიდეოგადაღების უზრუნველყოფისა და უწყების იმ თანამშრომელთა აღჭურვის მიზნით, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ბრალდებულის დაკავებაში. ვინაიდან უწყვეტი ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს ობიექტურ და უტყუარ მტკიცებულებას შესაძლო ფაქტების დადასტურების ან/და უარყოფის თვალსაზრისით, აღნიშნული ზომები საგრძნობლად შეუწყობს ხელს სამსახურის მხრიდან გამოძიების ინტერესების დაცვასა და შესაძლო რეპუტაციული ზიანის თავიდან აცილებას, ისევე როგორც შესაძლო გადაცდომის ფაქტებზე მყისიერი რეაგირების განხორციელებას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არსებული საჭიროებების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტექნიკური აღჭურვილობა განსხვავდება ხარისხის, მახასიათებლებისა და ღირებულების თვალსაზრისით. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე, სამსახური აწარმოებს მოლაპარაკებებს დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მხარდაჭერის მობილიზების მიზნით. ამავდროულად, გარდა მოწყობილობების შეძენისა, პრაქტიკაში მათი სრულყოფილად დანერგვის მიზნით დამატებით დაგეგმილია ისეთი აუცილებელი ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ინსტრუქციის შემუშავება და თანამშრომელთა შემდგომი გადამზადება.

15.7

მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს შექმნა

მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური, დროული და დამოუკიდებელი გამოძიება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის“ თანახმად, ქვეყანამ აიღო პასუხისმგებლობა საერთაშორისო ვალდებულებების სათანადოდ შესრულების გზით არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით ეფექტიანი რეფორმები განახორციელოს.

დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის მისიაა განამტკიცოს ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში, შექმნას არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის შესაბამისი გარანტიები, აღნიშნული ტიპის დანაშაულებზე სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიებით მოახდინოს სამართლებრივი რეაგირება, გააჩინოს აღქმა საზოგადოებაში, რომ მოქალაქეები დაცული არიან სამართალდამცავების მხრიდან გადაჭარბებული, არაპროპორციული და უკანონო ძალის გამოყენებისგან.

გამოძიების პროცესში მსხვერპლის/დაზარალებულის ჩართულობა და მისი ინფორმირებულობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს როგორც ეფექტიან გამოძიებას, ასევე, ზრდის მოქალაქის ნდობასა და მოლოდინს, რომ მისი უფლებების შელახვასთან დაკავშირებული გამოძიება სამართლიანად წარიმართება. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მსხვერპლებთან სამსახურის ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სამსახური გეგმავს ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნასა და მის შედგომ რეგიონალურ გაფართოებას.

15.8

სპეციალიზებული (მესამე) სამმართველოს შექმნა

გაზრდილი საგამოძიებო ფუნქციებიდან გამომდინარე, სამსახურმა დანაშაულის კატეგორიისა და მისი სპეციფიკის გათვალისწინებით მესამე სამმართველოს ჩამოყალიბების მოსამზადებელი პროცესი დაიწყო. ახალი სტრუქტურული ერთეული მთლიანად ორიენტირებული იქნება ისეთი დანაშაულების გამოძიებაზე, როგორებიცაა: ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა, დევნა, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის/საიდუმლოს ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა.

სპეციალიზებული (მესამე) სამმართველოს შექმნა საგამოძიებო დეპარტამენტს მისცემს საშუალებას საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული განსხვავებული ხასიათისა და შინაარსის მქონე დანაშაულებზე ჰყავდეს სპეციალიზებული გამომძიებლები, რომლებიც მხოლოდ ერთი კატეგორიის დანაშაულის გამოძიებაზე იმუშავებენ, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის გამოძიებას და, შესაბამისად, გაზრდის საქმეთა გახსნის მაჩვენებელს.

თავის მხრივ, მესამე სამმართველოს შექმნა დადებითად იმოქმედებს პირველი და მეორე სამმართველოების წარმოებაში არსებულ არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ხარისხზე, ვინაიდან ამ სამმართველოებში მომუშავე გამომძიებლები განიტვირთებიან განსხვავებული სპეციფიკის საქმეების გამოძიებისგან.

15.9

ქ. რუსთავში რეგონალური ოფისის გასახსნელად ღონისძიებების დაწყება

გაზრდილი საგამოძიებო მანდატისა და დატვირთვის გათვალისწინებით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ესაჭიროება ტერიტორიული გაფართოვება. გეოგრაფიული ხელმისავწდომობისა და დროული, ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად საჭიროა რეგიონალური ოფისის გახსნა ქვემო ქართლში, კერძოდ კი - რუსთავში.

აღნიშნულ რეგიონში სამმართველოს გახსნის აუცილებლობა გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: ქვემო ქართლში განთავსებულია ორი დროებითი მოთავსების იზოლატორი (რუსთავი, მარნეული), ასევე, რეგიონში განთავსებულია ხუთი პენიტენციური დაწესებულება (მათ შორის მკაცრი რეჟიმისა და ქალთა დაწესებულებები). შესაბამისად, ამ ფაქტორების გათვალისწინებით რეგიონიდან საკმაოდ მაღალია სპეციალური საგამოძიებო სამსახურისადმი მომართვიანობა. ქალაქ რუსთავში სამმართველოს შექმნის რეფორმის სისრულეში მოსაყვანად სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშაობას შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან.

15.10

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება

2022 წელს სამსახურმა განვითარების 6-წლიანი სტრატეგიის შემუშავება დაიწყო, რაშიც ყველა სტრუქტრული ერთეული აქტიურადაა ჩართული. იდენტიფიცირდა სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები, საჭიროებები და შესაძლებლობები, რომლებსაც შემდგომ დაეფუძნება პოლიტიკის დოკუმენტი.

სტრატეგიასთან ერთად შემუშავდება 2-წლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024), რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გათვალისწინებულ კონკრეტულ ღონისძიებებს, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ უწყებებს, შესრულების ვადებსა და დაფინანსების წყაროებს.

სტრატეგიის მთავარი მიზანი იქნება ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერების, მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი გამოძიების პოლიტიკის შექმნა, სამსახურის მუშაობის ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდით საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, ადამიანის უფლებების დამატებითი გარანტიების შექმნა და დროული გამოძიების უზრუნველყოფა. დოკუმენტებზე მუშაობა ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ მხარდაჭერით ხორციელდება და იგი დასრულების შემდეგ სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდება და ამოქმედდება.

15.11

კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ [72] (PAR) ფარგლებში სამსახური გეგმავს კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას. სამსახურმა ხსენებული პროექტის მხარდაჭერით უკვე დაიწყო კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც 2023 წელს დამტკიცდება. ამავე პროექტის ფარგლებში თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა, აიმაღლონ კომპეტენცია ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებით და განივითარონ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების უნარები. ასევე, დაგეგმილია რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება, ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება. დამტკიცებამდე შემუშავებული დოკუმენტები განსახილველად გადაეცემა ყველა დაინსტერესებულ მხარეს. გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების საფუძველზე დოკუმენტი მიიღებს დასრულებულ სახეს.

72 - https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=332

15.12

საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება

სამსახურის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით იგეგმება საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე, საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ სამსახურის საქმიანობის შეფასების (უკუკავშირის) მექანიზმების დანერგვა. საკომუნიკაციო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გაიწერება ისეთი ღონისძიებები (ცხელი ხაზი, სოციალური მედია და სხვა), რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებას, ჩამოუყალიბდეს სამსახურის ფუნქციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული სწორი აღქმები რაც, თავის მხრივ, გაზრდის ნდობასა და სამსახურის ცნობადობას.

15.13

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა

ცნობიერების ამაღლება და მიზნობრივი შეხვედრები

დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის გაზრდილი საგამოძიებო უფლებამოსილების, შეტყობინებებისა და საჩივრების მიღების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება კვლავაც რჩება სამსახურის წინაშე მდგარ გამოწვევად, რა მიზნითაც სამსახური აქტიურად გეგმავს საზოგადოებისა და სამოქალაქო სექტორის ცნობიერების ამაღლებისათვის პირისპირ საინფორმაციო შეხვედრებს, სემინარებს, საჯარო ლექციებს, კონფერენციებსა და სხვა მიზნობრივ საგანმანათლებლო კამპანიებს, განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება, ამ მხრივ, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე.

15.14

დონორი ორგანიზაციების საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მუდმივი თანამშრომლობისა და ანგარიშგების გაძლიერების მიზნით სპეციალური საგამოძიებო სამსახური 2023 წლის პირველ ნახევარში დონორი ორგანიზაციების საკოორდინაციო მექანიზმის პირველი შეხვედრის ჩატარებას გეგმავს, რომელიც წელიწადში 2-ჯერ გაიმართება. მსგავსი მექანიზმის არსებობა დონორ ორგანიზაციებთან ეფექტურ კოორდინირებულ მუშაობასა და ორგანიზაციის სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტულ საკითხებზე მათი ძალისხმევისა და რესურსების სწორად მიმართვას შეუწყობს ხელს. შეხვედრაზე სამსახური სტრატეგიულ მიზნებს, პრიორიტეტულ ამოცანებსა და იდენტიფიცირებულ საჭიროებებს წარადგენს, რაც დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს ნაყოფიერად დაგეგმონ სამომავლო პროექტები და თანამშრომლობის მიმართულებები. ამ მიზნით სამსახურს მხარდაჭერას ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ ფარგლებში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი გაუწევენ.

პარალელურად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური კვლავაც გააგრძელებს პარტნიორი დონორი ორგანიზაციების შესაბამისი პროექტების საკოორდინაციო კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობას, რაც უზრუნველყოფს სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებების ასახვას შესაბამისი პროექტების სამუშაო გეგმებში. დაგეგმილია დამატებითი ფონდებისა და პარტნიორების მოძიების მიზნით ახალი პროექტების ინიცირება და დონორული მხარდაჭერის მოპოვება.

15.15

საერთაშორისო თანამშრომლობა

სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტს დამოუკიდებელი საგამოძებო სამსახურების საერთაშორისო ქსელებში გაწევრიანება წარმოადგენს. ამ მიზნით უკვე დაწყებულია თანამშრომლობა საპოლიციო საჩივრების განმხილველი დამოუკიდებელი ორგანოების ქსელთან (IPCAN)[73], რომელიც 2012 წელს ადამიანის უფლებათა დამცველის (Défenseur des Droits)[74] ინიციატივით შეიქმნა, რათა მსგავსი ფუნქციების მქონე ორგანოებს მისცემოდათ საერთო ინტერესის საკითხების ერთობლივად განხილვის, საუკეთესო საგამოძიებო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებისა და ერთიანი სტანდარტების მიღების საშუალება. ორგანიზაციის მთავარი მიზანი სწორედ წევრი ინსტიტუტების კოორდინირებული მოქმედებების გზით მათი გაძლიერება, მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის აღნიშნული საერთაშორისო ქსელის წევრობა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. სამსახურს შესაძლებლობა ექნება პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდეს მსგავსი კომპეტენციის მქონე ორგანოებთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, გაეცნოს სამართალდამცავი ორგანოების წინაშე მდგარ კონკრეტულ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს, მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებებში, რომლებიც აერთიანებს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, იურისტებს, მსხვერპლთა დახმარების სამსახურებს, სამოქალაქო საზოგადოებებს და ა.შ. ყველაფერი ერთად, საბოლოო ჯამში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფრო ეფექტურად მუშაობასა და მის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას უზრუნველყოფს.

73 - https://ipcan.org/
73 - https://www.defenseurdesdroits.fr/

15.16

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

სამსახური გეგმავს სხვა ქვეყნების კოლეგა უწყებებთან ორმხრივი და მრავალპროფილური თანამშრომლობის ფორმატის გაგრძელებას, რაც გულისხმობს გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივ გამოწვევებზე მსჯელობასა და წარმატებული პრაქტიკების გაცნობას, ასევე, ერთობლივი სწავლებების წახალისებას. ამ მიზნით სამსახური კვლავ განაგრძობს აქტიურ შეხვედრებს იმ ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, რომლებსაც აქვთ ანალოგიური დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმები, რათა საფუძველი ჩაეყაროს შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობას.

WWW.SIS.GOV.GE